Building a better working world

შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „თელასის" აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 7 თებერვალს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის" სახელით (SARAS-F-855308)

11 აპრილი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

Building a better working world

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „თელასის" აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 7 თებერვალს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის" სახელით (SARAS-F-855308)

11 აპრილი, 2025 წ.

თბილისი, საქართველო

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბძანება

N181/04 -ის თანახმად

სს „ თელასი“-ს პასუხისმგებელი პირების განცხადება

სს ,,თელასი“-ს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს სს ,,თელასი“-ს აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობას და მოგება-ზარალს.

ასევე წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს სს ,,თელასი“-ს საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: **დ.ე. ვოლკოვი**

გენერალური დირექტორი : **ს.ნ. კობცევი**

ფინანსური დირექტორი : **ა.ლ. ბალჩუგოვი**

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის ბძანება

N181/04 -ის თანახმად

სს „ თელასი“-ს პასუხისმგებელი პირების განცხადება

სს „თელასი“-ს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს სს „თელასი“-ს აქტივებს, ვალდებულებებს, ფინანსურ მდგომარეობას და მოგება-ზარალს.

ასევე წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება სამართლიანად და ამომწურავად მიმოიხილავს სს „თელასი“-ს საქმიანობის განვითარებას, შედეგებსა და მდგომარეობას, ასევე არსებული ძირითადი რისკების აღწერას.

სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე: **დ.ე. ვოლკოვი**

გენერალური დირექტორი : **ს.ნ. კობცევი**

ფინანსური დირექტორი : **ა.ლ. ბალჩუგოვი**

სააქციო საზოგადოება "თელასი"
ს/ნ: 202052580

თელასი



წლიური ანგარიში 2024



სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია:
სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ
___ _____ 2025 წ.
ოქმი ___ _____2025 г.

წინასწარ დამტკიცებულია:
სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

ოქმი № თებერვალი 2025 წ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

_____ დ.ე. ვოლკოვი

წლიური ანგარიში
2024 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი ა.ლ. ბალჩუგოვი

2025

სააქციო საზოგადოება „თელასი“

დამტკიცებულია:
სს „თელასის“ აქციონერთა საერთო კრების მიერ
31 მაისი 2025 წ.
ოქმი 31 მაისი 2025 წ.

წინასწარ დამტკიცებულია:
სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ

№334 ოქმი 28 თებერვალი 2025 წ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

დ.ე. ვოლკოვი

წლიური ანგარიში
2024 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით

გენერალური დირექტორი ს.ნ. კობცევი

ფინანსური დირექტორი ა.ლ. ბალჩუგოვი

2025

შინაარსი

I. ძირითადი მოვლენები 7

II. საზოგადოების მიმართვა აქციონერებს 8

III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ 10

IV. საზოგადოების ბიზნეს-მოდელის მიმოხილვა 11

V. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა 12

VI. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები 21

VII. საინვესტიციო საქმიანობა 23

VIII. საქმიანობა შესყიდვების დარგში 23

IX. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა 24

X. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო რისკების, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ 27

XI. შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის მიმოხილვა ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით 28

XII. საზოგადოების რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა 28

XIII. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ 31

XIV. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა 31

XV. აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა 32

XVI. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა 33

XVII. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა 35

XVIII. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის 2024 წელს გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები და ოდენობა 35

XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი 36

XX. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა 37

XXI. გარემოს დაცვა 40

XXII. სოციალური პასუხისმგებლობა 40

XXIII. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპების დაცვის შესახებ 41

XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ 41

XXV. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ 42

XXVI. ცნობები არაპროფილური აქტივების შესახებ 43

XXVII. დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის 44



ძირითადი მოვლენები

12

ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება, რომელზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების გადახდის შესახებ საზოგადოების გასული წლების წმინდა გამოუყენებელი მოგებიდან 18 000 488 ლარის ოდენობით.

მარტი

28

ჩატარდა საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრება 2023 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

მარტი

ჩატარდა ქვესადგურის „ლილო 3" რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები.

აპრილი

სს „თელასისთვის" გაგრძელებული იქნა ეკოლოგიური მენეჯმენტის საერთაშორისო სერტიფიკატის ISO 14001:2015 მოქმედების ვადა.

სს „თელასში" დაინერგა შრომის დაცვის მართვის ინოვაციური სისტემა „SafePRO".

აგვისტო

ჩატარდა ქვესადგურის „აეროპორტის", 110 კვ ელექტროგადამცემი ხაზების „მთაწმინდა 2", „დიღომი-102", „დიღომი-103" სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

ჩატარდა ახალი 35 კვ საკაბელო ხაზის „ლილო 1-2" სამშენებლო სამუშაოები.

ნოემბერი

სს „თელასმა" შეიძინა კომპლექსური მობილური ელექტროლაბორატორიები.

ჩატარდა ქვესადგურების „ნავთლუღი 2", „დიღომი 2", „საბურთალო 1", „საბურთალო 2", „საბურთალო 3" სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

დეკემბერი

II. საზოგადოების მიმართვა აქციონერებს

პატივცემულო აქციონერებო,

წარმოგიდგენთ სს „თელასის" 2024 წლის ანგარიშს.

2024 წელს სს „თელასი" წარმატებით გაუმკლავდა ძირითადი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც დაკავშირებულია თბილისის საიმედო და უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფასთან, აბონენტების მომსახურების ხარისხის ამაღლებასთან და ელექტროქსელის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფასთან.

სს „თელასის" საქმიანობის ძირითადი სახეობებია: ელექტროენერგიის ტრანსპორტირება; თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის მომსახურება, ექსპლუატაცია, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და გაფართოება, ელექტროენერგეტიკული სისტემების ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა. კომპანია უზრუნველყოფს ელექტროენერგიის ტრანზიტის მომსახურებას, აბონენტთა ტექნიკურ მომსახურებას, ასევე ახორციელებს თბილისში წყალმომარაგების და დასუფთავების ერთიანი ინტეგრირებული და კოორდინირებული სისტემის ადმინისტრირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წელი სს „თელასისთვის" გახდა რეკორდული კომპანიის განვითარებაში ჩადებული ინვესტიციების მოცულობის თვალსაზრისით.

ინვესტიციების მოცულობამ საწარმოო და არასაწარმოო სფეროებში 2024 წელს შეადგინა 160 მლნ ლარზე მეტი (დღგ-ს ჩათვლით), რაც 250% მეტია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული იქნა მნიშვნელოვანი ღონისძიებები 110/35/10/6/0,4 კვ ქსელის ძირითადი მოწყობილობების რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციისთვის მაღალი და დაბალი ძაბვის ქვესადგურებში, საკაბელო ელექტროგადამცემ ხაზებზე. მიმდინარეობს სამუშაოები SCADA სისტემის დასანერგად და მოსამზადებელი სამუშაოები ახალი ქვესადგურის „კრწანისი" მშენებლობის პროექტზე.

ძირითადი მოწყობილობების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია ჩატარებული იქნა ქვესადგურებში „მახათა", „სანაპირო", „დიღომი-2", „აეროპორტი", „ნავთლუღი-2", „საბურთალო-1". ქვესადგურში „დიღომი-2" შეიცვალა ძალოვანი ტრანსფორმატორები T1 და T2. დასრულდა ოთხი ცენტრალური გამანაწილებელი პუნქტის სრული რეკონსტრუქციის სამუშაოები: ცგპ-0417, ცგპ-0080, ცგპ-5060 და ცგპ-3614. ასევე განხორციელდა 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზების „ლილო 1-2", 110 კვ სეგხ „დიღომი 102", „დიღომი 103" და საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია, საერთო სიგრძით 136კმ.

საკაბელო ხაზების დაზიანების ადგილის განსაზღვრის ოპერატიულობის და მაღალი სიზუსტის უზრუნველსაყოფად კომპანია „თელასმა" 2024 წელს შეიძინა კომპლექსური მობილური ელექტროლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. თითოეული ლაბორატორიის ელექტროტექნიკური ნაწილი აღჭურვილია გერმანული ფირმის „Meger" მოწყობილობებით და თანამედროვე კომპიუტერული სისტემით. ლაბორატორიის მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია ციფრულ ტექნოლოგიებზე. კაბელების ტესტირება და დიაგნოსტიკა შესაძლებელია ერთი მოდულის ფარგლებში. „ფორდის" მარკის ავტომობილებზე დაყენებული 11 მობილური ლაბორატორიის საშუალებით შესაძლებელია ავარიების ლიკვიდაციის დროის შემცირება, ასევე საკაბელო ხაზების წინასწარი დიაგნოსტიკის ჩატარება, შესაძლო ავარიის პრევენციის მიზნით, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კომპანიის გამანაწილებელი ქსელის უწყვეტ მუშაობას და მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლებას.

2024 წელს კომპანიის ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძემ შეადგინა 7 153 კმ, რაც 4,4% (299 კმ-ით) მეტია, ვიდრე 2023 წელს (6 854 კმ). ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძის ზრდა განპირობებულია ელექტროქსელის განვითარების, რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარებით.

კომპანიის აბონენტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. 2024 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით, სს „თელასის" აბონენტთა რიცხვმა შეადგინა 780,7 ათასი, რაც 4% (29,8 ათასი აბონენტით) მეტია 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მომხმარებელთა მომსახურება ხორციელდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

2024 წელს კომპანიამ გაანაწილა 3,7 მლრდ კვტ*სთ ელექტროენერგია, რაც 8,5% მეტია 2023 წლის მაჩვენებელზე.

2025 წელს კომპანია გააგრძელებს მუშაობას ელექტროქსელური მეურნეობის განახლებაზე და პროგრამების რეალიზაციაზე, რომლებიც მიზნად ისახავს ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლებას. კერძოდ, სს „თელასს“ დაგეგმილი აქვს ახალი 35/10/6 კვ ქვესადგურის „კრწანისი“ მშენებლობის დასრულება; ქვესადგურში „დიღომი-1“ 110 კვ გამანაწილებელი მოწყობილობების; ქვესადგურში „ლისი-220“ 10 კვ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის, ქვესადგურში „ორხევი“ 6/10 კვ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარება და ა.შ. 2025 წელს ინვესტიციების ოდენობა შეადგენს 174 მლნ ლარს.

სს „თელასში“ ძალიან აფასებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციას. კომპანია თავის თანამშრომლებს სთავაზობს სოციალური და სასწავლო პროგრამების ფართო სპექტრს განვითარების და პროფესიული ზრდისთვის: დანერგილია პერსონალის სწავლების სისტემა, რომელიც მიმართულია მუშაკების კორპორაციული და პროფესიონალური კომპეტენციების განვითარებაზე; თანამშრომელთა სოციალური და მატერიალური დახმარების დონის ამაღლებაზე; ხორციელდება ღონისძიებები შრომის უსაფრთხო და კომფორტული პირობების, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ. უზრუნველსაყოფად.

შრომის უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად 2024 წელს კომპანიაში სს „თელასი“ დანერგილია შრომის დაცვის მართვის ინოვაციური სისტემა „SafePRO“ - ელექტრონული უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი მრავალგვარი ფუნქციონალი სრული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა, რაც საბოლოო ჯამში იძლევა შრომის დაცვის მართვის სისტემის გამჭვირვალებას და ეფექტურ მართვას. „SafePRO“ ამარტივებს შრომის დაცვასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ საქმიანობას და თანამშრომლებისთვის უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნას დოკუმენტაციის, ინფორმაციის და შესაბამისი ინსტრუმენტების ერთ სივრცეში თავმოყრის გზით. სისტემის „SafePRO“ დანერგვა სს „თელასში“ ხელს შეუწყობს შრომის უსაფრთხოების სტანდარტების ახალ დონეზე გადასვლას და ამ მიმართულების მუდმივ განვითარებას.

კომპანიაში ასევე წარმოებს აქტიური მუშაობა კორპორაციული სპორტის განვითარებისა და ცხოვრების ჯანმრთელი წესის პოპულარიზაციისთვის პირობების და შესაძლებლობების შესაქმნელად. ხორციელდება სპორტული ღონისძიებები და პროგრამები, რომლებიც მიმართულია თანამშრომლების აქტიური ცხოვრების წესში მონაწილეობის მისაღებად, რაც მოიცავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, როგორებიცაა გუნდური თამაშები, სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა მიმართულების კორპორაციული ტურნირები. კორპორაციული სპორტი უმნიშვნელოვანესი ელემენტია სს „თელასის“ კორპორაციულ კულტურაში. საბოლოოდ, კორპორაციული სპორტი ეხმარება კომპანიაში უფრო ჯანმრთელი, მოტივირებული და შეკრული ატმოსფეროს შექმნას, რაც წარმატებული განვითარების საწინდარია.

ისევე, როგორც გასულ წლებში, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა მიმართული იყო კომპანიის სტაბილურობის, მომგებიანობის და საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფაზე, ასევე აქციონერთა ინტერესების დაცვაზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს, მუდმივ სამუშაოს აწარმოებს გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. 2024 წელს სს „თელასს“ გაუგრძელდა ეკოლოგიური მენეჯმენტის საერთაშორისო სერტიფიკატის ISO 14001:2015 მოქმედების ვადა. საერთაშორისო კომპანიამ „Intertek“ ჩაატარა სს „თელასის“ ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის ყოველწლიური გეგმური საზედამხედველო აუდიტი და დადებითი რეკომენდაცია გასცა სერტიფიკატის ISO 14001:2015 მოქმედების ვადის გაგრძელებაზე 2027 წლის ივნისამდე. 2015 წელს სს „თელასი“ პირველი გახდა საქართველოს ელექტროგამანაწილებელ კომპანიებს შორის, რომელმაც მიიღო ეკოლოგიური მენეჯმენტის სერტიფიკატი ISO 14001:2004, ხოლო განახლებული სტანდარტის ISO 14001:2015 სერტიფიკატი კომპანიამ მიიღო 2021 წლის გაზაფხულზე.

2025 წელს სს „თელასი“ გააგრძელებს განვითარებას ეფექტური და სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის სახით, რომელიც სარგებლობს მომხმარებელთა ნდობით და იძლევა ყველა დაკისრებული ვალდებულების შესრულების გარანტიას.

III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ

სს „თელასის" საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- მომხმარებელთა საიმედო და ხარისხიანი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების მაქსიმალურად ეფექტური ქსელური ინფრასტრუქტურის ორგანიზება;
- საზოგადოების პოტენციალის სტაბილური განვითარების უზრუნველყოფა;
- ელექტრომომარაგების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება;
- საზოგადოების ყველა აქციონერის ინტერესების დაცვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს აქციონერთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფაში, საზოგადოების განვითარების სტრატეგიის ფორმირებასა და რეალიზაციაში, ასევე მისი წარმატებული სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის უზრუნველყოფაში.

სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს საზოგადოებაში კორპორაციული მართვის პრაქტიკის კონტროლს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების მნიშვნელოვან კორპორაციულ მოვლენებში.

2024 წელს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე მიღებული იქნა გადაწყვეტილებები საზოგადოების ისეთი საკვანძო საკითხების შესახებ, როგორებიცაა სს „თელასის" რისკების და შიდა კონტროლის მართვის პოლიტიკის და სს „თელასის" ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება 2023 წლის შედეგების მიხედვით სს „თელასის" აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადების და ჩატარების გრაფიკის დამტკიცების შესახებ, რომლის ყველა ღონისძიება შესრულებული იქნა ვადების დაცვით.

სამეთვალყურეო საბჭო 2024 წელში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგებს აფასებს, როგორც წარმატებულს.

სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა ორგანიზებული იყო მუშაობის დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, ხორციელდებოდა გადაწყვეტილებების რეგულარული კონტროლი. საანგარიშო პერიოდში შეუსრულებელი გადაწყვეტილებები არ ყოფილა. სულ, 2024 წელს ჩატარდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 20 სხდომა, რომელზე განხილული იქნა 68 საკითხი.

სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი თავისი უფლებების განხორციელების და მოვალეობების შესრულების დროს მოქმედებდა საზოგადოების ინტერესების დაცვით, კეთილსინდისიერად და გონივრულად, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა სხდომაში.

მომდევნო წლებში სამეთვალყურეო საბჭო ყურადღებას უპირველეს ყოვლისა დაუთმობს კორპორაციული მართვის ხარისხის ამაღლებას, სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლებას საიმედო ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის, კომპანიის მომგებიანობის ამაღლების, ასევე ელექტროენერგიის გასაღების ძირითად ბაზრებზე მდგრადი, საიმედო და კონკურენტუნარიანი პოლიტიკის ხარჯზე.

IV. საზოგადოების ბიზნეს-მოდელის მიმოხილვა

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2021 წლის 1 ივლისიდან სს „თელასი“ არ ახორციელებს ელექტროენერგიის მოცულობების შესყიდვას და მომხმარებლებისთვის მიწოდებას. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გაცემული განაწილების ლიცენზიის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება N19/1) საფუძველზე, სს „თელასი“ მიმწოდებლებისთვის უზრუნველყოფს ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელების არადისკრიმინაციულ წვდომას. სს „თელასის“ ქსელებით ელექტროენერგიის განაწილების ტარიფს არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. ელექტროენერგიის ბაზრის წესების თანახმად, 2024 წლის სექტემბრიდან სს „თელასს“ დაგეგმილი აქვს ელექტროენერგიის შესყიდვა გამანაწილებელ ქსელებში დანაკარგებისთვის საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის პლატფორმაზე საათობრივი ვაჭრობის მეშვეობით, მაგრამ საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის სრულფასოვანი გახსნა და ელექტროენერგიის მოცულობებით საათობრივ ვაჭრობაზე გადასვლა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გადატანილია 2025 წლის 1 ივლისამდე. ამჟამად, კომპანიებს (გენერაცია, გადაცემა, განაწილება, მიწოდება), მათ შორის სს „თელასს“ შესაძლებლობა აქვთ ნებაყოფლობით შეიტანონ განაცხადები ელექტროენერგიის მოცულობებით საათობრივი ვაჭრობისთვის. 2024 წელს საზოგადოება ელექტროენერგიას ყიდულობდა ქსელებში დანაკარგების კომპენსაციისთვის კომერციული ოპერატორის (სს „საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“) საბალანსო ბაზარზე. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი წარმოადგენს ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფის ნაწილს, რომელსაც მომხმარებელი იხდის ელექტროენერგიის მიმწოდებლისგან მიღებული ქვითრის თანახმად.

2024 წელს წინა წელთან შედარებით სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერგიის გატარება გაიზარდა 8,1%.

ძირითადი სავარაუდო ფაქტორები, რომლებიც შესაძლოა ნეგატიურად აისახოს საზოგადოების განვითარების ტემპზე, შემდეგია:

- დარგის საქმიანობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში ხშირი ცვლილებები;
- სარეზერვო ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის მაღალი ვოლატილობა.

საზოგადოების ძირითადი ამოცანაა უდანაკარგო საქმიანობის, მოგების მიღების და მდგრადი ფულადი ნაკადების უზრუნველყოფა. დარგში თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საზოგადოება ახორციელებს შემდეგ ზომებს:

- პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, იმ ბიზნეს-პროცესების, ამოცანების და მიზნების სრულყოფა, რომლებიც პასუხობს წარმატებული საქმიანობის ახალ მოთხოვნებს;
- საოპერაციო და საწარმოო საქმიანობის გამჭვირვალე სისტემის წარმოება;
- ფინანსური კონტროლის გაძლიერება და დანახარჯების შემცირების პროგრამის დანერგვა;
- შესყიდვების, სამუშაოების და მომსახურების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება.

ღონისძიებების მოცემული კომპლექსის რეალიზაცია კომპანიის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა.

ნეგატიური ფაქტორების წარმოქმნის შემთხვევაში, რისკების შემცირების ხელშემწყობი ზომების სახით, სს „თელასის“ მართვის ორგანოები აპირებენ შემდეგი ზომების გამოყენებას:

- საქმიანობის დეტალური დაგეგმვა;
- ენერგოდამზოგი ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება, შესაბამისი მასალების (მოწყობილობების) გამოყენების ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზის გათვალისწინებით, მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის.

V. საზოგადოების საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები. საწარმოო საქმიანობა

საზოგადოების ძირითადი საწარმოო და ფინანსური ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა შეიძლება შემდეგნაირად იქნას დახასიათებული:

საწარმოო მაჩვენებლები:	2023 წელი	2024 წელი	ცვლილების %
ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები, მლნ კვტსთ	202	230	13.96%
შპს ,,თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის" აბონენტებისთვის ე/ე განაწილება, მლნ კვტსთ	2 938	3194	8.72%
ე/ე განაწილება პირდაპირი მომხმარებლებისთვის, მლნ კვტ სთ	325	334	2.73%
ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები:			
რენტაბელობა EBITDA-ს მიხედვით, %	48.5%	45.6%	-6.14%
აქტივების რენტაბელობა, %	24.0%	17.4%	-27.24%
ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობა (ROIC), %	76 %	68%	-11.25%
საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE), %	33.9%	23.5%	-30.67%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.89	0.56	-36.072%
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.78	0.72	-7.38%
საკუთარი კაპიტალის ფარდობა სასესხოსთან	0.28	0.38	36.27%
ვალი/EBITDA	0.21	0.40	85.15%

ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების დინამიკა გვიჩვენებს კომპანიის მდგრად განვითარებას, რაც დაკავშირებულია საქართველოს ეკონომიკის ზრდასთან 2024 წელს, მოცემული მაჩვენებელი შეადგენს 9.4%.

ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ახასიათებს საზოგადოების მომგებიანობას, როგორც აბსოლუტურ, ისე პროცენტულ შეფარდებაში, რაზეც მეტყველებს ისეთი ინდიკატორების ზრდა, როგორებიცაა რენტაბელობა EBITDA-ს მიხედვით, აქტივების რენტაბელობა, ინვესტირებული კაპიტალის რენტაბელობა (ROIC), საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა (ROE).

გადახდისუნარიანობა და საკრედიტო რისკის დონე შემდეგია: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი, საკუთარი კაპიტალის სასესხოსთან ფარდობა, ვალი/EBITDA და წმინდა ვალი.

მაჩვენებლები გაანგარიშებულია 2024 წლის ბიზნეს-გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშის მონაცემების შესაბამისად, ფასს-ის სტანდარტების მიხედვით. საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებული იყო EY LLC-ის მიერ.

საზოგადოების ბუღალტრული ანგარიშგება, ყველა საჭირო განმარტებით, მოცემული წლიური ანგარიშის დანართში № 1.

ელექტრული ქსელების დახასიათება

№№	დასახელება	განზ. ერთეული	მაჩვენებლები 2023 წ.	მაჩვენებლები 2024 წ.
1	2	3	4	4
1	ეგხ-ს საერთო სიგრძე, სულ	კმ	6854.16	7151.12
	მათ შორის:			
1.1	**საჰაერო ეგხ (ჯაჭვების მიხედვით), სულ**	**კმ**	**2498.16**	**2527**
	მათგან:			
1.1.1	- ძაბვის დონე 110 კვ	კმ	249.6	245.2
1.1.2	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	87.8	86.5
1.1.3	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	165.6	167.2
1.1.4	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	211.5	212.74
1.1.5	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	1783.66	1815.36
1.2	**საკაბელო ეგხ, სულ**	**კმ**	**4356**	**4624.12**
	მათგან:			
1.2.1	- ძაბვის დონე 35 კვ	კმ	101.7	129.6
1.2.2	- ძაბვის დონე 10 კვ	კმ	418	471.03
1.2.3	- ძაბვის დონე 6 კვ	კმ	1435.4	1454.09
1.2.4	- ძაბვის დონე 500 ვოლტი და ნაკლები	კმ	2400.9	2569.4
2		მადაბლებელი ქვესადგურები 35-110 კვ		
2.1	**ქვესადგურების რაოდენობა, სულ**	**ცალი**	**36**	**36**
	მათ შორის:			
2.1.1	მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	ცალი	13	13
2.1.2	მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	ცალი	23	23
2.2	**საერთო დადგმული სიმძლავრე**	**მვა**	**1727.6**	**1819.3**
	მათ შორის:			
2.2.1	მადაბლებელი ქვესადგურები 35/6 -10 კვ	მვა	434.6	431.3
2.2.2	მადაბლებელი ქვესადგურები 110 კვ	მვა	1293	1388
3		სატრანსფორმატორო ქვესადგურები 10/6/0,4 კვ		
3.1	**ქვესადგურების რაოდენობა**	**ცალი**	**2305**	**2399**
3.2	**საერთო დადგმული სიმძლავრე**	**მვა**	**1670.3**	**1748.8**
	მათ შორის:			
	კომპლექტური	ცალი	626	679
		მვა	401.2	477.9
	დახურული	ცალი	1679	1720
		მვა	1269.1	1270.9

2023 წელთან შედარებით 2024 წელს ეგხ-ს სიგრძე გაიზარდა 296,96 კმ-ით (4,33%), ზრდა, ძირითადად, განპირობებულია ქსელის გაფართოებით ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების პროექტების შესრულების ფარგლებში, ასევე რეზერვირების მიზნით ეგხ-ს მშენებლობის პროექტის შესრულებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების პროექტების რეალიზაციის და კერძო მესაკუთრეების მიერ საზოგადოების საკუთრებაში სატრანსფორმატორო ქვესადგურების გადაცემის ფარგლებში, გაიზარდა სატრანსფორმატორო ქვესადგურების 6(10)-0.4 კვ რაოდენობა 94 ერთეულით (4,08%), რამაც დადგმული სიმძლავრე გაზარდა 78,5 მვა (4.7%).

ავარიულობა. ტექნოლოგიური დარღვევები

2024 წელს სულ სს „თელასის" 110/35/10/6 კვ ძაბვის კლასის ელექტრული ქსელის მუშაობაში ადგილი ჰქონდა 2810 ტექნოლოგიურ დარღვევას, რაც 2023 წელთან შედარებით (1648 შემთხვევა) 70.51 % მეტია.

2024 წელს ტექნოლოგიური დარღვევა მოწყობილობის დაზიანებით დაფიქსირებული იქნა 2282 შემთხვევის რაოდენობით, რაც 2023 წელთან შედარებით (1338 შემთხვევა) 70.55 % მეტია.

2024 წელს ელექტროენერგიის არასაკმარისმა გაშვებამ შეადგინა 1856.078 ათასი კვტ*სთ, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე (904.403 ათასი კვტ*სთ) 105.22%-ით მეტია.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ცნობები 110/35/10/6 კვ ქსელში ელექტრომოწყობილობების მუშაობაში ტექნოლოგიური დარღვევების შესახებ და ცნობები მომხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მაჩვენებლების SAIDI და SAIFI შესახებ, სს „თელასის" ქსელში შიდა გეგმური და არაგეგმური წყვეტების მიხედვით (2023-2024 წწ.).

№	მაჩვენებლის დასახელება	განზ. ერთეული	2024 წელი	2023 წელი	გადახრა	
					(+/-)	%
1	ტექნოლოგიური დარღვევები, სულ 110/35/10/6 კვ ქსელში	ერთ.	2810	1648	+1162	+70.51 %
2	ტექნოლოგიური დარღვევები მოწყობილობების დაზიანებით 110/35/10/6 კვ ქსელში	ერთ.	2282	1338	+944	+70.55 %
3	გათიშვების საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი SAIDI სისტემით – შიდა გეგმური და არაგეგმური წყვეტების მიხედვით. მათ შორის:	სთ/აბონენტი	14.35	9.4	+4.95	+52.66 %
3.1	შიდა არაგეგმური წყვეტების მიხედვით	სთ/აბონენტი	6.55	5.72	+0.83	+14.51%
3.2	შიდა არაგეგმური წყვეტების მიხედვით	სთ/აბონენტი	7.8	3.68	+4.12	+111.96 %
4	გათიშვების საშუალო სიხშირის ინდექსი SAIFI სისტემით – შიდა გეგმური და არაგეგმური წყვეტების მიხედვით. მათ შორის:	ერთ.	8.6	5.97	+2.63	+44.05 %
4.1	შიდა გეგმური წყვეტების მიხედვით	ერთ.	2.53	2.69	- 0.16	- 5.95 %
4.2	შიდა არაგეგმური წყვეტების მიხედვით	ერთ.	6.07	3.28	+2.79	+85.06 %
5	ელექტროენერგიის არასაკმარისი გაშვება	ათასი კვტ*სთ	1856.078	904.403	+951.675	+105.22%
6	ეკონომიკური ზარალი ელექტროენერგიის არა-საკმარისი გაშვების შედეგად	ათასი ლარი	108.556	52.89	+55.66	+105%
7	ქსელებში ელექტროენერგიის ტექნოლოგიური დანაკარგები	%	5.4	5.7	-0.3	-5.3%

ტექნოლოგიური დარღვევების შემცირების და საიმედოობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს გატარებული იქნა ღონისძიებები, რომლებიც წინა წლებთან შედარებით 2025 წელს მაჩვენებლების გაუმჯობესების შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ:

- ხორციელდება ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების ნაწილობრივი და კომპლექსური რეკონსტრუქცია;
- რეალიზებულია 6-10 კვ ძაბვის ქსელში მოკლე შერთვის დენების მაჩვენებლების მონტაჟის საპილოტე პროექტი, რამაც შედეგად შეამცირა ავარიის ლიკვიდაციის დრო. საზოგადოების 2025-2029 წლების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში დადებითი შედეგების გათვალისწინებით, დაგეგმილია ამ საპილოტე პროექტის გაგრძელება;
- განხორციელდა სარემონტო სამუშაოების სისტემის ორგანიზების სრულყოფა, გეგმიური გათიშვების რაოდენობის შემცირების მიზნით, SAP ERP სისტემის ტექნიკური მომსახურების და მოწყობილობების რემონტის (ტმდამრ) პროგრამული მოდულის გამოყენებით. ამჟამად, სარემონტო სამუშაოების დაგეგმვა წარმოებს საწარმოს რესურსების დაგეგმვის SAP ERP ტმდამრ მოდულის გამოყენებით;
- განხორციელდა სარემონტო სამუშაოების პროცესის სრულყოფა საიმედოობის ფაქტორის გათვალისწინებით (მიმდინარეობს ტექნიკური ზედამხედველობა კაპიტალური რემონტის შემდეგ სამუშაოების მიღების დროს, ქსელის მომსახურება წარმოებს გეგმიურად და ყველა აუცილებელი ტექნოლოგიური პროცესის დაცვით);
- კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ხორციელდება საკაბელო ტრასების ოსტატების და შემომვლელების (მონტიორების), ეგხ-ს და ქს-ს მომსახურე პერსონალის სწავლება, მათ შორის 3D-ტრენაჟორის ბაზაზე და სპეციალიზებული კომპანიების მოზიდვით;
- მისაწოდებელი ახალი მტრ ხარისხის კონტროლი და მათი მიღება სს „თელასის“ საწყობში ხორციელდება ცალკე შექმნილი საექსპერტო ჯგუფის მიერ;
- ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ხორციელდება, როგორც მენარდეების, ისე საკუთარი პერსონალის ძალებით შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი;
- განხორციელდა მოძველებული ტიპის სდა-ს შეცვლა უფრო თანამედროვე ციფრული მიკროპროცესორული მოწყობილობებით.

შრომის დაცვის, საწარმოო და სახანძრო უსაფრთხოების სისტემის რეზულტატიურობა

2024 წელს შრომის დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების განყოფილების ძალებით ყველა კლასის ძაბვის ელექტრული ქსელის ობიექტებზე განხორციელდა ორგანიზაციულ-ტექნიკური, საინფორმაციო-მეთოდური, საზედამხედველო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართული იყო ხანძრების, ავარიების და სხვა ტექნოლოგიური დარღვევების აღმოფხვრაზე, მოწყობილობების საექსპლუატაციო საიმედოობის და პერსონალის მუშაობის ამაღლებაზე, ავარიულობის და ტრავმატიზმის შემცირებაზე. ნაერთი მონაცემები ელექტროქსელური ობიექტების ჩატარებული შემოწმებების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

№№	ცნობები შემოწმებების შესახებ	2023 წელი	2024 წელი
1	ობიექტების შემოწმებების საერთო რიცხვი	7709	6764
2	მიწერილობების რაოდენობა	1314	1344
3	მიწერილობებში ღონისძიებების რაოდენობა	2587	3607
	მათ შორის:		
3.1	შესრულებული	2587	3607
3.2	ღონისძიებები, რომელთა ვადა გადატანილია	0	0

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების ქვედანაყოფებში მიმდინარეობდა შემოწმებები პერსონალის მიერ შრომის დაცვის და სამრეწველო უსაფრთხოების დაცვის ნაწილში. შემოწმებების შედეგების მიხედვით ხორციელდებოდა ანალიზი, ტრავმასაშიში სიტუაციების და ფაქტორების გამოვლენა, მათი აღკვეთის ღონისძიებების შემუშავება.

ინფორმაცია საწარმოო ტრავმატიზმის მაჩვენებლების დინამიკის შესახებ (ხუთი წლის განმავლობაში)

წელი	ორგანიზაცია	უბედური შემთხვევა	მიზეზები
2020	სს „თელასი“	1 (მსუბუქი)	შდ-ის მოთხოვნების დარღვევა სქ Na-2689 6კვ გმ-ში საკაბელო ეგხ-ს რემონტიდან გამოსაყვანი სამუშაოების ჩატარების დროს
2021	სს „თელასი“	0	
2022	სს „თელასი“	1 (მსუბუქი)	შდ-ის მოთხოვნების დარღვევა მიწის გათხრის დროს, 6/10კვ კაბელის აღდგენის მიზნით მიწის გათხრის დროს.
2023	სს „თელასი“	1 (მსუბუქი)	შდ-ის მოთხოვნების დარღვევა გაზომვის სამუშაოების ჩატარების დროს მოძრავი ლაბორატორიის გამოყენებით
2024	სს „თელასი“	1 (მსუბუქი)	ძაბვის ტრანსფორმატორის აფეთქება და ცეცხლი, რომელიც წარმოიქმნა მოკლე შერთვის შედეგად.

თითოეული შემთხვევის მიხედვით შემუშავებული და რეალიზებული იქნა ტრავმატიზმის პროფილაქტიკაზე მიმართული ღონისძიებები.

2024 წელს ხარჯებმა შრომის დაცვაზე შეადგინა:

№	მაჩვენებლები	განზ. ერთეული	თანხა, დღგ-ს გარეშე 2023წ.	თანხა, დღგ-ს გარეშე 2024წ.
1	ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და ელ.დაცვის საშუალებების შეძენა	ლარი	243.898	556.631
2	წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებები	ლარი	16.088	39.870
3	მედიკამენტების და პირველადი დახმარების კომპლექტის შეძენა	ლარი	3.392	6.762
	სულ	ლარი	263.378	603.263

სახანძრო უსაფრთხოება

2024 წელს სს „თელასში“ ხანძარი არ ყოფილა დაფიქსირებული.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების ქვედანაყოფებში ტარდებოდა პერიოდული შემოწმებები პერსონალის მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის ნაწილში. ანალიზის შედეგების მიხედვით გამოვლენილი იქნა წესებისგან გადახრები, შემუშავებული და შესრულებული იქნა პროფილაქტიკური ღონისძიებები.

საანგარიშო პერიოდში, დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, ჩატარდა სასწავლო ვარჯიშები სს „თელასის“ თანამშრომლების მოქმედების საკითხებთან დაკავშირებით ხანძრის გაჩენისას საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში.








თელასი


სიფრთხილე
ძაბვაა

სს „თელასის“ ელექტრულ ქსელზე ტექნოლოგიური მიერთებები 2024 წლის განმავლობაში

ახალი აბონენტების მიერთების პროექტები საზოგადოების საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. პროექტები გულისხმობს ახალი აბონენტებისთვის ქსელის მოწყობას, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 28.06.2021წ. N19 დადგენილების თანახმად. სამუშაოების მოცულობები, ახალი მიერთებების პროექტების მიხედვით მასალების რაოდენობა მთლიანად დამოკიდებულია მომხმარებლებისგან შემოსულ მოთხოვნებში მითითებულ მოთხოვნილ სიმძლავრეებზე. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 28.06.2021წ. N19 დადგენილების საფუძველზე მიერთებაზე განაცხადების შესრულება განხორციელებული უნდა იქნას შეზღუდულ ვადაში (40-დან 90 დღემდე სიმძლავრიდან გამომდინარე). მიერთებაზე განაცხადის შესრულების ვადების თითოეული დარღვევა იწვევს ჯარიმას (პაკეტის ღირებულების 50%).


2024 წლის განმავლობაში ახალი მომხმარებლებისგან, სიმძლავრის გაზრდაზე მომხმარებლებისგან და არსებული მომხმარებლებისგან სულ შემოვიდა 11213 განცხადება მიერთებაზე ჯამური სიმძლავრით 400.6 ათასი კვტ, განხორციელდა მომხმარებელთა ელექტრულ ქსელზე 6441 ტექნოლოგიური მიერთება, საერთო ჯამური სიმძლავრით 218 ათასი კვტ. მათ შორის, 6398 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 184.7 ათასი კვტ ძაბვაზე 0,4 კვ (მიერთებების საერთო სიმძლავრის 85%), 43 მიერთება საერთო ჯამური სიმძლავრით 33.3 ათასი კვტ ძაბვაზე 6/10 კვ (მიერთებების საერთო სიმძლავრის 15%).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია სრული მიერთებების რაოდენობა (ახალი მომხმარებლების განაცხადები და განაცხადები სიმძლავრის გაზრდაზე) და მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე:


№	მიერთების ძაბვა	ტექნოლოგიურ მიერთებაზე შეტანილი განაცხადების რაოდენობა, ც		სიმძლავრე ტექნოლოგიურ მიერთებაზე შეტანილი განაცხადების მიხედვით, მვტ		ფაქტობრივი მიერთება, ც.		ფაქტობრვად მისაერთებელი სიმძლავრე, მვტ	
		2023	2024	2023	2024	2023	2024	2023	2024
1	0,4 კვ	9209	11102	201	343.9	6545	6398	153.6	184.7
2	6-10 კვ	76	107	45.4	45.2	39	43	27	33.3
3	35-110 კვ	1	4	5.1	11.5	0	0	0	0
	სულ	9286	11213	251.5	400.6	6584	6441	180.6	218

2024 წელს ახალი მომხმარებლების მიერთებიდან, სიმძლავრის გაზრდის მომხმარებლებისგან და არსებული მომხმარებლებისგან ფაქტობრივად დარიცხული თანხა, დღგ-ს ჩათვლით, შეადგენს სულ 45 517 ათას ლარს, გეგმასთან 38 786 ათას ლართან შედარებით. ჯარიმებმა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ახალ მომხმარებელთა ქსელზე მიერთების შესასრულებლად დადგენილი ვადების დარღვევისთვის შეადგინა 1 283 ათასი ლარი. ხარჯებმა 2024 წელს ზემოაღნიშნული განაცხადების შესრულებაზე შეადგინა 38 685 ათასი ლარი., გეგმასთან 32 869 ათას ლართან შედარებით. გეგმისგან გადახრა მიერთებებიდან შემოსავლების ნაწილში გამოწვეულია მიერთებაზე განაცხადების ტიპების ცვლილებით (ანუ განაცხადების შემოსვლა იყო პაკეტების უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე დაგეგმილი იყო).

ტექნოლოგიური მიერთებების დიაგრამა 2023 - 2024 წწ. მიერთებების ფაქტობრივი სიმძლავრე, ათასი კვტ



ხელშეკრულებების და ტპ-ის მიხედვით სრული მიერთებების რაოდენობა, ცალი




საქმიანობა რემონტების დარგში

ელექტროქსელური მეურნეობის ობიექტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი ხორციელდება საზოგადოების საკუთარი ძალებით, ასევე მოზიდული კონტრაგენტების მეშვეობით.
2024 წლის განმავლობაში ტექნიკურ მომსახურებასა და სარემონტო საქმიანობაზე (კაპიტალური რემონტები, მიმდინარე რემონტები, ტექნიკური მომსახურება, ადმინისტრაციული შენობები და ნაგებობები, ატ და სპეციალური ტექნიკა და სხვა არაპროფილური სფეროები) ფაქტობრივმა დანახარჯებმა შეადგინა 7 969,76 ათასი ლარი, რაც 477,48 ათასი ლარით მეტია დაგეგმილ ხარჯებზე (სს „თელასის" 2024 წლის ტექნიკური მომსახურების და მოწყობილობების რემონტების (ტმდამრ) პროგრამის თანახმად).

მათ შორის, ფაქტობრივმა ხარჯებმა მხოლოდ ელექტრული ქსელის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტზე (საწარმოო შენობებისა და ნაგებობების ტმდარ-ს ჩათვლით) შეადგინა 6 550,86 ათასი ლარი (მათ შორის, სამეურნეო წესით 4 746,99 ათასი ლარი, მენარდეების საშუალებით 1 803,87 ათასი ლარი), რაც 390,46 ათასი ლარით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე, ხოლო არასაწარმოო სფეროს რემონტის ხარჯებმა შეადგინა ფაქტით 873,63 ათასი ლარი, გეგმასთან 808,10 ათასი ლარის შედარებით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

- ეგხ_6-110 კვ იზოლატორების შეცვლა, მოცულობით 22 ც.;
- ეგხ 0.4-110 კვ სადენების შეცვლა, მოცულობით 5,261 კმ;
- საყრდენის შეცვლა/გაძლიერება ეგხ 0.4-110 კვ, მოცულობით 66 ც.;
- სეგხ 6-110 კვ ტრასების გაწმენდა, მოცულობით 1,63 ჰა;
- საკაბელო ეგხ-0,4-35 კვ რემონტი, მოცულობით 13,840 კმ;
- ამომრთველების 35-110 კვ რემონტი, მოცულობით 22 ც.;
- 19 სექციის 6-10 კვ დაგეგმილი რემონტი მ/ძ რეგლამენტურ ქს-ში (გარდა ამისა, ცალკეულ უჯრედებში 14 ც. რაოდენობით);
- გამთიშველების 35-110 კვ რემონტი, მოცულობით 26 ც.;
- ძალოვანი ტრანსფორმატორების 6-110 კვ რემონტი, მოცულობით 156 ც.;
- გმ 35-110 კვ რემონტი, მოცულობით 42 ც.;
- გმ РУ 0,4-10(6) კვ რემონტი სქ-ში, მოცულობით 368 ც.;
- სდაა მოწყობილობების შეცვლა და რემონტი, მოცულობით 268 ც.;
- საწარმოო შენობების და ნაგებობების რემონტი ქს-110(35) და 10(6) კვ, მოცულობით 236ც.




რემონტების სტრუქტურა 2024 წელს (კრ+მრ+ტმ)

ელექტრულ ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგები

2021 წლის 1 ივლისიდან მოხდა კომპანიის საქმიანობის შეცვლა, საზოგადოება დაკავებულია მხოლოდ ქსელური მომსახურებით. 2024 წელს ქსელში ელექტროენერგიის გაშვებამ, ტრანზიტის ჩათვლით, შეადგინა 3757 მლნ კვტ*სთ. სასარგებლო გაშვებამ შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ აბონენტების მიერ მოხმარებისთვის შეადგინა 3 194 მლნ კვტ*სთ. სს „თელასის“ ქსელში ელექტროენერგიის ჯამურმა დანაკარგებმა შეადგინა 230 მლნ კვტ*სთ.

ელექტროენერგიის ქსელში გაშვების საერთო დანაკარგებმა შეადგინა ფაქტით 6.1%, გეგმასთან 6.2% შედარებით.

ქსელებში ელექტროენერგიის შესყიდვის, განაწილების და დანაკარგების დიაგრამა



VI. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- ქსელის გაფართოება მისი გამტარუნარიანობის გასაზრდელად და ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების შესაძლებლობის ასამაღლებლად;
- არსებული ქსელის რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია.

სს „თელასის“ ძირითადი მიზნებია:

- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- საზოგადოების ელექტრულ ქსელებში ელექტროენერგიის დანაკარგების მინიმუმამდე დაყვანა;
- საწარმოო აქტივების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ენერგეტიკული ეფექტურობის ამაღლება, რაც მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს საზოგადოების კონკურენტუნარიანობას და ფინანსურ მდგრადობას, სამრეწველო და ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის პირობით.

ასევე სს „თელასის“ საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია საწარმოო აქტივების უსაფრთხოების, საიმედოობის, მართვადობის და ეფექტურობის დონის ამაღლება, თანამედროვე მოწყობილობების, ტექნიკური საშუალებების, ტექნოლოგიური და მმართველობითი პროცესების და ინსტრუმენტების დანერგვის ხარჯზე.

სს „თელასი“ აგრძელებს მოწყობილობების მიმდინარე და კაპიტალური რემონტების განხორციელებას ძაბვის ყველა კლასის მიხედვით, ტექნიკური მომსახურების და რემონტის პროგრამის შესაბამისად, ასევე ფიზიკურად და მორალურად მოძველებული აღჭურვილობისა და მოწყობილობების შეცვლას (განსაზღვრული ნაწილის), ტექნიკურ გადაიარაღებას და

რეკონსტრუქციას: მაღალი ძაბვის ქვესადგურების (35-110 კვ), ცგპ (6-10 კვ), ეგხ (6-10-35-110 კვ), საკაბელო ხაზების (6-10-35 კვ), ძალოვანი ტრანსფორმატორების კაპიტალურ რემონტს და ა.შ. 2023 წელს ელექტრული მეურნეობის ცვეთამ შეადგინა 35,4%, ხოლო 2024 წელს შემცირდა 33,1%-მდე. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს ზეთსავსე ამომრთველების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა (1719 ერთ.-მდე), რამაც შეადგინა ამომრთველების საერთო რაოდენობის 42,8%, 2023 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 48,4%.

სს „თელასის" ტექნიკური პოლიტიკის შესაბამისად, ტექნიკური გადაიარაღების და რეკონსტრუქციის დროს ძირითადად გამოიყენება ელეგაზური და ვაკუუმური ამომრთველები ელექტროძრავიანი ამძრავებით და სდა-ს ციფრული მიკროპროცესორული მოწყობილობებით, ანტიფერორეზონანსული ძაბვის ტრანსფორმატორები, გადაძაბვისაგან შემზღუდველები თუთია-ოქსიდური რეზისტორების საფუძველზე, კომპლექტური გამანაწილებელი მოწყობილობები ელეგაზური და საჰაერო იზოლაციით, კაბელები შეკერილი პოლიეთილენის იზოლაციით და თანამედროვე ტიპის სხვა მოწყობილობები.

სს „თელასი" აგრძელებს მუშაობას 6-10 კვ ქსელში მოკლე შერთვის დენების მაჩვენებლების დაყენებას, რაც გათვალისწინებულია 2025-2029 წ.წ. საინვესტიციო პროგრამაში (კაპიტალური რემონტები), რომლის შედეგი იქნება ავარიების ლიკვიდაციის დროის შემცირება. 2025 წელს კომპანია გააგრძელებს მუშაობას ელექტროქსელური მეურნეობის განახლებასა და პროგრამების რეალიზაციაზე, რომლებიც მიმართულია ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლებაზე. კერძოდ, სს „თელასს" დაგეგმილი აქვს ახალი 35/10/6 კვ ქვესადგურის მშენებლობის დასრულება; ქვესადგურში „დიღომი 1" 110კვ გამანაწილებელი მოწყობილობების, ქვესადგურში „ლისი 220" 10 კვ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების, ქვესადგურში „ორხევი" 6/10 კვ დახურული გამანაწილებელი მოწყობილობების და ა.შ. რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოების ჩატარება.

ქ. თბილისის მოსახლეობის, სახელმწიფოს და კომერციული ორგანიზაციების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" მრავალი წლის მანძილზე საზოგადოებას, როგორც ქ. თბილისში ელექტროენერგიის განაწილების ერთადერთ ლიცენზიატს, გადასცემს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სატრანსფორმატორო ქვესადგურებს, შემდგომი მოვლა-პატრონობის და აბონენტების სტაბილური და ხარისხიანი ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით. მუშაობა ამ მიმართულებით მიმდინარეობდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში და მომავალშიც გაგრძელდება.

ამასთან ერთად, საზოგადოება ახორციელებს სააუქციონო ვაჭრობებზე მცირე კვადრატურის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში შეძენას, მათზე შემდგომ ენერგოობიექტების განთავსების მიზნით ახალი განაშენიანების ტერიტორიების ელექტროენერგიით უზრუნველსაყოფად, არსებული ელექტროგამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის და განვითარებისთვის. ამით, ელექტრომეურნეობის მოწყობა, ასევე დედაქალაქის და მისი შემოგარენის მომარაგების ახალი ალტერნატიული წყაროების შექმნა უმეტესწილად შედის როგორც სამომხმარებლო, ასევე კომერციული სექტორების ინტერესებში.

ბოლო დროს გახშირდა ქ. თბილისის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" მხრიდან საკუთრებაში მიწის ნაკვეთების შეძენაზე უარის შემთხვევები, გრძელვადიანი იჯარის სახით 10-15 წლის ვადით მიწის ნაკვეთების შეძენის ერთდროული შეთავაზებით, რაც ახალი ენერგოობიექტების მოწყობის თვალსაზრისით წარმოქმნის პრობლემებს, ვინაიდან იჯარა ყოველთვის შეიცავს რისკს ობიექტების ფუნქციონირების მიმართ, ასევე მნიშვნელოვნად ზრდის დანახარჯებს, რაც ხელს უშლის საზოგადოების შესაძლებლობების ზრდას, რომელიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა და ავტომატურად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მის განვითარებაზე. თავის მხრივ საზოგადოება აგრძელებს მუშაობას ქ. თბილისის მერიასთან საჯარო აუქციონებზე საკუთრების უფლების მიწის ნაკვეთების შეძენაზე, იმ არგუმენტით, რომ იჯარასთან დაკავშირებით გაზრდილი დანახარჯები აისახება ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფში და შესაძლოა წარმოიქმნას ტარიფის გადასინჯვის საჭიროება.

VII. საინვესტიციო საქმიანობა

2024 წლის განმავლობაში საზოგადოებამ განახორციელა ინვესტიციები კაპიტალდაბანდებების ფორმით, შემდეგი მოცულობით:

№	მუხლების დასახელება	
1	დაფინანსება, ათასი ლარი, დღგ-ს ჩათვლით	154 861
2	ათვისება, ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე	160 505
3	ძს შეყვანა, ათასი ლარი, დღგ-ს გარეშე	135 610

VIII. საქმიანობა შესყიდვების დარგში

შესყიდვის საქმიანობის განხორციელების დროს, საზოგადოება ხელმძღვანელობს შემდეგი ნორმატიული დოკუმენტებით:

- დებულება სს „თელასის“ საჭიროებისთვის საქონლის, სამუშაოების მომსახურების რეგლამენტირებული შესყიდვების ჩატარების წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით (სს-ს ოქმი №286, 06.12.2022 წ.);
- სს „თელასში“ წშკპ ფორმირების, კორექტირების და შესრულების კონტროლის ბიზნეს-პროცესის რეგლამენტი, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ გენერალური დირექტორის 13.09.2023 წ. №514 ბრძანებით;
- სს „თელასის“ ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მუშაობის რეგლამენტი, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ 09.12.2024წ. №753 ბრძანებით.

საზოგადოების 2024 წლის წლიური შესყიდვების კომპლექსური პროგრამა მოიცავდა შესყიდვებს 540 ლოტის შესაბამისად, ღირებულებით 279 025.94 ათასი ლარი. წშკპ-ს შესრულების მოცულობამ 2024 წლის შედეგების მიხედვით (წშკპ-ში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით ცენტრალური შემსყიდველი კომიტეტის ოქმების/ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილებების შესაბამისად) შეადგინა ღირებულებით – 79,5% და რაოდენობით – 82,4%.

2024 წელს ამ თარიღისთვის ჩატარებული და დასრულებულია რეგლამენტირებული საკონკურსო და არასაკონკურსო შესყიდვები 445 ლოტის მიხედვით.

ინფორმაცია გამარჯვებულის არჩევით ჩატარებული შესყიდვის პროცედურების შესახებ 2024 წ.

შესყიდვების რაოდენობა		
მტრ	სამუშაოები/მომსახურება	სულ
179	266	445

IX. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა

2021 წლის 1 ივლისამდე სს „თელასის" საქმიანობის ძირითადი სახეობა იყო ელექტროენერგიით მომხმარებელთა მომარაგება და ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. 2021 წლის 1 ივლისიდან ენერგოკომპანიის მიწოდების და განაწილების ფუნქციები გაიყო, შედეგად, სს „თელასის" საქმიანობის ძირითადი სახეობა გახდა ქსელური მომსახურების გაწევა (ელექტროენერგიის გადაცემა) ქ. თბილისში. ძირითად რისკებად, რომელთაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე ამ მიმართულებით, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი.

ძირითადი რისკები:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს ტარიფების დაუსაბუთებელი სახელმწიფო რეგულირების რისკი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ ისეთი ტარიფების დამტკიცებასთან, რომლებიც არ ფარავს საზოგადოების დანახარჯებს. კომპანიაში მიმდინარეობს გეგმური მუშაობა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან აღნიშნული რისკის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

2020 წლის 16 აპრილს საქართველოს მთავრობამ №246 დადგენილებით დაამტკიცა ელექტროენერგიის ბაზრის კონცეფცია (ბაზრის კონცეფცია): 2021 წლის 1 ივლისიდან ენერგოკომპანიის მიწოდების ფუნქცია და განაწილების ფუნქცია გაიყო, რის შედეგადაც კომპანიაზე აღარ ახდენს ზეგავლენას ელექტროენერგიის შესყიდვის ფასის არახელსაყრელი მერყეობა, რადგან კომპანია დაკავებულია მხოლოდ განაწილების საქმიანობით, შესაბამისი მარჟის გამოყენებით.

2024 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულის კომისიის 2023 წლის 30 ნოემბრის N49 დადგენილებით სს „თელასისთვის" დადგენილია განაწილების ტარიფები, რომლებიც მოქმედებს 2026 წლის 1 იანვრამდე.

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყნის და რეგიონალურ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების ცვლილებასთან. ცვლილება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის" ფინანსურ მდგომარეობაზე, არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის ცვლილება, რომლის თანახმად კომპანია იბეგრება მოგების გადასახადით მოგების დივიდენდების სახით განაწილების შემთხვევაში.

ქ. თბილისის ეკონომიკური განვითარება, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის" სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელობაზე, ძირითად დადებითია.

რისკები, რომლებიც დაკავშირებულია შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობის შემოღებასა და გაფიცვებთან, რეგიონში არ არსებობს.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსების ზეგავლენის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ შესყიდვებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ქართული ლარისგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკებისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლართან მიმართებით საანგარიშო პერიოდში:

თვე	გეგმა	ფაქტი
იანვარი	3.17	2.68
თებერვალი	4.04	2.66
მარტი	3.28	2.70
აპრილი	3.39	2.68
მაისი	3.39	2.80
ივნისი	3.51	2.81
ივლისი	3.64	2.72
აგვისტო	3.64	2.69
სექტემბერი	3.77	2.73
ოქტომბერი	3.90	2.75
ნოემბერი	3.90	2.78
დეკემბერი	4.04	2.81

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. საოპერაციო ნაღდი ფულის შემოსავალი და მოძრაობა, არსობრივად, დამოუკიდებელია საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისგან. საზოგადოება ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს, გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების რყევის შედეგად.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საზოგადოების ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკი. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სს „თელასის“ ლიკვიდურობაზე, არის სს „თელასისთვის“ შესაძლებლობის არარსებობა შეასრულოს თავისი ვალდებულებები გარე კრედიტორების, აქციონერების და სხვა კონტრაგენტების წინაშე. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საზოგადოების საოპერაციო ხარჯების ზრდას და საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

მდგრადი განვითარების სფეროში მიზნების მიუღწევლობის რისკი:

რისკი, რომელიც ზეგავლენას ახდენს გარემოზე. ძირითად ფაქტორს წარმოადგენს მდგრადი განვითარების სფეროში „ბრძოლა კლიმატის ცვლილებასთან“ მიზნების მიუღწევლობა, რაც დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან.

რისკი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სოციალურ სფეროზე. მდგრადი განვითარების, ღირსეული სამუშაოს და ეკონომიკური ზრდის სფეროში მიზნების მიუღწევლობა წარმოადგენს იმ რისკის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებებზე. თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების გაუარესება, საშუალო ხელფასის შემცირება, რომელიც იზომება „საშუალო თვიური შაფ-ი საშუალო სიითი რიცხოვნობის 1 მუშაკზე" მაჩვენებლით, თანამშრომელთა უცვლელი რაოდენობის და ტრავმატიზმის ზრდის მაჩვენებლის არსებობისას, წარმოადგენს რისკის შედეგებს და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სს „თელასის" საოპერაციო საქმიანობაზე.

რისკი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე. მდგრადი განვითარების, ინდუსტრიალიზაციის, ინოვაციის და ინფრასტრუქტურის სფეროში მიზნების მიუღწევლობას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სს „თელასის" ეკონომიკურ საქმიანობაზე, აქედან გამომდინარე გაუარესდება აბონენტების მომსახურების ხარისხი, შესაძლებელია შენიშვნის მიღება მარეგულირებლისგან და საჯარიმო სანქციები ქსელზე დაგვიანებით მიერთებისთვის.

საზოგადოების მიერ განხორციელებული მოქმედებები და ზომები რისკების და მათი ფაქტორების მინიმუმამდე დასაყვანად, გულისხმობს ღონისძიებების გატარებას რისკებსა და მდგრადი განვითარების სფეროში მიზნებთან დაკავშირებით, შესაბამისად:

- ISO სერტიფიკატის ყოველწლიური განახლება საერთაშორისო აუდიტორების მიერ;
- გრეიდების გადასინჯვა;
- იმდ-ს გადასინჯვა;
- ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით დამატებითი შესვენების გაზრდა;
- სადეკრეტო შვებულების სრული გადახდა;
- იდს-ს საკმარისი რაოდენობის შესყიდვა;
- ელექტროქსელში მომუშავე ბრიგადების ყოველდღიური შემოწმება;
- პერსონალის საკვალიფიკაციო გამოცდების დროული და ხარისხიანი ჩატარება;
- ელექტროქსელში მომუშავე თანამშრომელთა დროული სამედიცინო გამოკვლევის კონტროლი;
- ახალი მომხმარებლების სს „თელასის" გამანაწილებელ ქსელზე მიერთება მოთხოვნილი სიმძლავრეების მიხედვით საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის დადგენილების №19 შესაბამისად;
- ახალი ქსელის მშენებლობა და გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მისაერთებლად ქსელის განვითარება.

კონსტრუქციული ურთიერთობები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან და ქ. თბილისის ადმინისტრაციასთან, განვითარებული ელექტროქსელური ინფრასტრუქტურის არსებობა, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ბაზრის კარგი ცოდნა, საზოგადოების დადებითი საკრედიტო ისტორია, მაღალკვალიფიციური პერსონალის არსებობა, დანახარჯების მართვის გამოცდილება, საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების გამოცდილება საზოგადოებას საშუალებას აძლევს თავისი საქმიანობა განახორციელოს ენერგეტიკული კომპანიების მიმართ წაყენებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

X. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

საკრედიტო რისკი.

კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს კონტრაგენტის უუნარობას გადაიხადოს საჭირო თანხები სრული მოცულობით დადგენილ ვადაში. ფინანსური აქტივები, რომლებთან დაკავშირებითაც კომპანიას წარმოექმნება პოტენციური საკრედიტო რისკი, წარმოდგენილია, ძირითადად, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების სახით. კომპანია მონოპოლისტია ქ. თბილისში, მისი საქმიანობა რეგულირდება განსაზღვრული დებულებებით, ამიტომ კომპანიის შესაძლებლობები საიმედო მომხმარებლების არჩევაში შეზღუდულია. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, ასევე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების დაფარვის ტემპები ექვემდებარება ეკონომიკურ ფაქტორებს, კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შექმნილი რეზერვის თანხაზე მეტის დანაკარგის არსებითი რისკი, დებიტორული დავალიანების შემცირების მიხედვით, არ არსებობს.

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის არსებითი კონცენტრაცია, რადგან მისი პორტფელი დივერსიფიცირებულია საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლების დიდი რაოდენობით.

ნაღდი ფულადი სახსრების ნამეტი განთავსებულია ფინანსურ დაწესებულებებში, რომლებიც განსაზღვრულა კონტრაგენტი ბანკების შერჩევის მოქმედი კრიტერიუმების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბერის გადაწყვეტილები (სს-ს ოქმი №330), და რომლებსაც განთავსების მომენტისთვის აქვთ დეფოლტის მინიმალური რისკი.

საბაზრო რისკი.

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები უპირატესად დაკავშირებულია კომპანიისათვის დადგენილ ტარიფებთან (განაწილების ტარიფი). მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გარკვეული ტარიფების დადგენაზე, საბოლოო გადაწყვეტილება ტარიფების დონის შესახებ მიიღება მისი მონაწილეობის გარეშე.

გარდა ამისა, კომპანიას აქვს ღია პოზიციები საპროცენტო განაკვეთებსა და სავალუტო ინსტრუმენტებთან მიმართებით, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და სპეციფიურ რყევებს.

სავალუტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების შესაძლებლობის შედეგად ვალუტების კურსის ცვლილებების ზეგავლენით. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტების კურსების რყევას, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობის გამო, ხელმძღვანელობას არ აქვს კომპანიის სავალუტო რისკის ჰეჯირების შესაძლებლობა.

სს „თელასი“ ფლობს შემდეგ ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში:

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	2023 (ათასი ლარი)	2024 (ათასი ლარი)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	144	677
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(1 654)	(1 463)
საიჯარო ვალდებულებები	(1 990)	(1 755)
ნეტო-პოზიცია 31 დეკემბრისთვის	**(3 501)**	**(2 541)**

თანხები, რომლებიც გამოხატულია სხვა ვალუტაში და სავალუტო კურსების შესაბამისი ცვლილებები არ არის არსებითი რისკის ანალიზის მიზნებისთვის.

ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვის სათანადო პრაქტიკა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და დაფინანსების შენარჩუნებას, საჭირო მოცულობით ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების უზრუნველყოფის საშუალებით. კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილი წარმოადგენს ვალდებულებას დაკავშირებული მხარეების წინაშე. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული საზოგადოებას ანიჭებს საკმარის მოქნილობას მათი დაფარვის ვადებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მისი ბიზნესის ადეკვატურ ლიკვიდურობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

XI. შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემის მიმოხილვა ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით

შიდა კონტროლის და რისკების მართვის სისტემა დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან, რომლებიც შემდეგია:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების კონტროლი პასუხობს შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებები და უფლებები არსებობს საანგარიშო თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების მიხედვით ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომლებსაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია, სხვა მოვლენები და გარემოებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება ამ პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და მოვალეობები – საზოგადოებას აქვს უფლებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ პასივებზე საანგარიშგებო თარიღისთვის;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავლები და ხარჯები ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტული შეფასებით და ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტ თანხებში და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები სათანადოდ არის აღწერილი, კლასიფიცირებული და გახსნილი.

2. რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორებიცაა იმ რისკების გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე.
3. მონაცემების უტყუარობის შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ ან მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, საწყისი მონაცემების უტყუარობის დადასტურების მიზნით (კონტრაგენტებთან / სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ფინანსური ანგარიშგების მუხლები).

XII. საზოგადოების რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა

საზოგადოებაში ფუნქციონირებს რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემა (რმდაშკ), რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ბიზნეს-პროცესებს, საქმიანობის მიმართულებებს და მართვის დონეებს. პრინციპები და მიდგომები, რომლებითაც ხელმძღვანელობს საზოგადოება რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სფეროში, შემდეგია: მთლიანობა, ფუნქციონირების უწყვეტობა, ადაპტიურობა, მეთოდოლოგიური ბაზის ერთიანობა, პასუხისმგებლობა და უფლებამოსილებების გამიჯვნა, პრიორიტიზაცია და გონივრული საკმარისობა, დროულობა და პრევენტიულობა,

მუდმივი განვითარება და სრულყოფა, კორუფციასა და თაღლითობასთან ბრძოლა, კომპლაენსის უზრუნველყოფა.

რმდაშკ აგებულია რისკების მართვის და შიდა კონტროლის რეკომენდებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მრავალდონიანი იერარქიული სისტემის სახით მართვის სხვადასხვა დონეებზე: სამეთვალყურეო საბჭოს, მართვის აღმასრულებელი ორგანოების, რისკების მფლობელების, მუშაკების დონეზე.

საქმიანობის კოორდინაციის ფუნქცია რმდაშკ-ს ფარგლებში ხორციელდება საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ დანიშნული პირის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია რისკების მართვის და შიდა კონტროლის საქმიანობის კოორდინაციაზე.

რმდაშკ სისტემის ამოცანებია:

- საზოგადოების მიერ მიზნების მიღწევაში გონივრული რწმენის უზრუნველყოფა;
- სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის და რესურსების ეკონომიური გამოყენების ეფექტურობა;
- საზოგადოების საქმიანობის მიმართ აქციონერთა და ინვესტორთა მაღალი დონის ნდობის უზრუნველყოფა;
- აქტივების დაცულობა;
- საკანონმდებლო და შიდა ნორმატიული დოკუმენტების დაცვის კონტროლი;
- ბუღალტრული (ფინანსური), სტატისტიკური, მმართველობითი ანგარიშგების სისრულის და უტყუარობის უზრუნველყოფა, საგადასახადო ანგარიშგების მიმართ მოთხოვნების დაცვა;
- კონტროლი კანონმდებლობის, ასევე შიდა ნორმატიული დოკუმენტების და პროცედურების, საქმიანი ეთიკის დაცვაზე.

საზოგადოებაში რმდაშკ სისტემის სრულყოფის მიზნით შემუშავებული და დანერგილია შემდეგი ღონისძიებები:

- ე/ე ალტერნატიული მიმწოდებლების ძიება და პირდაპირი ხელშეკრულებების გაფორმება;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან რეგულარული მუშაობის ჩატარება;
- თითოეული კონტრაგენტი ბანკის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესაძლო შეუსრულებლობის რეგულარული მონიტორინგის განხორციელება და ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობის არსებითი ზრდის შემთხვევაში, ზომების მიღება ვალდებულებების ვადამდე მოთხოვნით და ასეთი ვალდებულებების ზრდის ოდენობის დაუშვებლობა;
- კონტრაგენტ ბანკებთან (არსებობის შემთხვევაში) ოპერაციებზე დამტკიცებული ლიმიტების დაცვის უზრუნველყოფა და განთავსებული ფულადი სახსრების დივერსიფიკაცია კონტრაგენტ ბანკებს შორის დამტკიცებული ლიმიტების ფარგლებში.

რისკების მართვის და შიდა კონტროლის პროცესის ეტაპები საზოგადოებაში ფორმირებულია შემდეგნაირად:

- შმდარკ სისტემის მიზნობრივი ორიენტირების განსაზღვრა:
- რისკების გამოვლენა კონტროლირებადი და არაკონტროლირებადი ფაქტორების გათვალისწინებით;
- რისკებისა და რისკ-ფაქტორების შეფასება და პრიორიტიზაცია;
- რისკებზე რეაგირების ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია, შემდეგის ჩათვლით:
- კონტროლის პროცედურები;
- რისკების და რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და კონტროლი;
- პერიოდული და წლიური ანგარიშგების ფორმირება და რისკების მართვის და შიდა კონტროლის შესახებ ინფორმაციის გახსნა;
- რმდაშკ-ს სისტემის ფუნქციონირების შეფასება.

რმდაშკ-ს ორგანიზების ფარგლებში დამტკიცდა შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც ახორციელებს მუშაობის რეგლამენტირებას რისკების და შიდა კონტროლის მართვის სფეროში:

1. სააქციო საზოგადოება „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკა (სს-ს ოქმი №312, 13.02.2024 წ.);
2. პროცესის რეგლამენტი „რისკების მართვა და შიდა კონტროლი“ პრ-560-3 (გდ-ის №707 ბრძანება, 29.11.2022 წ.);
3. მეთოდიკა „რისკების მართვის ღონისძიებების ფორმირება და ანგარიშგება მათი შესრულების

შესახებ" მთ-538-2 (გდ-ის №707 ბრძანება, 29.11.2022 წ.);
4. მეთოდიკა „საპროექტო რისკების მართვა" მთ-539-2 (გდ-ის №707 ბრძანება, 29.11.2022 წ.);
5. მეთოდიკა „რისკების და რისკების ფაქტორების გამოვლენა, ანალიზი და შეფასება" მთ-540-2 (გდ-ის №707 ბრძანება, 29.11.2022 წ.);
6. მეთოდიკა „საკონტროლო პროცედურების შემუშავება და ოპტიმალური შიდა კონტროლის შექმნა" მთ-541-2 (გდ-ის №707 ბრძანება, 29.11.2022 წ.);
7. მეთოდიკა „რისკების, რისკების ფაქტორების დასაშვები დონეების განსაზღვრა და მათი პრიორიტიზაცია" მთ-542-2 (გდ-ის №707 ბრძანება, 29.11.2022 წ.);
8. პროცესის რეგლამენტი „სს „თელასის" ფინანსური რისკების მართვა" პრ 517-3 (სს-ს ოქმი №285, 15.11.2022 წ.);
9. სს „თელასის" ფინანსური რისკების მართვის მეთოდიკა (სს-ს ოქმი №285, 15.11.2022 წ.).

რისკების მართვა ხორციელდებოდა კომპანიაში შემუშავებული რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ძირითადი დოკუმენტების შესაბამისად - მიზნობრივი ორიენტირებით საზოგადოების რისკების მართვის მიზნებისთვის. დამტკიცდა სს „თელასის" ტიპური რისკების ჩამონათვალი (სს „თელასის" გენერალური დირექტორის 2020 წლის 15 აპრილის №296 ბრძანება) და 2023 წლის რისკ-აპეტიტი (სს „თელასის" გენერალური დირექტორის 17.03.2023 წ. №169 ბრძანება). ასევე სს „თელასის" გენერალური დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №308 ბრძანებით დამტკიცდა რისკების ზეგავლენის შეფასების დამატებითი მაჩვენებლები - მიზნები მდგრადი განვითარების სფეროში.

საზოგადოებაში რისკების მართვის და შიდა კონტროლის საიმედოობის და ეფექტურობის შესაფასებლად ორგანიზებულია საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტის ამოცანებია:

- რისკების მართვის, შიდა კონტროლის და კორპორაციული მართვის სისტემების საიმედოობის და ეფექტური ფუნქციონირების კონტროლი;
- სამეთვალყურეო საბჭოსთვის საზოგადოების აუდიტისა და ანგარიშგების სფეროში რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა;
- გარე აუდიტის ფუნქციების განხორციელების დამოუკიდებლობის და ობიექტურობის, გარე აუდიტის ჩატარებაზე ზედამხედველობის და აუდიტორული შემოწმების და აუდიტორების დასკვნების შესრულების ხარისხის შეფასების უზრუნველყოფა;
- საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების სისრულის, სიზუსტის და ნამდვილობის უზრუნველყოფის კონტროლი;
- კონტროლი საზოგადოების მუშაკების და მესამე პირების არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პოტენციური შემთხვევების შესახებ შეტყობინების სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე (მათ შორის, ინსაიდერული ან კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერ გამოყენებაზე), ასევე საზოგადოებაში სხვა დარღვევებზე;
- კონტროლი ზომების რეალიზაციაზე, რომლებიც მიღებული იქნა საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ მუშაკების მხრიდან არაკეთილსინდისიერი მოქმედებების პოტენციური შემთხვევების ფაქტების ან სხვა დარღვევების მიხედვით.

XIII. ანგარიში საზოგადოების აქციების მიხედვით გამოცხადებული (დარიცხული) დივიდენდების გადახდის შესახებ

საზოგადოების წესდების შესაბამისად (მე-3 მუხლი, მე-11 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი), აქციების მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ საზოგადოების მიერ გამოცხადებული დივიდენდები.

2024 წლის 12 მარტს აქციონერთა არაგგარეშე საერთო კრების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჩვეულებრივი აქციების მიხედვით დივიდენდების გადახდის შესახებ. ამ გადაწყვეტილების თანახმად სს „თელასმა“ გაანაწილა გასული წლების გაუნაწილებელი მოგება 18 000 488 ლარის ოდენობით.

	2021 წ. შედეგების მიხედვით	2022 წ. შედეგების მიხედვით	2023 წ. შედეგების მიხედვით	გასული წლების მოგებიდან (2024წ. გადახდილი იქნა)
დივიდენდების საერთო თანხა	-	-	-	18 000 488 ლარი
დივიდენდების ოდენობა ერთ ჩვეულებრივ აქციაზე	-	-	-	0.16 ლარი
სადივიდენდო შემოსავლიანობა ჩვეულებრივი აქციების მიხედვით	-	-	-	0.16 ლარი


XIV. საზოგადოების სააქციო კაპიტალის სტრუქტურა

სს „თელასის“ კაპიტალი შეადგენს 112 429 418 ლარს და დაყოფილია 112 429 418 ჩვეულებრივ აქციად ნომინალური ღირებულებით თითოეული 1 (ერთი) ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სააქციო კაპიტალის ზოგადი სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

ფასიანი ქაღალდების კლასი	ბენეფიციარი-მესაკუთრის დასახელება/ სახელი, გვარი და მისამართი	საკუთრებაში არსებული თანხა და საკუთრების მფლობელობის სახეობა	საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასების პროცენტული შემადგენლობა
ჩვეულებრივი აქცია	Silk Road Holdings B.V. (ნიდერლანდი)	84 443 957 აქცია საერთო თანხით 84 443 957.00 ლარი	75.108
ჩვეულებრივი აქცია	შპს „ბესტ ენერჯი გრუპ“	27 577 837 აქცია საერთო თანხით 27 577 837.00 ლარი	24.529
ჩვეულებრივი აქცია	დანარჩენი აქციონერები	407 624 აქცია საერთო თანხით 407 624.00 ლარი	0.363
სულ		**112 429 418 აქცია**	**100**

სააქციო კაპიტალის სტრუქტურა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



XV. აქციონერთა უფლებების და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა

საზოგადოება ერთნაირ პირობებში მყოფი ყველა აქციონერის მიმართ თანაბარი დამოკიდებულების გარანტიას იძლევა, უზრუნველყოფს საზოგადოების აქციონერთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვას.

აქციონერთა ძირითადი უფლებები – უფლება დივიდენდების მიღებასა და საზოგადოების მართვაში მონაწილეობაზე - დაფიქსირებულია საქართველოს კანონში „მეწარმეების შესახებ" და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების აქციონერებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მართვაში, უპირველეს ყოვლისა, აქციონერთა საერთო კრებაზე იმ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების საშუალებით, რომლებიც შედის მათ კომპეტენციაში.

საზოგადოების აქციონერებს აქვთ საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების შეუზღუდავი წვდომა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. საინფორმაციო პოლიტიკა აქციონერების მიმართ ხორციელდება მისაწოდებელი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობის დანამდვილობის გათვალისწინებით. საზოგადოება აქციონერთათვის უზრუნველყოფს იმ დოკუმენტების წვდომას, რომლებიც გათვალისწინებულია წესდების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით. აქციონერების მოთხოვნით საზოგადოება ვალდებულია მიაწოდოს მათ წესდების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ასლები.

აქციონერებს საკუთარი აქციების თავისუფალი განკარგვის უფლება აქვთ მოქმედი კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. აღრიცხვის სისტემა უზრუნველყოფს აქციებზე საკუთრების უფლების აღრიცხვის საიმედოობას, ასევე აქციონერების კუთვნილი აქციების თავისუფალი და სწრაფი გასხვისების შესაძლებლობას. საზოგადოების აქციებზე აქციონერის საკუთრების უფლების დაცვა ნებისმიერი დარღვევისგან უზრუნველყოფილია დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ აქციონერთა რეესტრის წარმოებით და შენახვით.

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს. თავის საქმიანობაში აქციონერთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საზოგადოების წესდებით, საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების შესახებ დებულებით და საზოგადოების დივიდენდების პოლიტიკით.

გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის (გამოცხადების), მათ შორის დივიდენდების ოდენობის და აქციების თითოეული კატეგორიის (ტიპის) მიხედვით მათი გადახდის ფორმის შესახებ მიიღება საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების მიერ. საზოგადოებას უფლება არა აქვს მიიღოს.

გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის შესახებ მოგების არარსებობის დროს, ასევე დაუშვებელია დივიდენდების გაცემა რაოდენობით, რომელიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციას.

საზოგადოების აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე ხორციელდება ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორებიცაა საზოგადოების აუდიტორის, საზოგადოების წლიური ანგარიშის, წლიური ფინანსური ანგარიშგების, მათ შორის მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშის (მოგების და ზარალის ანგარიშის), ფინანსური წლის შედეგების მიხედვით მოგების (მათ შორის, დივიდენდების გადახდის (გამოცხადების) და ზარალის განაწილების დამტკიცება, ასევე წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს და საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობის მოწონების შესახებ საკითხების დამტკიცება.

XVI. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს სს „თელასის“ საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას.

2024 წელს სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობის შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 20 სხდომა, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც არსებითი ზეგავლენა ჰქონდა საზოგადოების საქმიანობაზე საანგარიშო წლის განმავლობაში, შემდეგია:

1. გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია აქციონერთა წლიური საერთო კრების მომზადებასა და ჩატარებასთან;
2. გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას 2024 წელს (2024 წლის ბიზნეს-გეგმის, საზოგადოების საინვესტიციო პროგრამის და მისი შესრულების შესახებ ანგარიშების დამტკიცება);
3. გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია სს „თელასის“ რისკების მართვის და შიდა კონტროლის პოლიტიკის დამტკიცებასთან;
4. გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებული სს „თელასის“ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცებასთან.

საზოგადოების წესდების და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრა 6 ადამიანის რაოდენობით.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში არჩეული არიან საზოგადოების აქციონერების მიერ შეთავაზებული კანდიდატები. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭო დაბალანსებულია, მათ შორის მისი წევრების კვალიფიკაციის, გამოცდილების, ცოდნის და საქმიანი თვისებების შესაბამისად. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევენ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან, პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურ ფუნქციონირებაზე, მათ შორის, ნდობაზე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის, მათ შორის კოორდინაციაზე, ასევე საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოსთან ურთიერთმოქმედებაზე.

აქციონერთა 28.03.2024წ. წლიური საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად (აქციონერთა წლიური საერთო კრება 28.03.2024წ.) მოქმედებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

დიმიტრი ვოლკოვი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
დაბადების წელი: 1969
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად არჩეული იქნა: 28.03.2013
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

კობა ღურწკაია - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე / დამოუკიდებელი წევრი
დაბადების წელი: 1977
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
მოქალაქეობა: საქართველო
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად არჩეული იქნა: 14.05.2021
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

ალექსანდრე აბრამკოვი - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
დაბადების წელი: 1977
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად არჩეული იქნა: 08.02.2017
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

სერგეი სამარინი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
დაბადების წელი: 1973
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად არჩეული იქნა: 14.05.2018
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

ანა კონევა - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
დაბადების წელი: 1978
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად არჩეული იქნა: 28.03.2024
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

ბესიკ ციმაკურიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
დაბადების წელი: 1983
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
მოქალაქეობა: საქართველო
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად არჩეული იქნა: 29.11.2023
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში 28.03.2024 წ-მდე ასევე შედიოდა:

იური მახოვი - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი
დაბადების წელი: 1974
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
სამეთვალყურეო საბჭოში პირველად არჩეული იქნა: 30.06.2020
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%

2024 წლის განმავლობაში სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ აქციებთან დაკავშირებული გარიგებები არ განხორციელებულა.

XVII. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა

საზოგადოებაში შემუშავებულია მკაფიოდ გამოკვეთილი ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა, რომელშიც არავინ არ იყენებს შეუზღუდავ უფლებამოსილებებს და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის განსაზღვრის, რისკების ეფექტური იდენტიფიკაციის, მართვის, მონიტორინგის და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, ჯანსაღი ადმინისტრირების და აღრიცხვის პროცედურებს, საინფორმაციო სისტემებს და რისკების ეფექტური მართვის კონტროლს, პოლიტიკას და ანაზღაურების პროცედურებს.

საზოგადოების წესდების შესაბამისად მმართველი ორგანოს უფლებამოსილებებს ახორციელებს გენერალური დირექტორი. კოლეგიალური მმართველი ორგანო არ არის გათვალისწინებული. საზოგადოების გენერალურ დირექტორს თავისი ფუნქციების შესასრულებლად გააჩნია დრო, რესურსები, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიონალური გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია, საქმის და საწარმოს მდგრადი განვითარების მიმართ კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.

სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით (ოქმი №94, 28.03.2013 წ.) 2013 წლის 1 აპრილიდან სს „თელასის“ გენერალური დირექტორი არის სერგეი კობცევი.

სერგეი კობცევი - გენერალური დირექტორი
დაბადების წელი: 1972
ცნობები განათლების შესახებ: უმაღლესი განათლება
სამუშაო ადგილი: სს „თელასი“
თანამდებობის დასახელება ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით: გენერალური დირექტორი
მოქალაქეობა: რუსეთის ფედერაცია
გენერალური დირექტორის თანამდებობაზე პირველად დამტკიცებული იქნა: 01.04.2013
პირის კუთვნილი საზოგადოების ჩვეულებრივი აქციების წილი: 0%.
2024 წლის განმავლობაში სს „თელასის“ გენერალური დირექტორის მიერ აქციებთან დაკავშირებული გარიგებები არ განხორციელებულა.

XVIII. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის 2024 წელს გადახდილი ანაზღაურების განსაზღვრის კრიტერიუმები და ოდენობა

სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დებულებით სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურებების და კომპენსაციების გადახდის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა აქციონერთა საერთო კრების მიერ 2009 წლის 11 მარტს.

2024 წლის შედეგების მიხედვით ანაზღაურებამ შეადგინა:

№№	ბენეფიციარი-მესაკუთრის დასახელება/ სახელი, გვარი და მისამართი	2024 წელს გადახდილი ყველა ანაზღაურების ერთიანი ოდენობა (ლარი)
1	დმიტრი ვოლკოვი	-
2	ალექსანდრ აბრამკოვი	10 209.44
3	სერგეი სამარინი	-
4	ანა კონევა	7 279.20
5	კობა ღურწკაია	9 343.98
6	ბესიკ ციმაკურიძე	10 395.65
7	იური მახოვი	2 972.39
	სულ:	40 200.66

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა დ.ე. ვოლკოვმა და ს.ვ. სამარინმა უარი თქვეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობისთვის ანაზღაურების გადახდაზე.

სს „თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურებების და კომპენსაციების გადახდის შესახებ დებულება ითვალისწინებს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის ანაზღაურების გადახდას საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობისთვის მისი ჩატარების ფორმისგან დამოუკიდებლად, ასევე დამატებით ანაზღაურებას აქციონერთა საერთო კრების მიერ ფინანსური წლის შედეგების მიხედვით დივიდენდების გადახდის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (შემდგომ - კომიტეტი) წარმოადგენს საკონსულტაციო-სათათბირო ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საზოგადოების საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკუთარი ფუნქციების ეფექტურ შესრულებას. კომიტეტის გადაწყვეტილებებს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

კომიტეტის ფუნქციები მდგომარეობს ზედამხედველობის განხორციელებაში ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესზე, ხარისხის კონტროლში, რისკების მართვაში, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებაში. კომიტეტი იცავს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.12.2021 წლის №172/04 ბრძანებით. კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, იმ აუდიტორული ფირმის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი, რომელიც ახორციელებს საწარმოს მიმდინარე აუდიტს, არ შეიძლება ამავდროულად იყოს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის წევრი, 12 თვის განმავლობაში აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვების შემდეგ და თუ მას აქვს გარკვეული ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების მიუხედავად.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულების შესაბამისად, აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 3 ადამიანის რაოდენობით. კომიტეტის წევრების არჩევა ხორციელდება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან. ამჟამად, აუდიტის კომიტეტის ორი წევრი არის დამოუკიდებელი წევრი. კომიტეტის ყველა წევრი კომპეტენტურ პირია საზოგადოების საქმიანობის საკითხებში. ისევე, როგორც სამეთვალყურეო საბჭო, აუდიტის კომიტეტი დაბალანსებულია მისი წევრების კვალიფიკაციის, გამოცდილების, ცოდნის და საქმიანი თვისებების მიხედვით.



XX. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

პერსონალის მართვა

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები ადამიანური კაპიტალის სფეროში იყო მართვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება, მათ შორის კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, შრომის მწარმოებლობის ამაღლება, მუშაკების შრომის დაცვის საკითხები.

საკადრო პოლიტიკა

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა წარმოადგენს საზოგადოების მმართველობითი საქმიანობის და საწარმოო სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს, მიმართულია ძირითადი ამოცანების მიღწევაზე და საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაზე, ხორციელდება ისეთი შემადგენლების საშუალებით, როგორებიცაა:


- კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა;
- მუშაკების მომზადების, სწავლების და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზება;
- პერსონალის მოტივაციის სისტემის სრულყოფა;
- სოციალური პარტნიორობის განვითარება;
- კორპორაციული პოლიტიკის როლის გაძლიერება;
- შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის ნორმების დაცვა და კოლექტიური ხელშეკრულების დებულებების შესრულება.

სს „თელასის“ მუშაკების ფაქტობრივი რიცხოვნობა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1895 ადამიანს. 2024 წელს საზოგადოებაში გათავისუფლებული იქნა 88 თანამშრომელი და სამუშაოდ მიღებული იქნა 87 თანამშრომელი.

მუშაკების სტრუქტურა კატეგორიების მიხედვით


(ადამიანი)

წელი	ხელმძღვანელები	სპეციალისტები	მოსამსახურეები	მუშები	სულ
2023 წელი	157	548	23	1168	1896
2024 წელი	156	565	22	1152	1895




პერსონალის სტრუქტურა ასაკის მიხედვით

სს „თელასის" მუშაკების ასაკობრივი დონე, 31.12.2024 წლის მდგომარეობით, შეადგენს: 25 წლამდე (ჩათვლით) - 28 ადამ., 26-დან 30 წლამდე – 69 ადამ., 31-დან 40 წლამდე – 255 ადამ., 41-დან 50 წლამდე – 367 ადამ., 51-დან 55 წლამდე - 297 და 55 წელზე უფროსი – 879 ადამ. 31.12.2024 წ. მდგომარეობით, მუშაკების საშუალო ასაკი შეადგენს 53,21 წელს.



მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა

სს „თელასის" მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობა, 31.12.2024 წ. მდგომარეობით, შემდეგნაირია: მუშაკები უმაღლესი განათლებით – 1316 ადამ., საშუალო-სპეციალური განათლებით – 258 ადამ. და საშუალო განათლებით - 321 ადამ.



სს „თელასის" საკადრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია დაგეგმვა და საზოგადოების მუშაკების უწყვეტი პროფესიული სწავლების განხორციელება, რომელიც მოიცავს პერსონალის მომზადებას, გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, ასევე მუშაკების შრომის დაცვის საკითხებს. პერსონალის მომზადება ორიენტირებულია მუშაკების მიერ ახალი ცოდნის მიღებაზე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებების მიხედვით, უნარ-ჩვევების განვითარება კონკრეტული საწარმოო სიტუაციების გადასაჭრელად და პროფესიულად მნიშვნელოვან სიტუაციებში ქცევის გამოცდილების გამოსამუშავებლად. პროგრამის ძირითადი მიზანია თანამშრომელთა მომზადება უფრო რთული საწარმოო ფუნქციების (მოვალეობების) შესასრულებლად, ახალი

თანამდებობების დასაკავებლად, მუშაკის და რეალური სპეციალისტის ან მენეჯერის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს შორის განსხვავებების დასაძლევად (პროფესიული განვითარება).

სს „თელასი“ საზოგადოების თანამშრომლებს უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოთი ყველა თავის ობიექტზე.

საწარმოო პერსონალი მთლიანად დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. პერსონალის სწავლება ხორციელდება საქართველოს, რუსეთის ფედერაციის და საკუთარ სასწავლო ცენტრში - კაბინეტში.

2024 წელს სს „თელასის“ შრომის დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების სასწავლო ცენტრში ჩატარდა 1055 თანამშრომლის სწავლება.

სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა ორიენტირებულია განვითარებაზე XXI საუკუნის უახლოესი ტრენდების შესაბამისად, მათ შორის: პიროვნებათა შორის კორპორაციული ურთიერთმოქმედების განვითარების პროგრამები; ონლაინ-კურსების რაოდენობის ზრდა; სამუშაო ადგილებზე ხელოვნური ინტელექტის ექსპანსიის ზრდა; მუშა ძალის შემადგენლობის გაუმჯობესება; აქცენტი მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და გადამზადებაზე და ა.შ.

მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა აგებულია შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

1. პერსონალის მართვის სისტემის ურთიერთკავშირი საზოგადოების ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შედეგებთან;
2. საკადრო სტრატეგიის და პოლიტიკის მოქნილობა;
3. ნებისმიერი დონის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა თითოეული მუშაკის შრომითი პოტენციალის განვითარებაზე;
4. მუშაკების ანაზღაურება სამუშაოს შედეგებიდან გამომდინარე;
5. მუშაკებისთვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა ინდივიდუალური თავისებურებების რეალიზაციისთვის;
6. საზოგადოების საკადრო სტრატეგიის გახსნილობა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომობა;
7. მუშაკების კარიერული ზრდას და მათი პროფესიული დონის ამაღლებას შორის შესაბამისობის დაცვა;
8. ფასეულობების და წარმოების კულტურის კორპორაციული სისტემის უზრუნველყოფა და განვითარება.

საზოგადოება უზრუნველყოფს შიდა პროცესების მუდმივ სრულყოფას მდგრადი განვითარების სფეროში საქმიანობის ორგანიზების დონის ასამაღლებლად. აქტუალურად რჩება საზოგადოების წინაშე ამ სფეროში დასახული ამოცანები და მიზნები. დაცულია ყველა განცხადებული ვალდებულება: ადამიანის უფლებების დაცვა, მუშაკების ღირსეული შრომის უზრუნველყოფა, გარემოს დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა.

სოციალური პარტნიორობა

სოციალური პარტნიორობა დამსაქმებელსა და სს „თელასის“ მუშაკებს შორის 2023 წელს ხორციელდებოდა კოლექტიური ხელშეკრულების ფორმატში, რომელიც დადებულია ადგილობრივი და კომუნალური მეურნეობის მომსახურების სფეროს მუშაკების პროფკავშირსა და სს „თელასის“ ადმინისტრაციას შორის. კოლექტიური ხელშეკრულება მიმართულია საზოგადოების მუშაკების სოციალური და ეკონომიკური უფლებების და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაზე, მუშაკების ცხოვრების საკმარისი დონის შენარჩუნებასა და საზოგადოების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფაზე.

საზოგადოების გენერალური დირექტორის 2022 წლის 11 ოქტომბრის №676 ბრძანებით დამტკიცებულია „სს „თელასის“ „თანამშრომელთა მატერიალური დახმარების ფონდის ხარჯვის წესი“, რომელიც შექმნილია საზოგადოების თანამშრომლებისთვის დამატებითი მატერიალური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით გაუთვალისწინებელი გარემოებების, მუშაკის ცხოვრებაში კრიტიკული მოვლენების წარმოქმნის შემთხვევაში. 2024 წლის განმავლობაში მატერიალური დახმარება გაწეული იქნა საზოგადოების 44 თანამშრომლისთვის 85 385 ლარის ოდენობით.

XXI. გარემოს დაცვა

სს „თელასი" დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვის საკითხებს. დანერგილი ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის განხორციელების სისწორის დადგენის და განვითარების, მისი პროდუქციასა და კლიენტებთან, ასევე ეკოლოგიური მართვის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, 2024 წლის მაისში, აუდიტორულმა ორგანიზაციამ შპს „ინტერტეკმა", რომელსაც აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია, ჩაატარა ეკოლოგიური მენეჯმენტის ყოველწლიური გეგმური აუდიტი საერთაშორისო სტანდარტის ISO 14001:2015 მოთხოვნების შესაბამისად. აუდიტის შედეგების მიხედვით დადგენილი იქნა, რომ სს „თელასი" სრულად აკმაყოფილებს გარე საერთაშორისო სტანდარტის ISO 14001:2015 მოთხოვნებს.

შემოწმება ჩატარდა საზოგადოების ცენტრალურ ოფისში, ასევე სხვა პუნქტებში, სადაც ხორციელდება საოპერაციო საქმიანობა, კერძოდ: სატრანსფორმატორო საამქროში, ქიმიურ ლაბორატორიაში, ცენტრალურ საწყობში, ავტოსადგომზე, მაღალი ძაბვის ქვესადგურებში „დინამო", „სანაპირო" და „ჩუღურეთი", ასევე „საბურთალოს" და „ვერა-ვაკის" ბიზნეს-ცენტრებში და საექსპლუატაციო რაიონებში.

07.06.2024 წ. რესასერტიფიკაციო აუდიტის ანგარიშში საერთო შედეგებით დადგენილი იქნა, რომ შეუსაბამობები არ ყოფილა გამოვლენილი და მენეჯმენტის სისტემა სრულიად ეფექტურია. შედეგად, 2024 წლის 7 ივნისს სს „თელასმა" მიიღო ახალი სერტიფიკატი ISO 14001:2015, ხოლო სს „თელასში" ISO 14001:2015 სტანდარტის შესაბამისად დანერგილი ეკოლოგიური მართვის სისტემა გაგრძელებული იქნა კიდევ 3 წლით, 2027 წლის 7 ივნისამდე.

გარდა ამისა, 2024 წელს საზოგადოებაში ჩატარდა ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემასთან დაკავშირებული გეგმური სამუშაოები, როგორებიცაა ეკოლოგიური მენეჯმენტის სისტემის შიდა დოკუმენტაციის გადასინჯვა და განახლება, კომპანიის მიერ მოხმარებული რესურსების აღრიცხვა და ანალიზი და ა.შ.

ასევე 2024 წელს, ეკოლოგიური ეფექტურობის ამაღლების საკითხებთან დაკავშირებით, სს „თელასი" სისტემატურად კონტაქტში იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო მართვას გარემოს დაცვის სფეროში.

XXII. სოციალური პასუხისმგებლობა

სს „თელასი" ახორციელებს თავის საქმიანობას ბიზნესის წარმოების საზოგადოდ მიღებული ნორმების გათვალისწინებით და ისწრაფვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში მოწინავე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისკენ.

სოციალური პასუხისმგებლობა - სს „თელასის" კორპორაციული მართვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადების და მიღების ყველა ეტაპზე. მისი მიზანია - საზოგადოების კომპლექსურ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ განვითარებაში დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ახლანდელ დროში წარმოქმნილ მოთხოვნებს და არ უნდა დააყენოს საფრთხის ქვეშ მომავალი თაობების შესაძლებლობები და მისწრაფებები. მდგრადი განვითარების სფეროში სს „თელასის" პრინციპებია:

- კეთილსინდისიერება და ინფორმაციული გახსნილობა
  საზოგადოება ისწრაფვის მდგრადი განვითარების სფეროში საქმიანობის ყველა ასპექტის შესახებ ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებულობის დონის ამაღლებისკენ. ინფორმაციის უტყუარობის, შინაარსიანობის და აქტუალობის მისაღწევად მიმდინარეობს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების მომზადება, რომლის ნამდვილობას ადგენს დამოუკიდებელი აუდიტორი.
- განვითარება და მუდმივი სრულყოფა
  საზოგადოება უზრუნველყოფს შიდა პროცესების მუდმივ სრულყოფას, მდგრადი განვითარების სფეროში საქმიანობის ორგანიზების დონის ასამაღლებლად.
- სამართლის ნორმების და აღებული ვალდებულებების დაცვა

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო სამართლის ნორმებთან მკაცრ შესაბამისობაში და ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს.

- ადამიანის უფლებების დაცვა.
  საზოგადოება ცნობს ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობას და აღკვეთს მათი დარღვევის ნებისმიერ ფორმას. საზოგადოება ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების და ადმიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცვას.
- დაინტერესებული მხარეების ინტერესების პატივისცემა.
  დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთდამოკიდებულება აგებულია ორმხრივი დაინტერესების საფუძველზე. საზოგადოება თავის საქმიანობაში მიისწრაფვის ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესთა და მოლოდინის ბალანსის დაცვისკენ.
- ეთიკა.
  ყველა დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთმოქმედების პროცესში საზოგადოება მკაცრად მისდევს კორპორაციული ეთიკის წესებს, მათ შორის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულს.

XXIII. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპების დაცვის შესახებ

საზოგადოება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კორპორაციული მართვის კოდექსით საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.12.2021 წლის №172/04 ბრძანებით (შემდგომ - კორპორაციული მართვის კოდექსი).

კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის მნიშვნელობის გათვალისწინებით, როგორც საზოგადოების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების, საზოგადოების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლების, საზოგადოების და მისი მართვის ორგანოების მიმართ ინვესტორების ნდობის ზრდის საშუალების, ასევე კორპორაციული მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების საჭიროების გათვალისწინებით, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭომ 2023 წლის 14 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება (სს-ს ოქმი №307, 14.11.2023 წ.) საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის დაცვა მიჩნეული იქნას სს „თელასის“ საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა ძირითად დოკუმენტში, როგორიცაა საზოგადოების წესდება, პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულებების შესაბამისად და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტები.

2023 წლიდან დაწყებული საზოგადოებამ, კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მმართველობითი ანგარიში და აუდირებული ფინანსური ანგარიში საზოგადოების საქმიანობის შედეგების მიხედვით, ისე ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ.

ანგარიში სს „თელასის“ კორპორაციულ კოდექსთან შესაბამისობის შესახებ მოცემულია წლიური ანგარიშის დანართში №3.

XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ

სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსი დამტკიცებული იქნა სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (სს-ს ოქმი №285, 15.11.2022წ.).

ამ კოდექსის მიზნებია კორპორაციული ქცევის მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა და ენერგეტიკული კომპანიის რეპუტაციის გაძლიერება, რომელიც ცნობს და პატივს სცემს უმაღლეს მორალურ-ეთიკურ ფასეულობებს.

კოდექსის ამოცანებია:

- კორპორაციული კულტურის განვითარება და შიდა და გარე კომუნიკაციებისთვის ერთიანი წესების განსაზღვრა;
- კოდექსის დებულებების რეალიზაციის ერთიანი და გასაგები მექანიზმის დადგენა;
- კომპანიის თანამშრომლებისთვის ქცევის ერთიანი წესების დადგენა კომპანიის შიგნით და გარე დაინტერესებულ მხარეებთან (აქციონერებთან და ინვესტორებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, მასმედიასთან, საქმიან პარტნიორებთან და კონკურენტებთან) მათი ურთიერთმოქმედების დროს;
- საზოგადოდ აღიარებული მორალურ-ეთიკური ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევის პროფილაქტიკა და დაუშვებლობა, რისკზე ორიენტირებული მიდგომის და კომპლაენსის გათვალისწინებით.
- საზოგადოებაში პოტენციური რისკების და კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილება;
- კორპორაციული კულტურის და სტეიკჰოლდერებთან კომუნიკაციის განვითარება;
- სს „თელასის" ბიზნესის განვითარება მიღებული სტრატეგიის შესაბამისად.

სს „თელასის" ფუძემდებლური კორპორაციული პრინციპები და ფასეულობებია:


- აქციონერთა ინტერესების დაცვა;
- მომგებიანობა, ეფექტურობა და შედეგიანობა;
- ინოვაციური განვითარება და მოდერნიზაცია;
- ადამიანური რესურსების ოპტიმალური მართვა;
- ენერგეტიკული ეფექტურობა და ენერგომომარაგება;
- ინფორმაციული გახსნილობა;
- ზნეობრიობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- პარტნიორობა;
- კეთილსინდისიერება.

საწარმოში ეთიკის კოდექსის მონიტორინგს და მის სათანადო შესრულებას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო.

XXV. ცნობები საზოგადოების წმინდა აქტივების მდგომარეობის შესახებ

ცხრილში მოცემულია მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საზოგადოების აქტივების და კაპიტალის ღირებულების ცვლილების დინამიკას 2018 - 2024 წლებში.

	2018	2019	2020	2021	2022	2023	2024
კაპიტალი	112 429	112 429	112 429	112 429	112 429	112 429	112 429
წმინდა აქტივები	180 637	194 923	122 029	177 898	257 651	362 759	437 953



XXVI. ცნობები არაპროფილური აქტივების შესახებ

საზოგადოებამ 2023 წლის მარტში ჩაატარა აქტივების ანალიზი არაპროფილური აქტივების გამოსავლენად (მეთოდიკის „სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების გამოვლენა და გასხვისება“ დანართის N1 მე-3 განყოფილების თანახმად). ანალიზის შედეგები ინახება საზოგადოებაში ელექტრონული სახით.

2023-2025 წწ. სს „თელასის“ არაპროფილური აქტივების გასხვისების პროგრამა (შემდგომ - პროგრამა) დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 30.03.2023 წ. (სს-ს ოქმი 30.03.2023 წ. №294).

პროგრამა ახორციელებს არაპროფილური აქტივების (შემდგომ - აპა) გამოვლენასთან დაკავშირებული საქმიანობის სისტემატიზაციას, აფიქსირებს ძირითად მიდგომებს, სს „თელასის“ აპა-ს გამოვლენის და გასხვისების პრინციპებს და მექანიზმებს. პროგრამაში მითითებულია სს „თელასის“ აქტივების პროფილურობის განსაზღვრის კრიტერიუმები, აპა-ს წარმოების წესი და აპას-ს გასხვისების ძირითადი დებულებები, ასევე აპა-ს გასხვისების პროგრამის (ღონისძიებების გეგმა) შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგების ფორმირების წესი.

საზოგადოების 2023 წელს დამტკიცებული აპა მოიცავდა 6 (ექვსი) არაპროფილურ აქტივს (5 ერთეულს სანავარდოს ქ. N7 და 1 ერთეული ნაგომარის ქ. N49) აპა-ს ფორმირების მომენტისთვის საერთო საბალანსო ღირებულებით 431.01 ათასი ლარი. მათ შორის:

- 4 (ოთხი) აპა საბალანსო ღირებულებით 414.84 ათასი ლარი 2023-2024 წლებში სასყიდლიანი გასხვისებისთვის;

- 1 (ერთი) არაპროფილური აქტივი საბალანსო ღირებულებით 0.00002 ათასი ლარი 2023 წელს ლიკვიდაციისთვის;

-1(ერთი) არაპროფილური აქტივი საბალანსო ღირებულებით 16.17 ათასი ლარი შესანარჩუნებლად.

2024 წლის საზოგადოების არაპროფილური აქტივების რეალიზაცია არ განხორციელებულა.

XXVII. დამატებითი ინფორმაცია აქციონერთათვის

სს „თელასის" იურიდიული მისამართი:
სს „თელასი", 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო
სს „თელასის" საფოსტო მისამართი:
სს „თელასი", 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო
ელექტრონული ფოსტის მისამართი:
E-mail: telasi@telasi.ge

მისამართი ინტერნეტის ქსელში:
http//www.telasi.ge

ს/კ:202052580
ა/ა: AO "BasisBank" CBASGE22,
ა/ა GE44BS0000000033836851

საკონტაქტო პირი:
მაგდალინა მილაშვილი
გენერალური დირექტორის თანაშემწე
E-mail: lina.milashvili@telasi.ge
ტელეფონი: +995 32 277-99-99

კომპანიის ფასიანი ქაღალდების დემატერიალიზებულ ანგარიშს ემსახურება „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, ს/კ 204935400. მომსახურების დაწყების თარიღია 2024 წლის 23 სექტემბერი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, ბლოკი 10, მე-7 სართული.
ტელ.: 032 500 211

დარიცხული დივიდენდების გადახდის და ინფორმაციის წვდომის მიღება საკითხებთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ მიმართონ:
მისამართი: 0119, ვანის ქ. 3, თბილისი, საქართველო
საკონტაქტო ტელეფონი: +995322779999 (1 7768)

საზოგადოების აუდიტორი - EY LLC.
„საქართველოში რეგისტრირებული აუდიტორული ფირმა (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-855308), რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აუდიტორული მომსახურება გაწეული იქნა 2022 წლის 25 აგვისტოს ხელშეკრულების № JSC Telasi/AUD/2022-2024 შესაბამისად.
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0105, კოტე აფხაზის ქ. №44
ტელ.: (99532) 215 88 11
ფაქსი: (99532) 215 88 22



დანართი №1

2024 წლის კონსოლიდირებული/არაკონსოლიდირებული ფინანსური და ბუღალტრული ანგარიშგება



დანართი #1 -
ფინანსური ანგარი'

დანართი №2

საზოგადოების მიერ 2024 წელს დადებული გარიგებები, რომელთა დადებაში არსებობს დაინტერესება

გარიგების დადების თარიღი	გარიგების მოწონების თარიღი	საზოგადოების ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება გარიგების მოწონების შესახებ	პირი (პირები), რომელიც არის გარიგების მხარე (მხარეები), ბენეფიციარი (ბენეფიციარები) გარიგების მიხედვით, პირი (პირები), რომელიც დაინტერესებულია გარიგების დადებაში, საფუძვლები, რომელთა მიხედვით პირი (თითოეული პირი), რომელსაც აქვს დაინტერესება გარიგებაში, წარმოადგენს ასეთს, გარიგების საგანი და სხვა არსებითი პირობები ან მათი განსაზღვრის წესი	ფასი გარიგების მიხედვით
02.07.2024წ.	21.06.2024წ.	სს „თელასის“ სს (ოქმი №319, 21.06.2024წ.)	1.1 ხელშეკრულების მხარეები: შემსრულებელი - სს „თელასი“, დამკვეთი – შპს „თელმიკო“; 1.2. ხელშეკრულების საგანი: დამკვეთი ავალებს, ხოლო შემსრულებელი ასრულებს ქვითრების ბეჭდვას და მომხმარებლებისთვის მიწოდებას; 1.3. ხელშეკრულების ფასი: მომსახურების ხელშეკრულების (ქვითრების დამზადება და მომხმარებლებისთვის მიწოდება) ყოველთვიური ფასია – 45 316 (ორმოცდახუთი ათას სამას თექვსმეტი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით 18 % 6 912 (ექვსი ათას ცხრაას თორმეტი) ლარი 60 თეთრის ოდენობით. 1.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: ხელშეკრულება ძალაში შედის 2024 წლის 02 ივლისიდან და მოქმედებს 2027 წლის 01 ივლისამდე ჩათვლით.	ხელშეკრულების ფასი: მომსახურების ხელშეკრულების (ქვითრების დამზადება და მომხმარებლებისთვის მიწოდება) ყოველთვიური ფასია – 45 316 (ორმოცდახუთი ათას სამას თექვსმეტი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით 18 % 6 912 (ექვსი ათას ცხრაას თორმეტი) ლარი 60 თეთრის ოდენობით.

31.12.2024წ.	20.12.2024წ.	სს „თელასის“ სს (ოქმი №329, 20.12.2024წ.)	1.1. ხელშეკრულების მხარეები: გამსესხებელი - შპს „თელმიკო“, მსესხებელი – სს „თელასი“; 1.2. ხელშეკრულების საგანი: სესხის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით გამსესხებელი მსესხებელს საკუთრებაში გადასცემს ფულად სახსრებს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხის ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტები სესხის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ვადებში; 1.3. სესხის მიზანი: მსესხებლის საბრუნავი სახსრების შევსება; 1.4. სესხის თანხა: არა უმეტეს 19,000,000 (ცხრამეტი მილიონი) ლარი; 1.5. საპროცენტო განაკვეთი: არა უმეტეს 13.8% (ცამეტი მთელი და რვა მეათედი პროცენტი) წლიური; 1.6. საპროცენტო შემოსავლის სახით დარიცხული თანხის გაანგარიშება წარმოებს სესხის ფაქტობრივი მოხმარების დღეების შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული წესის თანახმად; 1.7. ხელშეკრულების ვადა: ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე ხელშეკრულების მიხედვით; 1.8. ხელშეკრულების მიხედვით სესხის თანხის დაფარვის ვადა და პირობები მოცემულია დამატებითი შეთანხმების N1 რედაქციაში:	სესხის თანხა: არაუმეტეს 19,000,000 (ცხრამეტი მილიონი) ლარი

			• სესხის ძირითადი თანხის და დაგროვებული პროცენტების საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების შესაბამისად წარმოებს არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბერს. 1.9. გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე, მსესხებლის შეტყობინებით არაუგვიანეს 3 (სამი) თვით ადრე. სესხის ძირითადი თანხის ვადამდე დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს სესხის თანხა და ხელშეკრულების შესაბამისად დარიცხული პროცენტები. 1.10. უზრუნველყოფა: უზრუნველყოფის გარეშე.	

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სრული შემოსავლის ანგარიშგება....8
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება....10
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება....11
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები....12–56

Building a better working world

შპს იუაი
საქართველო, 0105, თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC
44 Kote Abkhazi street
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
www.ey.com/ge
www.facebook.com/EYGeorgia

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თელასის“ აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თელასის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

Building a better working world

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტის ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
შემოსავლების აღიარება ელექტროენერგიის განაწილება მიმწოდებელ კომპანიებზე, როგორც შემოსავლის მთავარი წყარო, ჩვენი აუდიტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია. 2024 წლის განმავლობაში ელექტროენერგიის განაწილება მიმწოდებელ კომპანიებზე მიკუთვნებადია ერთი გამანაწილებელი კომპანიისთვის, რომელიც არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო. ელექტროენერგიის განაწილების ტარიფებს კომპანიისთვის ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია და ისინი განსხვავდება მიერთების ძაბვის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ მომწოდებლებზე ელექტროენერგიის განაწილებიდან მთლიანი ამონაგები ერთი კომპანიისგან მიიღება, შესაბამისი გაანგარიშება მაინც იყენებს 700,000-ზე მეტი აბონენტის აღრიცხვიანობის მონაცემთა ბაზას, შესაბამისად გაანგარიშების პროცესი მოიცავს სავარაუდო შეფასებებს (ანუ შემოსავლის იმ თანხის გაანგარიშება, რომელიც კომპანიამ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ქვითრები ჯერ არ წარუდგენია).	შევაფასეთ ამონაგების აღიარების პოლიტიკა. განვიხილეთ ამონაგების აღიარების პროცესის შესაბამისი მნიშვნელოვანი შიდა კონტროლის, მათ შორის ახალი აბონენტების ანგარიშების შექმნის კონტროლის ტესტირება. ჩვენ ფიზიკურად შევამოწმეთ მრიცხველების ჩვენება და მრიცხველების ჩვენება შევაჯერეთ საბილინგო სისტემაში არსებულ მონაცემებთან. გადავიანგარიშეთ წლის ბოლოსთვის აღურიცხავი ამონაგები (რომლებზეც ქვითრები არ გამოწერილა), და ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის ვარაუდები ელექტროენერგიის მიწოდებულ მოცულობებთან დაკავშირებით, რომლებიც ჯერ არ აღრიცხულა. გავაანალიზეთ ფინანსურ ანგარიშგებაში ამონაგების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო 2023 წლის სექტემბრიდან არ იყენებს საკუთარ სააღრიცხვო პროგრამულ უზრუნველყოფას, მრიცხველის ჩვენებები მიიღება კომპანიის მრიცხველებიდან, რომელიც ჯერაც სრულად იყენებს თავის საკუთარ სააღრიცხვო პროგრამულ უზრუნველყოფას. კომპანია ყოველთვიურ შეჯერებას ახდენს ელექტროენერგიის მომწოდებელთან და შესაბამის ამონაგებს აღიარებს კომპანიის საბილინგო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით. ამონაგების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების მე-4(ზ), მე-7 და მე-8 განმარტებით შენიშვნებში.	

დანახარჯების აღრიცხვა საოპერაციო ან კაპიტალურ დანახარჯებად კომპანია სწევს მნიშვნელოვან წლიურ დანახარჯებს ძირითადი საშუალებების განვითარებისა და ტექნიკური მომსახურებისთვის. ეს საკითხი აუდიტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად მივიჩნიეთ ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზაციის ნაშთის არსებითობის და ამ პროცესში მნიშვნელოვანი დაშვებების და შეფასებების მაღალი დონის სუბიექტურობის გამო. ძირითად საშუალებებზე კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს ზედნადები ხარჯების განაწილებას დამხმარე ფუნქციის თანამშრომლების დროის პროპორციულობის შესაბამისად, რომელიც თავისთავად განსჯას ეყრდნობა. კომპანიის კაპიტალიზაციის პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 (ბ), მე-6 (iii) და მე-15 შენიშვნებში.	შევაფასეთ კომპანიის კაპიტალიზაციის პოლიტიკა სათანადო სააღრიცხვო სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. განვიხილეთ საოპერაციო და კაპიტალურ დანახარჯებს შორის დანახარჯების განაწილების კონტროლის მექანიზმების სქემა, დანერგვა და ფუნქციონირება. გარდა ამისა, შევაფასეთ კაპიტალიზაციის პოლიტიკის მიხედვით დანახარჯების კაპიტალიზაცია შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული ნიმუშების საფუძველზე და შევადარეთ ფაქტობრივი დანახარჯები ბიუჯეტირებულ დანახარჯებს. შევაფასეთ, რამდენად ადეკვატურად აქვს კომპანიას წარმოდგენილი თავისი კაპიტალიზაციის პოლიტიკა და სხვა, მასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნები.

Building a better working world

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

„სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა“. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

Building a better working world

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

Building a better working world

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ განცხადებას, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ გავლენას ახდენს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანა კუსრაშვილი.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 7 თებერვალი

თბილისი, საქართველო

Building a better working world

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ განცხადებას, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ გავლენას ახდენს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანა კუსრაშვილი.

ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 7 თებერვალი

თბილისი, საქართველო

სს „თელასი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	227,783	221,891
სხვა შემოსავლები	8	46,730	41,654
შესყიდული ელექტროენერგია	9	(41,935)	(34,492)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის		(77,187)	(71,083)
ცვეთა და ამორტიზაცია	15, 16, 17	(21,337)	(19,145)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	10	(4,640)	(4,638)
შექმნილი რეზერვები, წმინდა	11	(1,030)	(1,311)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(26,839)	(26,371)
საოპერაციო მოგება		**101,545**	**106,505**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	701	5,659
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	13	(6,652)	(6,569)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი), წმინდა		968	(363)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**96,562**	**105,232**
ხარჯები მოგების გადასახადზე	14	(3,171)	–
წლის მოგება		**93,391**	**105,232**
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ უნდა იქნას რეკლასიფიცირებული მოგებასა და ზარალში მომდევნო პერიოდებისთვის			
აქტუარული ზარალიდადგენილ შენატანიან პროგრამაზე	24	(199)	(124)
მოგების გადასახადის ეფექტი	14	–	–
სხვა სრული ზარალი წლის განმავლობაში, მოგების გადასახადის გამოკლებით		**(199)**	**(124)**
სულ, სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**93,192**	**105,108**
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე (შენიშვნა 22)		0.00083	0.00093

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 7 თებერვალს.

გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი

ფინანსური დირექტორი
ალექსეი ბალჩუგოვი

სს „თელასი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	227,783	221,891
სხვა შემოსავლები	8	46,730	41,654
შესყიდული ელექტროენერგია	9	(41,935)	(34,492)
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის		(77,187)	(71,083)
ცვეთა და ამორტიზაცია	15, 16, 17	(21,337)	(19,145)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	10	(4,640)	(4,638)
შექმნილი რეზერვები, წმინდა	11	(1,030)	(1,311)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(26,839)	(26,371)
საოპერაციო მოგება		**101,545**	**106,505**
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	13	701	5,659
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	13	(6,652)	(6,569)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი), წმინდა		968	(363)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**96,562**	**105,232**
ხარჯები მოგების გადასახადზე	14	(3,171)	–
წლის მოგება		**93,391**	**105,232**
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ უნდა იქნას რეკლასიფიცირებული მოგებასა და ზარალში მომდევნო პერიოდებისთვის			
აქტუარული ზარალიდადგენილ შენატანიან პროგრამაზე	24	(199)	(124)
მოგების გადასახადის ეფექტი	14	–	–
სხვა სრული ზარალი წლის განმავლობაში, მოგების გადასახადის გამოკლებით		**(199)**	**(124)**
სულ, სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		**93,192**	**105,108**
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე (შენიშვნა 22)		0.00083	0.00093

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 7 თებერვალს.

გენერალური დირექტორი
სერგეი კობცევი

ფინანსური დირექტორი
ალექსეი ბალჩუგოვი

12–56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „თელასი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	15	536,378	398,085
აქტივების გამოყენების უფლება	16	2,209	2,613
არამატერიალური აქტივები	17	1,372	1,016
რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი	18	216	213
სხვა გრძელვადიანი აქტივები		205	74
სულ გრძელვადიანი აქტივები		**540,380**	**402,001**
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო–მატერიალური მარაგები	19	7,450	6,937
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	18	31,090	28,684
გადახდილი ავანსები	20	23,095	13,485
საგადასახადო აქტივები	26	2,067	-
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	21	647	327
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	21	1,194	13,425
სულ მიმდინარე აქტივები		**65,543**	**62,858**
სულ აქტივები		**605,923**	**464,859**
კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	112,429	112,429
დამატებითი შენატანები კაპიტალში	22	25,747	25,747
სხვა რეზერვები	22	395	594
გაუნაწილებელი მოგება		299,380	223,989
სულ კაპიტალი		**437,951**	**362,759**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	23	27,500	5,000
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	11	19,317	21,709
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	24	2,295	1,917
საიჯარო ვალდებულებები	16	1,587	1,872
სხვა ვალდებულებები		1,153	1,134
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**51,852**	**31,632**
მიმდინარე ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და თამასუქები	23	19,166	19,008
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	25	57,375	24,366
სახელშეკრულებო ვალდებულებები		2,136	2,149
მიღებული ავანსები	8	31,342	19,030
სახელმწიფო სუბსიდიები		186	156
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	24	206	176
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა	26	-	3,314
საიჯარო ვალდებულებები	16	919	888
ანარიცხები სამართლებრივ სარჩელებზე	11	4,588	1,225
გადასახდელი დივიდენდები		107	61
სხვა ვალდებულებები		95	95
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**116,120**	**70,468**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**605,923**	**464,859**

12–56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „თელასი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	329,107	309,249
შესყიდულ ელექტროენერგიაზე მიმწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(40,366)	(56,756)
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(77,335)	(71,431)
დღგ და სხვა გადასახადები, გადახდილი მოგების გადასახადის გარდა	(34,282)	(42,461)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(30,248)	(21,861)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	**146,876**	**116,740**
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,165)	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	**143,711**	**116,740**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა დღგ–ის ჩათვლით	(154,857)	(62,102)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	31	–
საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი	701	666
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(154,125)**	**(61,436)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	27,500	19,000
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	(5,000)	(53,893)
გადახდილი დივიდენდები (შენიშვნა 22)	(17,954)	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(1,095)	(935)
გადახდილი პროცენტები	(3,657)	(6,243)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(206)**	**(42,071)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა მატება	**(10,620)**	**13,233**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(1,611)	(431)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში (შენიშვნა 21)	**13,425**	**623**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს (შენიშვნა 21)	**1,194**	**13,425**

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები:

2024 წლის ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობა, რომლისთვისაც საჭირო არ გამხდარა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების გამოყენება, მოიცავდა შემდეგს:

- 2024 წელს, 5,088 ლარის (2023 წ.: 8,270 ლარი) ოდენობის ძირითადი საშუალებები და 3,867 ლარის (2023 წ.: 3,576 ლარი) ოდენობის მარაგები გადაეცა ერთ არადაკავშირებულ მხარეს, მის მიმართ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების ექვივალენტური ოდენობის ჩათვლის განხორციელებით (შენიშვნა 15);
- 2024 წელს 2,405 ლარის (2023 წ: 1,320 ლარი) საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები გადაცემულ იქნა მარაგებში (შენიშვნა 15);
- 517 ლარის (2023 წ.: 719 ლარი) სამართლიანი ღირებულების ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღება მომხმარებლებისგან (შენიშვნა 8);
- 2024 წელს განხორციელებულ იქნა სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებიდან 474 ლარის გადაკლასიფიცირება სასამართლო სარჩელების რეზერვებში (2023წ.: 25,829 ლარი) (შენიშვნა 11).

სს „თელასი“

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი

	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	სხვა რეზერვები	აკუმული–რებული მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**112,429**	**25,747**	**718**	**118,757**	**257,651**
წლის მოგება	–	–	–	105,232	**105,232**
წლის სხვა სრული შემოსავალი	–	–	(124)	–	**(124)**
სულ წლის სრული შემოსავალი	**–**	**–**	**(124)**	**105,232**	**105,108**
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**112,429**	**25,747**	**594**	**223,989**	**362,759**
წლის მოგება	–	–	–	93,391	**93,391**
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 22)				(18,000)	**(18,000)**
წლის სხვა სრული ზარალი	–	–	(199)	–	**(199)**
სულ წლის სრული შემოსავალი	**–**	**–**	**(199)**	**75,391**	**75,192**
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**112,429**	**25,747**	**395**	**299,380**	**437,951**

12–56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „თელასი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათასი ლარი

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „თელასი“ (შემდგომში – კომპანია) არის საქართველოში დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, დარეგისტრირებული დიდუბის რაიონული სასამართლოს მიერ 1995 წლის 14 მაისს (საიდენტიფიკაციო კოდი № 202052580). კომპანიის ოფიციალური იურიდიული მისამართია ვანის ქ. 3, თბილისი 0154, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ელექტროენერგიის განაწილება. „ენერგეტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში 2021 წლის 1 ივლისიდან ძალაში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომპანია განაწილების ლიცენზიატია. კომპანიის ლიცენზირებული ტერიტორია მოიცავს თბილისს, საქართველო. კომპანია შედგება ერთი საოპერაციო სეგმენტისგან. კომპანიის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისია (სემეკი), რომელიც ასევე ადგენს კომპანიის მომსახურების ტარიფებს.

2024 წლის 1 ივლისიდან ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალი მოდელი ამოქმედდა არჩევითი მონაწილეობის რეჟიმში, რაც იძლევა საათობრივი პროდუქტებით როგორც დღით ადრე, ასევე დღიურ ბაზარზე ვაჭრობის საშუალებას, ელექტროენერგიის დაბალანსების არსებულ მოდელთან ერთად. სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა“ (სენბი) არის დღით ადრე და დღიური ბაზრების ოპერატორი სემეკ-ის მიერ დამტკიცებული „დღით ადრე და დღიური ბაზრის წესების“ შესაბამისად.

კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტს (75.11%) ფლობს Silk Road Holdings B.V (შემდგომში – მშობელი კომპანია), ხოლო მისი საბოლოო მშობელი კომპანიაა სსს „ინტერ რაო“ (შემდგომში – საბოლოო მშობელი კომპანია), რომელსაც აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია. აქციების 24.53% ფლობს შპს „ბესტ ენერჯი გრუპი“. კერძო პირები ფლობენ დანარჩენ 0.36%.

ეს ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ არის დამტკიცებული აქციონერთა კრების მიერ. აქციონერთა კრება, როგორც წესი, ტარდება საანგარიშო თარიღის შემდეგი წლის პირველ ნახევარში. აქციონერებს უფლება აქვთ შეიტანონ ცვლილებები და დამატებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებების მოცულობა აღემატება საბრუნავი აქტივების მოცულობას 50,577 ლარით (2023 წ.: 7,610 ლარი). 2024 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ შეადგინა 93,391 ლარი (2023 წ.: 105,232 ლარი). განაწილების ახალი ტარიფი, რომელიც კომპანიისათვის მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე, განსაზღვრულ იქნა სემეკ-ის 2023 წლის 30 ნოემბრის №49 დადგენილებით. 2024 წელს მოქმედი განაწილების ტარიფი შემცირდა 2023 წელს მოქმედ ტარიფთან შედარებით. ამასთან, სემეკ-ის 2023 წლის 22 ნოემბრის N55/23 გადაწყვეტილებით განსაზღვრული, კომპანიის საინვესტიციო ვალდებულებები კაპიტალურ დანახარჯებთან მიმართებით მნიშვნელოვნად გაიზარდა სემეკ-ის 2020 წლის 13 ნოემბრის N70/14 გადაწყვეტილებით დადგენილ, 2023 წლის ანალოგიურ ვალდებულებებთან შედარებით (2024 წელს 115,372 ლარის ოდენობის ინვესტიციების მოცულობა 2023 წელს 20,636 ლარის ოდენობის ინვესტიციების მოცულობასთან შედარებით). გარდა ამისა, 2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და თითქმის სრული ოდენობით გადაიხადა 18,000 ლარის ოდენობის დივიდენდები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადება, საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, ატარებს მისაღებ ხასიათს. არსებობს რისკები და გაურკვევლობები, რომელთაგან მრავალი სცდება ხელმძღვანელობის კონტროლს და რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს სხვაობა ფაქტობრივ და მოსალოდნელ შედეგებს შორის. კომპანია მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტებს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების შეფასებისას:

- სემეკ-ის 2023 წლის 30 ნოემბრის ახალი N49 დადგენილებით, კომპანიისთვის 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე მოქმედი განაწილების ახალი ტარიფი, ოდნავ შემცირდა, მაგრამ აღნიშნული არ მოახდენს ზეგავლენას კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რადგან კომპანიამ შეძლო საკუთარი ამონაგების გაზრდა 2024 წელს 2023 წელთან შედარებით, ელექტროენერგიის განაწილების უფრო მაღალი მოცულობების ხარჯზე, ასევე დაგეგმილი აქვს განაწილების მოცულობების შენარჩუნება, რომლებიც შეესაბამება 2025 წელს ქვეყანაში საერთო ეკონომიკური ზრდის მოცულობას.
- 2024 წლის სექტემბერში კომპანიამ ხელი მოაწერა გრძელვადიან კრედიტზე საქართველოს კომერციულ ბანკთან 40,000 ლარის ოდენობით, დაფარვის ვადით 2027 წლის სექტემბერში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ ნაწილობრივ გამოიყენა კრედიტი 27, 500 ლარი (შენიშვნა 23) საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. კომპანიას დაგეგმილი აქვს კრედიტის დარჩენილი ნაწილის 12,500 ლარის ოდენობით გამოყენება 2025 წელს. ამასთან, კომპანიას დაგეგმილი აქვს ჩაატაროს მოლაპარაკებები ქართული კომერციული ბანკების ჯგუფთან დამატებითი გრძელვადიანი კრედიტის 40,000 ლარის ოდენობით მიღებაზე 2025 წელს.
- მოკლევადიანი ვალდებულებების შემადგენლობაში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეტანილია კრედიტი 19,000 ლარის ოდენობით, რომელიც გადასახდელია საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიისთვის. ამ კრედიტის დაფარვის ვადა უკვე ერთხელ იქნა გაგრძელებული და კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ისინი შეძლებენ დაფარვის ვადების გადასინჯვას და დამატებითი პერიოდით გაგრძელებას, თუ დაფარვა ზიანს მიაყენებს კომპანიის ლიკვიდურ პოზიციებს.
- კომპანია მოელის, რომ მოკლევადიანი ვალდებულება 7,431 ლარის ოდენობით (შენიშვნა 25) ჩამოწერილი იქნება და არ დასჭირდება ნაღდი ანგარიშსწორება, იმ ფაქტის გამო, რომ ვალდებულება შესრულდება.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ ინიციატივების ერთობლიობა კომპანიას უზრუნველყოფს საჭირო ლიკვიდურობით საკუთარი საქმიანობის გასაგრძელებლად 2025 წლის შემდგომ პერიოდში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას.

(ბ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თავდაპირველი ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც, პერიოდულად, ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში, სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში. ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

(ii) ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მასზე ცვეთის ასახვა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადებია:

შენობა–ნაგებობები	50 წლამდე
მანქანები და მოწყობილობები	15–30 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5–15 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5–20 წლამდე

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) სასაქონლო–მატერიალური მარაგები

სასაქონლო–მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო–მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

(დ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს. სამართლიანი ღირებულების შეფასება გულისხმობს, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:

- მოცემული აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- მოცემული აქტივისთვის, ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, თუ არ არსებობს ძირითადი ბაზარი.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიისათვის.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განხილულია 29–ე შენიშვნაში. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობები მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის გამოყენების შედეგად მისი მაქსიმალური და ყველაზე ეფექტიანი გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილეზე მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს გამოიყენებდა მაქსიმალურად და ყველაზე ეფექტიანად.

კომპანია იყენებს გარემოებების შესატყვის შეფასების მეთოდებს, რომლებზეც არსებობს საკმარისი მონაცემები სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების მაქსიმალური და დაუკვირვებადი მონაცემების მინიმალური გამოყენებით. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების აქტიური ბაზრების კოტირებული (გაუკორექტირებელი) ფასები;
- დონე 2 –შეფასების სხვა ხერხები, რომელთათვისაც ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სამართლიანი ღირებულების აღიარებაზე, დაკვირვებადია პირდაპირ ან ირიბად;
- დონე 3 – შეფასების სხვა ტექნიკები, რომელთათვისაც ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ სამართლიანი ღირებულების აღიარებაზე, ყველა არ არის დაკვირვებადი ბაზარზე.

იმ აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც განმეორებით აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, კომპანია განსაზღვრავს მათ იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აუცილებლობას, კლასიფიკაციის განმეორებითი ანალიზის (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ყველა ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან (შენიშვნა14). მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, გადახდის ფაქტიური თარიღისა ან პერიოდისგან დამოუკიდებლად.

ცალკეულ შემთხვევებში, დაშვებულია გამოქვითვები მოგების გადასახადზე დარიცხვებიდან, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებაზე მოგების გადასახადზე ხარჯების შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის არ წარმოიქმნება რაიმე გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით, აღიარებულია კაპიტალში ცვლილებების ანგარიშში გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს გარკვეული ოპერაციების, რომლებიც განიხილება დივიდენდების ფარულ განაწილებად (მაგალითად, ოპერაციები არასაბაზრო ფასით, ხარჯები ან საქონლის და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან) მოგების გადასახადით დაბეგვრას. მსგავსი ოპერაციების დაბეგვრა ექვემდებარება აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების ანალოგიურად და წარმოდგენილია „სხვა გადასახადების“ სახით „სხვა საოპერაციო ხარჯების“ შემადგენლობაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

- თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. დამატებული ღირებულების გადასახადის გარკვეული თანხა, რომელიც წარმოიქმნა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება; ასეთი დამატებული ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებული ღირებულების გადასახადი და წარმოადგენს გადასახდელი დავალიანების თანხას.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხორციელდება, თუ წარსული მოვლენის შედეგად, კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აღირიცხება ფინანსური ხარჯის სახით.

(ზ) ამონაგები და სხვა შემოსავლები

(i) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კონტროლი საქონელზე ან მომსახურებაზე გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომელზეც უფლების მიღებას კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. კომპანიამ დაასკვნა, რომ იგი არის პრინციპალი ყველა ამონაგების ხელშეკრულებებში, ვინაიდან, იგი, როგორც წესი, ახორციელებს საქონლის ან მომსახურების კონტროლს მომხმარებლებისთვის მათ გადაცემამდე. აღაიარების შემდგომი კონკრეტული კრიტერიუმები ასევე უნდა იქნას დაკმაყოფილებული ამონაგების აღიარებამდე.

მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია

თავდაპირველი აღიარებისას კომპანია განსაზღვრავს მომხმარებლებთან ხელშეკრულების არსებობას.

მომხმარებლებთან ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს ფასს (IFRS) 15–ს, შემდეგი პირობების დაკმაყოფილებით:

- ხელშეკრულება დამტკიცებულია ხელშეკრულების მხარეების მიერ;
- შესაძლებელია გადასაცემ საქონელზე ან მომსახურებაზე თითოეული მხარის უფლების იდენტიფიკაცია;
- შესაძლებელია გადასაცემი საქონლის ან მომსახურების გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;
- გადასაცემი საქონლის და მომსახურების გადადხის პირობები იდენტიფიცირებულია;
- ხელშეკრულებას აქვს კომერციული შინაარსი; და
- მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანაზღაურების მიღების ალბათობის შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს მომხმარებლის უნარს და განზრახვას გადაიხადოს ანაზღაურება დადგენილ ვადაში. ხელშეკრულების დადებისას, კომპანია შეიძლება მოელოდეს, რომ მომხმარებლის მიერ მისთვის გადაცემული საქონლის და/ან მომსახურების გადახდის ოდენობა შეიძლება ნაკლები იყოს ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე. ასეთ შემთხვევაში კომპანიამ უნდა გადაწყვიტოს, რომ მას შეუძლია მომხმარებელს შესთავაზოს ფასდათმობა, ასევე ხელშეკრულება შეესაბამება კრიტერიუმებს (ფასდათმობით შემცირებული ხელშეკრულების ანაზღაურების მიღება სავარაუდოა). ფასის კონცესიები ან ფასდაკლებები წარმოადგენს სხვადასხვა ანაზღაურებების ფორმას, რომელიც კომპანიამ უნდა შეაფასოს ხელშეკრულების დადების მომენტში და გამოქვითოს ხელშეკრულების ღირებულებიდან, გარიგების ფასის განსაზღვრის მიზნით. ამისათვის, კომპანიამ განსაზღვრა თავისი მომხმარებლების კატეგორიები, რომლებისთვისაც მას არ აქვს ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის კანონიერი უფლება ან საქმიანობის პროცესში მათ უზრუნველყოფს ფასდათმობით.

შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია

კომპანია აქვს ლიცენზია ელექტროენერგიის განაწილებაზე თბილისისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მოქმედებს ელექტროენერგიის გამანაწილებლის სახით, მას აქვს შესრულების ერთი ვალდებულება, რომელიც მდგომარეობს საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის განაწილებაში კომპანიის ქსელების მეშვეობით.

გარიგების ფასის განსაზღვრა

გარიგების ფასი არის ანაზღაურების ის ოდენობა, რომლის მიღების უფლებსაც კომპანია მოელის მომხმარებლისთვის საქონლის და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. მისი განსაზღვრის დროს კომპანია ითვალისწინებს საქმიან პრაქტიკას გასული პერიოდების განმავლობაში.

ამონაგების სავარაუდო ოდენობა შეიძლება იყოს ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები, ვინაიდან, კომპანია იღებს გადაწყვეტილებას მომხმარებელთა განსაზღვრულ ჯგუფებს შესთავაზოს ფასდათმობა. ხელშეკრულების მიხედვით ანაზღაურების საეჭვო ნაწილი კომპანიის მიერ განიხილება ფასდათმობად. მომხმარებელთა იდენტიფიკაცია, რომლებისთვისაც ხდება ფასდათმობა, განისაზღვრება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე ხელშეკრულებებში

ელექტროენერგიის განაწილების ხელშეკრულებების შესაბამისად, კომპანიას აქვს ერთი შესასრულებელი ვალდებულება, რომელიც გულისხმობს საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდებას.

ამრიგად, კომპანია არ ახორციელებს გარიგების ფასის განაწილებას შესრულების ვალდებულებაზე და არ განსაზღვრავს ცალკეული გაყიდვის ფასს თითოეული პროდუქტისა და მომსახურებისთვის, რადგან კომპანიის პრაქტიკის შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულება შეიცავს ერთ შესასრულებელ ვალდებულებას.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება როდესაც (ან როგორც კი) კომპანია აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას

ელექტროენერგიის განაწილებაზე ამონაგების აღიარება ხდება დროთა განმავლობაში საბოლოო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობიდან გამომდინარე და სემეკ–ის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. ელექტროენერგიის ბაზარზე საბოლოო მომხმარებლები იყოფა ორ ძირითად ტიპად:

(ა) პირდაპირი მომხმარებლები შეისყიდიან ელექტროენერგიას უშუალოდ ელექტროენერგიის მწარმოებლებისგან. კომპანია წარუდგენს ანგარიშებს საბოლოო მომხმარებლებს და ამონაგებს აღიარებს ელექტროსადგურის მიერ ერთი თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე;

(ბ) მომხმარებლები, რომლებსაც ელექტროენერგია მიეწოდებათ ელექტროენერგიის უნივერსალური მიმწოდებლების მიერ, რეგულირებული პირობებით (მაგალითად, საყოფაცხოვრებო მომხმარებლები და მცირე საწარმოები). ამ შემთხვევაში, კომპანია განაწილების ტარიფს იღებს ელექტროენერგიის მიმწოდებლისგან და ამონაგებს აღიარებს საბოლოო მომხმარებლების მიერ თვის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე

თვის განმავლობაში სისტემაში განაწილებულ ელექტროენერგიის მოცულობის სხვაობა გამოკლებული საბოლოო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობა აღიარებული უნდა იქნას დანაკარგების სახით და აღირიცხოს შესყიდულ ელექტროენერგიაში (შენიშვნა 9) სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

(ii) შემოსავალი გარიგებებიდან მომხმარებლების მიერ გადმოცემული აქტივების გამოყენებით

როდესაც კომპანია მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ერთეულს, იგი ჯერ აფასებს აკმაყოფილებს თუ არა ეს ერთეული აქტივის განსაზღვრებას. თუ კომპანია დაასკვნის, რომ აქტივის განსაზღვრება დაკმაყოფილებულია, იგი გადაცემულ აქტივს ძირითადი საშუალებების ობიექტად აღიარებს და თავდაპირველი აღიარებისას მის ღირებულებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით, ასევე ამონაგების აღიარებას აწარმოებს ფასს (IFRS 15)-ის შესაბამისად. კომპანია ჯერ განსაზღვრავს მიღებული აქტივის სანაცვლოდ გაწეული მომსახურების სახეობას, შემდეგ მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სრული ოდენობის სამართლიან ღირებულებას, ამის შემდეგ კი მომსახურების თითოეული სახეობისათვის გამოიყენება შემოსავლების აღიარების კრიტერიუმები. სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელსაც კომპანია უზრუნველყოფს თავისი მომხმარებლებისათვის, დეტალურად არის განხილული მე-7 და მე-8 შენიშვნებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.1. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები

კომპანია იყენებს შრომითი საქმიანობის შემდგომ დადგენილ შენატანებიან პროგრამას. აღნიშნული გადახდები არ არის ფონდით უზრუნველყოფილი.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია დადგენილ შენატანებიანი პროგრამის თანახმად გაცემულ გასამრჯელოებთან, განისაზღვრება პროგნოზირებადი პირობითი ერთეულის მეთოდით.

გადაფასებები, რომლებიც შედგება აქტუარული შემოსავლებისა და ზარალისაგან, იმ თანხების გამოკლებით, რომლებიც შედის წმინდა დადგენილ შენატანებიან პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებაზე დარიცხულ წმინდა საპროცენტო ხარჯში, აისახება უშუალოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შესაბამისი ასახვით გაუნაწილებელი მოგების დებეტში ან კრედიტში სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მათი წარმოქმნის პერიოდში. გადაფასებების რეკლასიფიკაცია მოგება–ზარალის ანგარიშგებაში მომდევნო პერიოდებში არ ხდება.

წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულების ასახვა ხდება მოგებაში ან ზარალში შემდეგი თარიღებიდან ადრეულის მიხედვით:

- პროგრამის შეცვლის ან შეკვეცის თარიღით; და
- იმ თარიღით, როდესაც კომპანია აღიარებს ამასთან დაკავშირებულ რესტრუქტურიზაციის დანახარჯებს.

წმინდა პროცენტის გაანგარიშება ხორციელდება დისკონტის განაკვეთის გამოყენებით წმინდა დადგენილ შენატანებიანი ვალდებულების მიმართ. ქვემოთ ჩამოთვლილ ცვლილებებს წმინდა დადგენილ შენატანებიანი პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებაში კომპანია აღიარებს მუხლში „ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისათვის“:

- მომსახურების ღირებულება, რომელიც მოიცავს მიმდინარე მომსახურების ღირებულებას, წარსულში გაწეული მომსახურების ღირებულებას, მოგებას ან ზარალს შეკვეცის და არასტანდარტული ანგარიშსწორებების მიხედვით;
- წმინდა საპროცენტო ხარჯი.

4.2. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკასა და გამჟღავნებებში

კომპანიამ პირველად გამოიყენა გარკვეული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიას არ გამოუყენებია წინსწრებით რაიმე სხვა სტანდარტი, განმარტება თუ შესწორება, რომელიც იქნა გამოცემული, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში.

შესწორებები ფასს (IFRS) 16–ში: იჯარის ვალდებულება უკუიჯარით გაყიდვის ოპერაციაში

შესწორებები ფასს (IFRS) 16–ში აზუსტებენ მოთხოვნებს, რომლებსაც გამყიდველი–მოიჯარე იყენებს უკუიჯარით გაყიდვის ოპერაციაში წარმოქმნად, იჯარის ვალდებულების შეფასებისას, რათა უზრუნველყოფილ იქნას, გამყიდველი–მოიჯარეს მიერ მოგების ან ზარალის რაიმე თანხის აღიარების განუხორციელებლობა მასთან დარჩენილ სარგებლობის უფლებასთან მიმართებით. ცვლილებებს არ ჰქონია ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

4.2. ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკასა და გამჟღავნებებში (გაგრძელება)

შესწორებები ბასს (IAS) 1–ში: „მოკლევადიანების ან გრძელვადიანების სახით ვალდებულებების კლასიფიკაცია“

შესწორებები ბასს (IAS) 1–ში აზუსტებენ მოკლევადიანების ან გრძელვადიანების სახით ვალდებულებების კლასიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს. შესწორებები აზუსტებს:

- რა იგულისხმება ვალდებულების დარეგულირების გადავადებაზე უფლებაში;
- რომ გადავადებაზე უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის;
- რომ ვალდებულების კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ვარაუდი, მოახდენს თუ არა ორგანიზაცია ვალდებულების დარეგულირების გადავადებაზე თავისი უფლების რეალიზებას;
- რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, ვალდებულების პირობები ზეგავლენას არ მოახდენს მის კლასიფიკაციაზე.

ამასთანავე კომპანია ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია, როდესაც სესხის ხელშეკრულებით შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, და კომპანიის უფლება, გადაავადოს დაფარვა დამოკიდებულია მომდევნო შეთანხმებების შესრულებაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

ცვლილებები დამატებით აისახა 23-ე შენიშვნაში, მაგრამ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები – შესწორებები ბასს (IAS) 7–სა და ფასს (IFRS) 7–ში. შესწორებები ბასს (IAS) 7–ში „ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს (IFRS) 7–ში „ფინანსური ინსტრუმენტები: ინფორმაციის გამჟღავნება“ აზუსტებენ მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების პარამეტრებს და საზღვრავენ მოთხოვნებს ასეთი შეთანხმებების დამატებითი გამჟღავნების შესახებ. ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ შესწორებებში წარმოდგენილი მოთხოვნები გამიზნულია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების დასახმარებლად კომპანიის ვალდებულებებსა და მისი ფულადი სახსრების ნაკადებზე, აგრეთვე ლიკვიდურობის რისკისადმი მის დაქვემდებარებაზე ამ შეთანხმებების ზეგავლენის შეფასებაში. მოცემულ შესწორებებს არ მოუხდენია ზეგავლენა კომპანიაზე და არ მოჰყოლია ინფორმაციის დამატებითი გამჟღავნება.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ არის შესული

ქვემოთ წარმოდგენილია გამოცემული ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც არ არის შესული ძალაში კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის.

ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის არარსებობა - შესწორებები ბასს (IAS) 21-ში

2023 წლის აგვისტოში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა შესწორებები ბასს (IAS) 21-ში „სავალუტო კურსების ცვლილებების ზეგავლენა“, რათა განესაზღვრა, როგორ უნდა შეაფასოს ორგანიზაციამ ვალუტის გაცვლის შესაძლებლობა და დაადგინოს მიმდინარე გაცვლითი კურსი საანგარიშოდ ერთი ვალუტის სხვა ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში. შესწორებები ადგენს ვალდებულებას, გამჟღავნებულ იქნას ინფორმაცია, რომელიც საშუალებას აძლევს მისი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს გაიგონ, თუ რა ზეგავლენა აქვს ან მოსალოდნელია რომ იქონიებს მოცემული ვალუტის სხვა ვალუტაზე გაცვლის შესაძლებლობის არარსებობა ორგანიზაციის ფინანსურ შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

შესწორებები ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან ან მას შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადამდელი გამოყენება, თუმცა ეს ფაქტი უნდა იქნას გამჟღავნებული. შესწორებების გამოყენებისას, ორგანიზაციამ არ მოახდინოს შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშება.

მოსალოდნელია, რომ შესწორებებს არ ექნება არსებითი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 18 „ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის წარდგენა და გამჟღავნება“

2024 წლის აპრილში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ცვლის ბასს (IAS) 1-ს „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. ფასს (IFRS) 18 აწესებს ახალ მოთხოვნებს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენასთან მიმართებით, აღნიშნული ჯამებისა და შუალედური ჯამების ჩათვლით. გარდა ამისა, ორგანიზაციები ვალდებულია მოახდინონ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება ხუთიდან ერთერთი კატეგორიის მიხედვით: საოპერაციო, საინვესტიციო, ფინანსური, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი საქმიანობა, რომელთაგან პირველი სამი ახალია. მოცემული სტანდარტი ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული, ეფექტურობის შესრულების საზომების, შემოსავლებისა და ხარჯების ქვეჯამების წარდგენას და მოიცავს ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგაციასა და დეზაგრეგაციასთან მიმართებით, ფინანსური ანგარიშგების განსაზღვრული როლებისა და შენიშვნების საფუძველზე.

ამასთანავე ბასს (IAS) 7-ში „ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგება“ შეტანილ იქნა ვიწრო პროფილის ცვლილებები, რაც მოიცავს საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის შეცვლას ირიბი მეთოდით „მოგებიდან ან ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“ და არჩევითობის აღმოფხვრას დივიდენდებიდან და პროცენტებიდან ფულადი ნაკადების კლასიფიკაციასთან მიმართებით. გარდა ამისა, ადგილი აქვს შემდგომ ცვლილებებს რამდენიმე სხვა სტანდარტთან დაკავშირებით.

5. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ძალაში ჯერ არ არის შესული (გაგრძელება)

შესწორებები ფასს (IFRS) 18-სა და სხვა სტანდარტებში ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა ვადამდელი გამოყენება დასაშვებია და უნდა იქნას გამჟღავნებული. ფასს (IFRS) 18 ასევე გამოყენებულ იქნება რეტროსპექტულად.

კომპანია ამჟამად მუშაობს ყველა იმ შედეგის გამოვლენაზე, რასაც ცვლილებები იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებასა და მათ შენიშვნებზე.

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა გამოქვეყნებული სტანდარტები და განმარტებები, რომლებიც არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ მოცემულ სტანდარტებს არ ექნებათ გავლენა კომპანიაზე:

ფასს (IFRS) 19 „არასაჯარო შვილობილი კომპანიები: ინფორმაციის გამჟღავნება“.

2024 წლის მაისში, ფასს-ის საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც საშუალებას აძლევს შესაბამის ორგანიზაციებს აირჩიონ ინფორმაციის გამჟღავნებასთან მიმართებით შემცირებული მოთხოვნების გამოყენება, და გააგრძელონ ფასს-ის (IFRS) სხვა სტანდარტებში დადგენილი აღიარების, შეფასებისა და წარმოდგენის მოთხოვნების გამოყენება. ორგანიზაციას აქვს უფლება გამოიყენოს ეს სტანდარტი, თუ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ის არის შვილობილი კომპანია, როგორც ეს განსაზღვრულია ფასს (IFRS) 10-ში, არ აქვს საჯარო ანგარიშგება და ჰყავს (საბოლოო ან შუალედური) მშობელი კომპანია, რომელიც, თავის მხრივ, ადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის და შეესაბამება ფასს-ს (IFRS).

ფასს (IFRS) 19 ძალაში იქნება 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადამდელი გამოყენება.

მოსალოდნელია, რომ მოცემული შესწორებები მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გამოთქვა შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

(i) მომხმარებლებისაგან მიღებული აქტივების სანაცვლოდ გაწეული მომსახურების განსაზღვრა

კომპანია თავისი მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ერთეულებს, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნას აღნიშნული მომხმარებლების ქსელთან მისაერთებლად, აგრეთვე მათთვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად. კომპანიამ უნდა შეიმუშაოს მიდგომა მიღებული აქტივების სანაცვლოდ მომხმარებლებისათვის გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. ყველა ფაქტისა და გარემოების ანალიზის შემდეგ, კომპანია დარწმუნებულია, რომ მომხმარებელთათვის გაწეული მომსახურება მათ მიერ გადმოცემული აქტივების სანაცვლოდ მთლიანად დაკავშირებულია ელექტრულ ქსელთან მიერთებასთან და, შესაბამისად, მათი აღიარება ხდება კომპანიისათვის აქტივების გადაცემის და მომხმარებლის ქსელზე მიერთების დასრულების შემდეგ. გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიდგომას მნიშვნელოვანი ზემოქმედება აქვს შემოსავლების ასახვის დროზე. 2023 წელს მომხმარებელთა მიერ გადმოცემული აქტივებიდან აღიარებულმა შემოსავლებმა შეადგინა 517 ლარი (2023 წ.: 719 ლარი) (შენიშვნა 8).

(ii) დროითი განსხვავება

ელექტროენერგიის განაწილებიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მომხმარებლების მიერ ელექტროენერგიის აღრიცხული მოხმარების საფუძველზე. ვინაიდან, აღრიცხული მონაცემების შეგროვების ვადები არ ემთხვევა საანგარიშო პერიოდის დასრულებას, ნებისმიერი საანგარიშო თარიღისათვის ადგილი აქვს შემდეგ სიტუაციას: კომპანიამ მოახდინა ელექტროენერგიის გარკვეული მოცულობის განაწილება, მაგრამ მომხმარებლებისთვის ჯერ არ წაუყენებია ანგარიში. შემოსავლების ოდენობის გაანგარიშება, რომლებიც უნდა მიიღოს კომპანიამ, მაგრამ რომელიც ჯერ არ არის დადასტურებული ანგარიშებით, წარმოებს ხელმძღვანელობის მიერ შესაბამის საანგარიშო პერიოდში პირობითად დარიცხული შემოსავლის მოცულობის, მომხმარებელთა სხვადასხვა რაოდენობებს შორის მისი განაწილების და საანგარიშო თარიღისთვის ტექნოლოგიური დანაკარგების საუკეთესოდ დასაბუთებული შეფასების საფუძველზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სხვაობა ფინანსურ შემოსავლებსა და შემოსავლების გაანგარიშებულ სიდიდეს შორის, რომელიც არ არის დადასტურებული ანგარიშებით, უმნიშვნელოა.

(ბ) დაშვებები და შეფასებები

ძირითადი დაშვებები, რომლებიც ეხება საანგარიშო თარიღისთვის გაურკვევლობის შეფასების სამომავლო და სხვა მნიშვნელოვან წყაროებს, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირება შემდეგი ფინანსური წლის განმავლობაში, განხილულია ქვემოთ. კომპანიის დაშვებები და შეფასებითი მნიშვნელობები ეფუძნება მონაცემებს, რომლებიც კომპანიას ხელთ ჰქონდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების მომენტში. თუმცა, მომავალთან დაკავშირებული არსებული გარემოებები და დაშვებები შესაძლებელია შეიცვალოს იმ საბაზრო ცვლილებების ან გარემოებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება დაშვებებში, მათ დადგომასთან ერთად.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

(i) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი

თითოეული საანგარიშო თარიღისთვის კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის დეფოლტის ობიექტური ნიშნების არსებობას. კომპანია ახორციელებს შეფასების რეზერვის აღიარებას ზარალში, ECL–ის მთელი ვადის გათვალისწინებით თითოეული საანგარიშო თარიღისთვის.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ECL–ის რეზერვის თანხა 8,530 ლარის ოდენობით (2023 წ.: 9,237 ლარი) არის ყველაზე დასაბუთებული შეფასება დებიტორული დავალიანების შესაძლო რეზერვისთვის (შენიშვნა 18).

(ii) დადგენილ შენატანებიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები

კომპანია, ყოველი საანგარიშო თარიღისთვის, აწარმოებს ძირითადი შეფასებებისა და მოსაზრებების ანალიზს, რომლებსაც იყენებს დადგენილ შენატანებიანი საპენსიო პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების შეფასებისას. კომპანია ხელმძღვანელობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის სიკვდილიანობის შესახებ. მოსალოდნელ საპენსიო ასაკად მამაკაცებისთვის განსაზღვრულია 71 წელი, ხოლო ქალებისათვის 68 წელი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია აფასებს კადრების დენადობის კოეფიციენტს ფაქტობრივი სტატისტიკით. კომპანიის საპენსიო შეღავათების წლიური ზრდა ნულის ტოლია 2024 და 2023 წლებისთვის. დისკონტირების განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 9.59% (2023 წ.: 9.84%) (შენიშვნა 24).

(iii) ხარჯების კლასიფიკაცია საოპერაციო დანახარჯებად და კაპიტალურ დანახარჯებად

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის განაწილება, რაც მოიცავს მნიშვნელოვან დანახარჯებს გაფართოებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია გამანაწილებელ ქსელზე მიერთებასა და შესაბამის ინფრასტრუქტურასთან. მსგავსი პროექტებისთვის გაწეული დანახარჯების კლასიფიკაციის შეფასება კაპიტალურ და საოპერაციო დანახარჯებად საჭიროებს მოსაზრებების შემუშავებას. მოსაზრებები მიიღება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც შემუშავებულია კომპანიის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის თანამიმდევრული გამოყენების მიზნით. დანახარჯები ინფრასტრუქტურის კომპონენტების ანალოგიურ შეცვლაზე აღიარებულია მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნის მიხედვით. საანგარიშო წელს ინფრასტრუქტურის განახლებაზე დანახარჯების საერთო მოცულობამ შეადგინა 160,505 ლარი (2023 წ.: 53,955 ლარი).

ხორციელდება ქსელების ინფრასტრუქტურის საოპერაციო სიმძლავრეების ხარისხის ან გამტარუნარიანობის ამაღლებაზე გაწეული ხარჯების კაპიტალიზაცია და შეადგენს 482 ლარს (2023 წ.: 1,187 ლარს), მათ შორის კაპიტალიზირებული ხელფასი შეადგენს 27 ლარს (2023 წ.: 184 ლარი).

7. შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2024	2023
ელექტროენერგიის განაწილება მიმწოდებელ კომპანიებზე	216,036	209,243
ელექტროენერგიის განაწილება პირდაპირ მომხმარებლებზე	11,747	12,648
სულ შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**227,783**	**221,891**

საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფების რეგულირებას ახორციელებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი).

კომპანია უზრუნველყოფს ელექტროენერგიის განაწილების მომსახურების მიწოდებას. ეს მომსახურება მიეწოდება როგორც პირდაპირ მომხმარებლებს, რომლებიც ელექტროენერგიას ყიდულობენ ღია ბაზარზე, ასევე მიმწოდებელ კომპანიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწოდების მომსახურებით დიდი რაოდენობის მომხმარებლებს. კომპანიის 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ელექტროენერგიის განაწილებას პირდაპირი მომხმარებლებისთვის ეწოდებოდა „ელექტროენერგიის ტრანზიტი“. 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიამ განაახლა დასახელებები მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგების დანაყოფში, რაც მიზნად ისახავდა მკითხველებისთვის მეტი სიცხადის უზრუნველყოფასა და დარგში მოქმედ განსაზღვრებებთან სათაურების შესაბამისობაში მოყვანას.

კომპანიის შემოსავლების ძირითადი წყაროა ელექტროენერგიის განაწილება მიმწოდებელ კომპანიებზე. 2023 და 2024 წლებში ელექტროენერგიის განაწილება წარმოებდა ერთ კომპანიაზე – საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანია (შენიშვნა 30). სემეკ–ის 2021 წლის 29 ივნისის #27 დადგენილებით განსაზღვრულ იქნა 2024 წლის იანვრამდე მოქმედი, ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები. სემეკ-ის 2023 წლის 30 ნოემბრის #49 დადგენილებით განისაზღვრა ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები, რომლებიც გამოიყენება 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდებზე კომპანიისთვის დადგენილი, ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები წარმოდგენილია შემდეგი სახით (წინამდებარე შენიშვნაში ქვემოთ მოცემული ტარიფები წარმოდგენილი არ არის ათას ლარში და ასახავს ტარიფს ელექტროენერგიის 1 კვტ–ზე):

მიერთების ძაბვა	მოხმარება	სექტორი	2024 ქართული ლარი	2023 ქართული ლარი
6000/10,000 ვოლტი		საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო	0.03857	0.04324
35/110,000 ვოლტი		საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო	0.02303	0.02411
220/380 ვოლტი		არასაყოფაცხოვრებო	0.07859	0.08172
220/380 ვოლტი	პირველი 100 კვტ/სთ 101 კვტ/სთ–დან	საყოფაცხოვრებო	0.07859	0.08172
220/380 ვოლტი	300კვტ/სთ–მდე	საყოფაცხოვრებო	0.07859	0.08172
220/380 ვოლტი	300 კვტ/სთ ზემოთ	საყოფაცხოვრებო	0.07859	0.08172

7. შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

2024 წელს, სემეკ-ის 2021 წლის 29 ივნისის #27 დადგენილებისა და მოქმედი დარგობრივი ნორმების მოთხოვნების შესრულების მიზნით, კომპანიამ განაახლა შემოსავლის წყაროების კლასიფიკაცია „შემოსავლები განაწილებიდან“ და „ელექტროენერგიის ტრანზიტიდან“ „ელექტროენერგიის განაწილება მიმწოდებელ კომპანიებზე“ და „ელექტროენერგიის განაწილება პირდაპირ მომხმარებლებზე“, შესაბამისად. ტერმინოლოგიის ცვლილება გავლენას არ მოახდენს მე-2 შენიშვნაში წარმოდგენილ შემოსავლების აღიარების პრინციპებზე ან წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ შედარებითი პერიოდისთვის მომხმარებელთა შემოსავლების მთლიან თანხაზე.

სახელშეკრულებო ნაშთები

	2024	2023
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,831	1,761
სახელშეკრულებო ვალდებულებები	2,136	2,149

სავაჭრო დებიტორული დავალიანება შედგება მოკლევადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანების და რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებისგან. მოკლევადიანი სავაჭრო დებიტორული დავალიანება უპროცენტოა და, ძირითადად, წარმოდგენილია 30 დღიანი ვადით. რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება წარმოიქმნება მომხმარებლებთან რესტრუქტურიზაციის შესახებ დადებული ხელშეკრულებების შედეგად, ვადაგასული დებიტორული დავალიანების შეგროვების გაუმჯობესების მიზნით. რესტრუქტურიზებულ დებიტორულ დავალიანებაზე პროცენტების დარიცხვა არ ხორციელდება.

სახელშეკრულებო ვალდებულებები მოიცავს ავანსებს და დეპოზიტებს მომხმარებლებისგან. სემეკ–ის 2008 წლის 18 სექტემბრის დადგენილების N20 თანახმად, კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს დეპოზიტები არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისგან, რომელთაც აღენიშნებათ გადახდების ვადაგადაცილება ბოლო 12 თვის განმავლობაში, საშუალო თვიური საფასურის ოდენობით. გადახდის ისტორიის გაუმჯობესების შემდეგ შესაძლებელია დეპოზიტების გამოთხოვა. ამრიგად, სახელშეკრულებო ვალდებულებები განსხვავდება „მიღებული ავანსებისგან“, რომლებიც მომხმარებლების მიერ განხორციელებულ ჩვეულებრივ წინასწარ გადახდებს წარმოადგენს და რომელთა გამოყენება ხდება ელექტროენერგიის მოხმარებისას.

საანგარიშგებო პერიოდის ამონაგები, რომელიც აღიარებული იქნა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისთვის არსებული სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთებიდან 2024 და 2023 წლებში შეადგენს 165 და 110 ლარს, შესაბამისად.

8. სხვა შემოსავლები

	2024	2023
შემოსავლები ახალი მომხმარებლების მიერთებიდან (ა)	39,476	30,847
მოსაკრებლები ბილინგიდან და გადახდების მიღება (ბ)	2,861	2,959
შემოსავალი იჯარიდან	1,286	1,220
დღგ–ზე დავალიანების ჩამოწერა (შენიშვნა26 ა)	584	2,635
მომხმარებლების მიერ გადმოცემული აქტივები	517	719
ელექტროენერგიით მომარაგების აღდგენის საფასური	319	407
სარემონტო მომსახურება	202	52
შემოსავალი რესტრუქტურიზირებულ დებიტორულ დავალიანებაზე დარიცხული დისკონტის ამორტიზაციიდან (შენიშვნა 18)	85	222
სახელმწიფო სუბსიდიები	70	74
სხვა შემოსავლები	1,330	2,519
სულ სხვა შემოსავლები	**46,730**	**41,654**

(ა) შემოსავლები ახალი მომხმარებლების მიერთებიდან

მომხმარებლები, რომლებსაც არა აქვთ საკმარისი ტექნიკური ცოდნა, კომპანიასთან აფორმებენ ხელშეკრულებას ქსელთან ახალი აბონენტის მიერთების სამუშაოების შესრულებაზე. 2024 წელს ახალი აბონენტების რაოდენობის ზრდის შედეგად გაიზარდა შემოსავლები მიერთებიდან. კომპანია ღებულობს წინასწარ გადახდებს ახალი აბონენტებისგან მიერთების მომსახურებისთვის და ეს წინასწარი გადახდები აღირიცხება ვალდებულებებში, მიღებულების სახით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 31,342 ლარი (2023წ.: 19,030 ლარი) განეკუთვნება მიერთების მომსახურებისთვის ახალი აბონენტებისგან მიღებულ ავანსებს.

(ბ) მოსაკრებლები ბილინგიდან და გადახდების მიღება

მოსაკრებლები ბილინგიდან და გადახდების მიღება დაკავშირებულია ბილინგისა და გადახდების მიღების მომსახურებასთან, რომელიც უზრუნველყოფილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის „Georgian Water and Power“ და თბილისის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურისთვის და შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიისთვის“. მოცემული გადასახდელების წარდგენა წარმოებს ელექტროენერგიაზე გადასახდელებთან ერთად.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია წარმოდგენილია 30–ე შენიშვნაში.

9. შესყიდული ელექტროენერგია

	2024	2023
ელექტროენერგიის დანაკარგების შესყიდვა	33,062	26,892
ელექტროენერგიის გადაცემა და დისპეჩერიზაცია	8,363	7,600
კომპენსაცია მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურისგან შესყიდვებზე	510	–
სულ შესყიდული ელექტროენერგია	**41,935**	**34,492**

9. შესყიდული ელექტროენერგია (გაგრძელება)

კომპანია ელექტოენერგიის შესყიდვებს აწარმოებს მხოლოდ ელექტროენერგიის დანაკარგების ნაწილში, ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორისგან.

სემეკ-ის 2024 წლის 28 მარტის #5 დადგენილების საფუძველზე, კომპანია ვალდებულია მიმწოდებელ კომპანიას (საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანია - შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“) გადაუხადოს უკანასკნელის მიერ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი მომხმარებლისგან შეძენილი მიწოდებული ელექტროენერგიის საფასური.

ელექტროენერგიის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები წარმოდგენილია შემდეგნაირად (ამ შენიშვნაში მოცემული ტარიფები წარმოდგენილი არ არის ათას ლარში, ასახავს ტარიფს ელექტროენერგიის 1 კვტ):

კონტრაგენტი	მომსახურების ტიპი	2024	2023
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	გადაცემა და დისპეტჩერიზაცია	2.813	2.664

სემეკ-ის #29 დადგენილების საფუძველზე, ახალი ტარიფები მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე.

10. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა

	2024	2023
ქონების გადასახადი	3,069	2,372
ელექტროენერგიის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი (ა)	597	892
სხვა გადასახადები	974	1,374
სულ, გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	**4,640**	**4,638**

(ა) ელექტროენერგიის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი

სემეკ–ის 2023 წლის 15 ნოემბრის #46 დადგენილებით, 2024 წლის 1 იანვრიდან ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების დონე დადგენილ იქნა 5.96%–ზე (2023წ.: 5.74%).

ფაქტობრივი დანაკარგები წარმოადგენს სხვაობას ნებისმიერ მოცემულ თვეში კომპანიის მიერ ელექტროენერგიის მიღებულ ოდენობასა და კომპანიის მიერ ამ მოცემულ თვეში განაწილებული ელექტროენერგიის ოდენობას შორის. თუ ფაქტობრივი დანაკარგები აღემატება დანაკარგების ნორმატიულ დონეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსი (სსკ) მოითხოვს დამატებითი დანაკარგების აღიარების შეწყვეტას დაბეგვრის მიზნებისთვის. ამგვარად, სსკ–ის თანახმად, ნებისმიერი სხვაობა ფაქტობრივ დანაკარგებსა და ნორმატიულ დანაკარგებს შორის უნდა განიხილებოდეს, როგორც კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი რეალიზაცია და, შესაბამისად, ექვემდებარება დღგ–ით დაბეგვრას.

10. გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა (გაგრძელება)

(ა) ელექტროენერგიის დანაკარგებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი (გაგრძელება)

კომპანიის დანაკარგების საშუალო წლიურმა დონემ 2024 წელს შეადგინა დაახლოებით 6.12% (2023 წ.: 5.82%), უფრო მეტი ვიდრე დადგენილი ნორმატიული დონე. რამაც გამოიწვია დღგ–ზე დამატებითი ვალდებულებების დაკისრება, რომლებიც კომპანიამ ვერ ამოიღო თავისი კლიენტებისგან და, შესაბამისად, ხარჯები გათვალისწინებული იქნა უშუალოდ სხვა ერთობლივი შემოსავალის ანგარიშგებაში.

11. შექმნილი და ამობრუნებული რეზერვები, წმინდა

2024 და 2023 წლებში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების და რევერსირებული და ფორმირებული ანარიცხების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ა)	რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება (ა)	სხვა დებიტორული დავალიანება (ა)	გაცემული ავანსები	სასამართლო სარჩელები (ბ)	სულ
2023 წლის 1 იანვარი	**39,163**	**99**	**939**	**47**	**2,077**	**42,325**
დამატებითი ანარიცხების შექმნა/(რევერსირება) პერიოდისთვის	962	(36)	188	72	125	**1,311**
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება	–	–	–	–	(4,991)	**(4,991)**
პერიოდის განმავლობაში გამოყენებულია	(490)	–	–	–	(106)	**(596)**
ჩამოწერა	(31,588)					**(31,588)**
რეკლასიფიცირებული სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებიდან	–	–	–	–	25,829	**25,829**
2023 წლის 31 დეკემბერი	**8,047**	**63**	**1,127**	**119**	**22,934**	**32,290**
დამატებითი ანარიცხების შექმნა/(რევერსირება) პერიოდისთვის	643	(4)	249	43	99	**1,030**
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება	–	–	–	–	2,213	**2,213**
პერიოდის განმავლობაში გამოყენებულია	–	–	(24)	–	(1,815)	**(1,839)**
ჩამოწერა	(1,695)					**(1,695)**
სხვა ცვლილებები	124					**124**
რეკლასიფიცირებული სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებიდან	–	–	–	–	474	**474**
2024 წლის 31 დეკემბერი	**7,119**	**59**	**1,352**	**162**	**23,905**	**32,597**

11. შექმნილი და ამობრუნებული რეზერვები, წმინდა (გაგრძელება)

(ა) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

დებიტორულ დავალიანებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ ობიექტური ნიშნების არსებობისას, რომლებიც მიუთითებს კლიენტის უუნარობაზე შეასრულოს თავისი საგადახდო ვალდებულებები. უმეტეს შემთხვევებში ასეთი ნიშანია კლიენტის ვადაგასული დებიტორული დავალიანება (შენიშვნა 18).

2024 წელს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით ჩამოწერილ იქნა ფასს (IFRS) 15-ს მოქმედების ფარგლებს გარეთ არსებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება 1,695 ლარის ოდენობით (2023წ.: 31,588 ლარი), რამაც გამოიწვია ანარიცხების შესაბამისი აღდგენა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

(ბ) რეზერვი იურიდიული სარჩელებისთვის

კომპანია აფასებს უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას როგორც არსებულ, ასევე წარმოებაში მიღებულ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით, სადაც კომპანია გამოდის მოსარჩელე მხარედ. თუ კომპანიის აზრით უარყოფითი გადაწყვეტილების გამოტანის რეალური რისკი მოსალოდნელია, იგი ახორციელებს შესაბამისი რეზერვის ფორმირებას. ყველა სხვა მნიშვნელოვანი ცნობილი საქმე განხილულია პირობითი ვალდებულებების კატეგორიაში, 29–ე შენიშვნაში.

სასამართლო სარჩელების რეზერვი შეეხება სასამართლო დავებს კომპანიის წინააღმდეგ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შრომის სამართლის, შრომის უნარის დაკარგვასთან დაკავშირებული კომპენსაციები, აქტივების გამოყენების და სხვა საკითხებთან დაკავშირებული დავები.

სასამართლო სარჩელების მნიშვნელოვანი ნაწილი განეკუთვნება მსხვილი კონტრაგენტების მხრიდან სასამართლო სარჩელებს, რომლებმაც 2023 წელს კომპანიას უჩივლეს ვადაგადაცილებული სავაჭრო კრედიტორული დავალიანების შედეგად ჯარიმებისა და საურავების გადაუხდელობის გამო. კომპანია არ ეთანხმება სრულად ჯარიმებისა და საურავების გასაჩივრებულ ოდენობებს, კერძოდ გასაჩივრებული ჯარიმების დაუსაბუთებელ პროცენტს, და მაშასადამე გაასაჩივრა არსებული სარჩელები. სასამართლო საქმეების განხილვა საჭიროებს დროს, რადგან ისინი განიხილება რამდენიმე ინსტანციაში და, მაშასადამე, ამ სასამართლო საქმეებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება მოსალოდნელია, სულ მცირე, 2026 წლის მარტამდე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პერიოდის ბოლოსთვის საერთო ნაშთიდან, 22,448 ლარი განეკუთვნება აღნიშნულ რეზერვებს.

12. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	6,862	5,064
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	4,783	3,486
დაზღვევა (ა)	2,804	2,788
ოფისის იჯარა და ტექნიკური მომსახურება	1,818	1,783
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლასთან დაკავშირებული ზარალი	1,232	791
სამივლინებო და წარმომადგენლობითი ხარჯები	1,073	920
მარაგების ჩამოწერა	954	612
ტრანსპორტირების ხარჯები	916	918
პროფესიული მომსახურება	821	718
საწევრო შენატანები (ბ)	816	795
ზარალი მარაგებზე, რომელიც ასახულია რეალიზაციის წმინდა ღირებულებით (შენიშვნა 19)	755	56
ინვესტიციების ექსპერტიზის ხარჯები	670	560
ხარჯები მიწის აზომვის მომსახურებაზე	521	700
ქველმოქმედება და სოციალური ხარჯები	306	524
საკანცელარიო საქონელი	190	219
რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების საწყისი აღიარების შედეგად მიღებული ზარალი (შენიშვნა 18)	112	148
რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების საწყისი აღიარების შედეგად მიღებული ზარალი (შენიშვნა 18)	107	3,090
სხვა	2,099	3,199
სულ, სხვა საოპერაციო ხარჯები	**26,839**	**26,371**

(ა) 2024 წელს კომპანიის ქონება, მობილური ლაბორატორიების გარდა, დაზღვეულ იქნა ავარიებისა და სტიქიური უბედურებისგან, 680,104 აშშ დოლარის ოდენობის თანხაზე. 2024 წელს მობილური ლაბორატორიები დაზღვეულ იქნა 12,441 ლარის ოდენობის თანხაზე.

(ბ) საწევრო შენატანი მოიცავს განაწილების ლიცენზიის მოსაკრებლის საფასურს სემეკ–ისთვის და „ესკო“–ს საკომისიო მოსაკრებელს.

13. ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

	2024	2023
ფინანსური შემოსავლები		
საპროცენტო შემოსავლები დეპოზიტების მიხედვით	701	668
საპროცენტო შემოსავლები გრძელვადიანი რეზერვებისა და ვალდებულებების დისკონტირების შედეგად	-	4,991
სულ, ფინანსური შემოსავლები	**701**	**5,659**
ფინანსური ხარჯები		
საპროცენტო ხარჯები	4,015	6,259
ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება (a)	2,283	72
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებაზე (შენიშვნა 16)	354	238
სულ, ფინანსური ხარჯები	**6,652**	**6,569**

(ა) ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება დაკავშირებულია სასამართლო საქმეებზე გრძელვადიანი რეზერვების დისკონტირებასთან. 2024 წელს, ფულადი სახსრების გადინების შეფასება შეიცვალა 2025 წლის სექტემბრიდან 2026 წლის მარტზე, რამაც გამოიწვია ანარიცხების დროითი შეფასების ცვლილება.

14. მოგების გადასახადი

საგადასახადო კოდექსში (შენიშვნა 4) შეტანილი ცვლილებების ძალაში შესვლის შესაბამისად, კომპანიამ, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, განახორციელა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების სრული სტორნირება ბასს (IAS) 12 *„მოგების გადასახადის“* მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც გადავადებული გადასახადი განისაზღვრება 0%–იანი დაბეგვრის განაკვეთით გაუნაწილებელი მოგებიდან და ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

2024 წელს კომპანიამ აღიარა გამოცხადებულ დივიდენდებზე მოგების გადასახადის ხარჯი, 3,171 (2023წ.: ნული) ლარის ოდენობით, მოგებაში ან ზარალში.

15. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანები და მოწყობილობები	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	დმშ* და სათადარიგო ნაწილები	სულ
ღირებულება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	**11,418**	**37,135**	**465,580**	**25,000**	**11,440**	**28,109**	**578,682**
შემოსვლები	332	340	2,044	–	–	62,009	**64,725**
შიდა გადაცემები	60	675	47,664	1,050	437	(49,886)	**–**
ერთადერთ სუბიექტზე გადაცემა	–	–	–	–	–	(8,270)	**(8,270)**
მარაგებში გადაცემა	–	–	(1,945)	(423)	–	–	**(2,368)**
გასვლები და ჩამოწერა	(69)	(89)	(984)	(417)	(11)	–	**(1,570)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**11,741**	**38,061**	**512,359**	**25,210**	**11,866**	**31,962**	**631,199**
შემოსვლები	163	326	726	–	–	166,009	**167,224**
შიდა გადაცემები	701	2,075	112,032	5,314	13,401	(133,523)	**–**
ერთადერთ სუბიექტზე გადაცემა	–	–	–	–	–	(5,088)	**(5,088)**
მარაგებში გადაცემა	–	–	(3,476)	(1,374)	–	–	**(4,850)**
გასვლები და ჩამოწერა	(37)	(56)	(1,702)	(254)	(257)	–	**(2,306)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**12,568**	**40,406**	**619,939**	**28,896**	**25,010**	**59,360**	**786,179**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრისთვის	**3,609**	**17,970**	**165,936**	**20,135**	**9,209**	**–**	**216,859**
დარიცხულია წლის განმავლობაში	–	617	15,551	1,400	504	–	**18,072**
მარაგებში გადაცემა	–	–	(650)	(398)	–	–	**(1,048)**
გასვლები და ჩამოწერა	–	(50)	(341)	(370)	(8)	–	**(769)**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,609**	**18,537**	**180,496**	**20,767**	**9,705**	**–**	**233,114**
დარიცხულია წლის განმავლობაში	–	671	17,525	1,558	489	–	**20,243**
მარაგებში გადაცემა	–	–	(1,148)	(1,297)	–	–	**(2,445)**
გასვლები და ჩამოწერა	–	(9)	(627)	(225)	(250)	–	**(1,111)**
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	**3,609**	**19,199**	**196,246**	**20,803**	**9,944**	**–**	**249,801**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**8,132**	**19,524**	**331,863**	**4,443**	**2,161**	**31,962**	**398,085**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**8,959**	**21,207**	**423,693**	**8,093**	**15,066**	**59,360**	**536,378**

* *დმშ – დაუმთავრებელი მშენებლობა.*

15. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელი მშენებლობა ასახავს იმ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, რომლებიც ჯერ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, აგრეთვე სამშენებლო კომპანიებისთვის გადაცემულ სათადარიგო ნაწილებსა და საავანსო გადახდებს. სათადარიგო ნაწილები შედის მუხლებში, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ძირითადი საშუალებების კაპიტალური რემონტის ან შეცვლისთვის, მაგალითად, სატრანსფორმატორო ქვესადგურების ნაწილები და კაბელები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირებულია ძირითად საშუალებებში, მაგრამ არ ერიცხება ამორტიზაცია მათ აღნიშნულ აქტივებში გაერთიანებამდე და ამორტიზაციის დარიცხვა განხორციელდება ამ აქტივის დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით.

16. აქტივების გამოყენების უფლება

	მიწის გამოყენების უფლება	შენობების გამოყენების უფლება	მანქანების და მოწყობილობების გამოყენების უფლება	სულ
ღირებულება				
ნაშთი 2023 წ 1 იანვრისთვის	**148**	**5,141**	**159**	**5,448**
შემოსვლები	446	1,669	–	**2,115**
გასვლები	–	(460)	–	**(460)**
ნაშთი 2023 წ 31 დეკემბრისთვის	**594**	**6,350**	**159**	**7,103**
შემოსვლები	138	186	–	**324**
ნაშთი 2024 წ 31 დეკემბრისთვის	**732**	**6,536**	**159**	**7,427**
დაგროვილი ცვეთა				
ნაშთი 2023 წ 1 იანვრისთვის	**82**	**3,925**	**69**	**4,076**
დარიცხულია წლის განმავლობაში	45	665	10	**720**
გასვლები	–	(306)	–	**(306)**
ნაშთი 2023 წ 31 დეკემბრისთვის	**127**	**4,284**	**79**	**4,490**
დარიცხულია წლის განმავლობაში	121	597	10	**728**
ნაშთი 2024 წ 31 დეკემბრისთვის	**248**	**4,881**	**89**	**5,218**
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	**467**	**2,066**	**80**	**2,613**
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	**484**	**1,655**	**70**	**2,209**

16. აქტივების გამოყენების უფლება (გაგრძელება)

იჯარა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში	2024	2023
აქტივები		
აქტივების გამოყენების უფლება: მიწა	484	467
აქტივების გამოყენების უფლება: შენობა	1,655	2,066
აქტივების გამოყენების უფლება: მანქანები და მოწყობილობები	70	80
სულ	**2,209**	**2,613**
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	1,587	1,872
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულებები	919	888
სულ	**2,506**	**2,760**

იჯარა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	2024	2023
სხვა შემოსავალები		
მოკლევადიანი იჯარის შემოსავალი	1,286	1,220
საოპერაციო ხარჯები		
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	385	391
ცვეთა		
აგუ ცვეთა	(728)	(720)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები		
საპროცენტო ხარჯი იჯარის ვალდებულებაზე	(354)	(238)

17. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
ღირებულება	
2023 წ 1 იანვრის მდგომარეობით	**9,177**
შემოსვლები	453
2023 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	**9,630**
შემოსვლები	871
გასვლები	(383)
2024 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	**10,118**
ამორტიზაცია	
2023 წ 1 იანვრის მდგომარეობით	**8,261**
დარიცხულია წლის განმავლობაში	353
2023 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	**8,614**
დარიცხულია წლის განმავლობაში	366
გასვლები	(234)
2024 წ 31 დეკემბრის მდგომარეობით	**8,746**
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,016**
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,372**

17. არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა შეზღუდულია და შეადგენს 5–15 წელს. სრულად ამორტიზებული, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი არამატერიალური აქტივების მთლიანი საბალანსო ღირებულება შეადგენს 6,814 ლარს (2023 წ.: 6,863 ლარს).

18. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2024	2023
რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, გრძელვადიანი ნაწილი		
რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	275	276
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი (შენიშვნა 11)	(59)	(63)
სულ გრძელვადიანი რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება	**216**	**213**
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, მოკლევადიანი ნაწილი		
საყოფაცხოვრებო სექტორი	2,555	4,396
კომერციული და სამრეწველო სექტორი	5,874	4,552
სახელმწიფო სექტორი	118	417
რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება, მოკლევადიანი ნაწილი (ა)	187	230
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი (შენიშვნა 11)	(7,119)	(8,047)
სულ, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, მოკლევადიანი ნაწილი	**1,615**	**1,548**
სხვა დებიტორული დავალიანება არადაკავშირებული მხარეებისგან (ბ)	3,285	3,312
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი (შენიშვნა 11)	(1,352)	(1,127)
სხვა დებიტორული დავალიანება საერთო მმართველობის ქვეშ არსებული ორგანიზაციისგან (გ)	27,542	24,951
სულ, სხვა დებიტორული დავალიანება მოკლევადიანი ნაწილი	**29,475**	**27,136**
სულ, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, მოკლევადიანი ნაწილი	**31,090**	**28,684**
სულ, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	**31,306**	**28,897**

18. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

(ა) რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება

ხელმძღვანელობის აზრით, სავაჭრო დებიტორული დავალიანების რესტრუქტურიზაციის შედეგად საგრძნობლად იცვლება არსებული ფინანსური აქტივის პირობები და იგი აღირიცხება, როგორც თავდაპირველი სავაჭრო დებიტორული დავალიანების დაფარვა და ახალი რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების აღიარება.

(ბ) სხვა დებიტორული დავალიანება არადაკავშირებული მხარეებისგან

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არადაკავშირებული მხარეებისგან სხვა დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგებოდა გამოუყენებელი ძირითადი საშუალებების და სასაქონლო–მატერიალური მარაგების ახალი აბონენტების მიერთების მომსახურების განმახორციელებელი კონტრაქტორისთვის რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანებისგან.

(გ) საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანიის დებიტორული დავალიანება

საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანიის – შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის“ დებიტორული დავალიანების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- 27,144 ლარი მისაღებია განაწილების მომსახურების გაწევის შედეგად (2023 წ.: 24,699 ლარი)
- 398 ლარი მისაღებია სააბონენტო სახსრებიდან, რომლებიც გადაეცა შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელ კომპანიას“ შემდეგი მომსახურების სანაცვლოდ: ქსელზე მიერთება; ელექტროენერგიით მომარაგების აღდგენის საფასური; დანახარჯები მრიცხველების შეკეთებაზე; ქვითრების დაგზავნა და ა.შ. (2023წ.: 252 ლარი)

(დ) სავაჭრო დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდგომ მოყვანილია სავაჭრო დებიტორული დავალიანების ანალიზი წარმოქმნის ვადების მიხედვით:

			ვადაგადაცილებული დღეები				
2024 წლის 31 დეკემბერი	**სულ**	**მიმდინარე**	**<60 დღე**	**60–120 დღე**	**120–180 დღე**	**180–360 დღე**	**>360 დღე**
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტში	**39,836**	29,635	1,141	237	158	211	8,454
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	**8,530**	92	67	206	111	46	8,008

			ვადაგადაცილებული დღეები				
2023 წლის 31 დეკემბერი	**სულ**	**მიმდინარე**	**<60 დღე**	**60–120 დღე**	**120–180 დღე**	**180–360 დღე**	**>360 დღე**
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტში	**38,134**	27,898	565	228	272	983	8,188
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	**9,237**	78	190	225	266	976	7,502

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვში ცვლილებები იხილეთ მე–11 შენიშვნაში.

19. სასაქონლო–მატერიალური მარაგები

	2024	2023
ნედლეული და მასალები	4,422	4,568
სხვა სასაქონლო–მატერიალური მარაგები	3,028	2,369
სულ, სასაქონლო–მატერიალური მარაგები	**7,450**	**6,937**

2024 წლის განმავლობაში აღიარებული იქნა ხარჯებში 755 ლარი სასაქონლო–მატერიალურ მარაგებზე, რომლებიც აღრიცხულია წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით (2023 წ.: 56 ლარი).

20. გადახდილი ავანსები

	2024	2023
წინასწარი გადახდა მენარდისათვის (ა)	19,716	10,737
მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	880	865
სხვა ავანსები	1,262	646
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი (შენიშვნა 11)	(162)	(119)
სულ, მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	**21,696**	**12,129**
სულ, გადახდილი ავანსები	1,399	1,356
სულ, მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	**23,095**	**13,485**

(ა) წინასწარი გადახდა მენარდისათვის

წინასწარი გადახდები წარმოებდა ერთი მენარდის მიმართ მის მიერ კომპანიისათვის გაწეული, ახალი მომხმარებლების მიერთების მომსახურების სანაცვლოდ.

21. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2024	2023
მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაბრები (ა)	798	13,233
კორპორაციული ბარათები	396	192
სულ ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	**1,194**	**13,425**

(ა) მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაბრები

მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე ანაბრები განთავსებულია საქართველოს ბანკებში, მათი დაფარვის სახელშეკრულებო ვადა შეადგენს 1–დან 3 თვემდე. 2024 წელს მოთხოვნამდე ანაბრების საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა წლიური 2.0%–დან 8.0%–მდე (2023 წ.: 2.0%–დან 8.0%–მდე).

(ბ) ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია მოიცავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისთვის“ და მერიის დასუფთავების სამსახურის სახელით მიღებულ მოსაკრებლებს (შენიშვნა 8).

22. კაპიტალი

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოსაშვებად ნებადართული და გამოშვებული აქციების რაოდენობა შეადგენდა 112,429,418 ცალს ნომინალით 0.001 ლარი თითოეული. თითოეული აქცია მფლობელებს ანიჭებს უფლებებს, მათ შორის ერთ აქციას შეესაბამება ერთ ხმა.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სააქციო სტრუქტურა შემდეგი იყო:

	2024	2023
Silk Road Holdings B.V.	75,11%	75,11%
შპს ბესთ ენერჯი გრუპ	24,53%	24,53%
ფიზიკური პირები	0,36%	0,36%
სულ	**100,00%**	**100,00%**

2024 წლის 12 მარტს კომპანიის აქციონერებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოეცხადებინათ დივიდენდები 18 000 ლარის ოდენობით (2023წ.: ნული). 2024 წელს კომპანიამ გადაიხადა 17,954 ლარის ოდენობის (2023წ.: ნული) დივიდენდები.

შემოსავალი აქციაზე

საბაზო მოგება ერთ აქციაზე გამოითვლება მოცემული წლისათვის კომპანიის ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა წმინდა მოგების შეფარდებით წლის განმავლობაში აქციონერთა მფლობელობაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილთან. კომპანიის გაზავებული მოგება თითოეულ აქციაზე ტოლია საბაზო მოგებისა თითოეულ აქციაზე, ვინაიდან არ არსებობს პოტენციურად გაზავებული ჩვეულებრივი აქცია.

ქვემოთ მოცემულია მოგების და აქციების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ერთ აქციაზე საბაზო და გაზავებული მოგების გამოსათვლელად:

	2024	2023
ჩვეულებრივი აქციების მფლობელების წმინდა მოგება	93,192	105,108
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი ერთ აქციაზე საბაზო მოგების გამოსათვლელად	**112,429,418**	**112,429,418**
საბაზო და გაზავებული მოგება ერთ აქციაზე	**0.00083**	**0.00093**

სხვა რეზერვები

სხვა რეზერვები დაკავშირებულია დადგენილ შენატანებიან პროგრამასთან მიმართებაში აღიარებულ აქტუარულ მოგებასა და ზარალთან (შენიშვნა 24).

23. პროცენტიანი სესხები და თამასუქები

	2024	2023
გრძელვადიანი		
საქართველოს კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები (ა)	27,500	5,000
სულ გრძელვადიანი სესხები და თამასუქები	**27,500**	**5,000**
მოკლევადიანი		
საქართველოს კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხები მიმდინარე ნაწილი (ა)	166	8
სესხები საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანიებისგან, მიმდინარე ნაწილი (ბ)	19,000	19,000
სულ მიმდინარე სესხები და თამასუქები	**19,166**	**19,008**
სულ სესხები და თამასუქები	**46,666**	**24,008**

(ა) სესხები საქართველოს კომერციული ბანკებისგან

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ერთი სესხი ქართული კომერციული ბანკისგან, 5,008 ლარის ოდენობის დაუფარავი თანხით, 2025 წლის იანვარში დაფარვის ვადით, რომელიც სრულად იქნა დაფარული ვადამდე, 2024 წლის ბოლოს. ამ სესხზე საპროცენტო ხარჯებმა 2024 წელს შეადგინა 513 ლარი (2023წ.: 2,824 ლარი).

2024 წლის 10 სექტემბერს კომპანიამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას იმავე ქართულ კომერციულ ბანკთან 40,000 ლარის ოდენობის სესხის აღების შესახებ. სესხის ძირითადი თანხა დაფარულ უნდა იქნას ოთხ ნაწილად, 10,000 ლარის ოდენობით 2026 წლის იანვარსა და სექტემბერში და 2027 წლის იანვარსა და სექტემბერში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ, აღნიშნული სესხიდან, გამოიყენა 27,500 ლარის ოდენობის თანხა. ამ სესხის საპროცენტო ხარჯებმა 2024 წელს შეადგინა 470 ლარი (2023წ.: ნული)

ფინანსური ვალდებულებების შესრულება

სასესხო ხელშეკრულებები კომპანიას აკისრებს გარკვეულ ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს.

- ვალის მომსახურების კოეფიციენტი (DSCR) მინიმუმ 1.2. DSCR-ს გამოთვლა წარმოებს შემდეგი სახით: ოპერაციული ფულადი სახსრები პლუს საბანკო ანგარიშზე საპროცენტო შემოსავალი ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში გაყოფილი სესხებზე ძირითად გადახდებზე პლუს საპროცენტო ხარჯები მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, DSCR-მა შეადგინა 5.52 (2023წ.: 5.02).
- ფინანსური ვალის კოეფიციენტი EBITDA-სთან მიმართ - არაუმეტეს 3. ვალის კოეფიციენტი EBITDA-სთან მიმართ გამოითვლება როგორც ვალისა და სესხების საერთო ოდენობა გაყოფილი EBITDA-ზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვალის კოეფიციენტი EBITDA-სთან მიმართ შეადგენდა 0.39 (2023წ.: 0.2).

ორივე ვალდებულების შესახებ შემოწმება წარმოებს ყოველკვარტალურად. კომპანიის მიმართ ადგილი არა აქვს რაიმე ნიშნებს, რომ მას წარმოექმნება სირთულეები ამ ვალდებულებების შესრულების კუთხით.

23. პროცენტიანი სესხები და თამასუქები (გაგრძელება)

(ბ) კრედიტები საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანიებისგან

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა 19,000 ლარის ოდენობის სესხი საერთო კონტროლის ქვეშ არსებული კომპანიისგან - შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“, დაფარვის ვადით 2024 წელს. 2024 წლის 2 დეკემბერს კომპანიამ ხელი მოაწერა შესწორების შესახებ შეთანხმებას სესხის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებდა სესხის დაფარვის ვადის გაგრძელებას 2025 წლის 31 დეკემბრამდე. ამ სესხის საპროცენტო ხარჯებმა 2024 წელს შეადგინა 2,629 ლარი (2023წ.: 180 ლარი).

(გ) გრძელვადიანი თამასუქები

კომპანიას აქვს გრძელვადიანი უპროცენტო გადასახდელი თამასუქები ლარში. ეს თამასუქები წარმოიშვა 1998 წელს კომპანიის თავდაპირველი პრივატიზაციის დროს კომპანიის მიერ ყოფილი მიმწოდებლების მიმართ არსებულ წინა სავალო ვალდებულებების მოთხოვნაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამ გადასახდელი თამასუქების საბალანსო ღირებულება შეფასებული იყო 15.4% დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით გადახდის დადგენილი თარიღის დადგომამდე. ითვლება, რომ მოცემული დისკონტირების განაკვეთი მიახლოებულია სესხის ეკვივალენტურ მომგებიანობასთან საქართველოს ბაზარზე მისი წარმოქმნის მომენტში და მას შემდეგ არ შეცვლილა.

ვინაიდან, თამასუქების უმეტესობის შემთხვევაში, იმის გამო, რომ მათი დაფარვის ვადა 2024 წლის 31 დეკემბრიდან მინიმუმ 74 წლის შემდეგ იწყება, ამორტიზებული ღირებულება ნულს შეადგენს (2023 წ.: ნული).

გადასახდელია შემდეგი თამასუქები:

	დაფარვის ვადა	ნომინალური ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ნომინალური ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ფინანსთა სამინისტრო	2098	132,000	–	132,000	–
ორთაჭალა	2098	388	–	388	–
ზაჰესი	2098	119	–	119	–
საცხენისი	2098	73	–	73	–
სს თელასი	2098	50	–	50	–
ორბი	2098	9	–	9	–
სულ გრძელვადიანი თამასუქები		**132,639**	**–**	**132,639**	**–**

23. პროცენტიანი სესხები და თამასუქები (გაგრძელება)

(დ) ცვლილებები ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებში

ქვემოთ მოცემულია პროცენტიანი სესხების მოძრაობა:

	2024	2023
1 იანვარი	**24,008**	**59,048**
საპროცენტო ხარჯი	3,815	6,096
გადახდილი პროცენტი	(3,657)	(6,243)
შემოდინებები სესხებზე	27,500	19,000
გადახდილი სესხი	(5,000)	(53,893)
31 დეკემბერი	**46,666**	**24,008**

„კომპანია“ ახდენს გადახდილი პროცენტების კლასიფიცირებას ფინანსური საქმიანობიდან ფულადი ნაკადების სახით.

24. შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები

2014 წელს კომპანიამ დანერგა დადგენილ შენატანებიანი შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს პროგრამა. კომპანია თანამშრომლებისათვის უზრუნველყოფს გარკვეულ შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებს. გასამრჯელოების ოდენობა დამოკიდებულია კომპანიაში მუშაობის სტაჟზე. აღნიშნული გეგმა არ არის ფონდით უზრუნველყოფილი.

შრომითი საქმიანობის დასრულების შემდგომი პერიოდის გასამრჯელოს პროგრამა ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკს და ცვლილებებს პენსიონერთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაში.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია წმინდა გასამრჯელოს ხარჯის კომპონენტები, რომლებიც ასახულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ასევე თანხები, რომლებიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

	2024	2023
წმინდა ხარჯები საპენსიო პროგრამის მიხედვით		
მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება	69	60
გასამრჯელოს ვალდებულებაზე დარიცხული წმინდა პროცენტები	200	163
წმინდა ხარჯები საპენსიო პროგრამის მიხედვით	**269**	**223**

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დადგენილ შენატანებიანი საპენსიო პროგრამის მიხედვით კომპანიის წმინდა ვალდებულება შეადგენს 2,501 ლარს (2023 წ.: 2,093 ლარი) და მოიცავს საპენსიო პროგრამის მიხედვით ვალდებულებას, რადგან კომპანიას არ აქვს საპენსიო გეგმის აქტივები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოსალოდნელი შენატანები საპენსიო პროგრამაში შემდგომი წლიური ანგარიშგების პერიოდისათვის შეადგენს 206 ლარს (2023 წ.: 176 ლარი).

24. შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები (გაგრძელება)

მოძრაობა დადგენილ შენატანებიანი პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებაში	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	**2,093**	**1,801**
მიმდინარე პერიოდის მომსახურების ღირებულება	69	60
ხარჯები პროცენტების გადახდაზე	200	163
აქტუარული (შემოსავალი)/ზარალი, დემოგრაფიულ დაშვებებში ცვლილებებიდან გამომდინარე	172	332
აქტუარული ცვლილებები ფინანსური დაშვებების ცვლილებიდან გამომდინარე	52	(89)
კორექტირება საპენსიო გეგმის ვალდებულებებთან დაკავშირებული გამოცდილების საფუძველზე	(25)	(119)
გადახდილი ანაზღაურება	(60)	(55)
31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,501**	**2,093**
მიმდინარე	206	176
გრძელვადიანი	2,295	1,917
სულ შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები	**2,501**	**2,093**

ქვემოთ მოცემულია ძირითადი დაშვებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის დადგენილ შენატანებიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების განსაზღვრისას:

	2024	2023
დისკონტირების განაკვეთი	9.59%	9.84%
ზრდა ფინანსური დახმარების გადახდებში	0%	0%

დადგენილ შენატანებიანი პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულების საშუალო ხანგრძლივობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის შეადგენს 10.09 წელს.

მნიშვნელოვანი დაშვებისათვის სენსიტიურობის რაოდენობრივი ანალიზი, 2024 და 2023 წ.წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოცემულია ქვემოთ:

ცვლილება დაშვებაში/ზემოქმედებაში დადგენილ შენატანიან პროგრამასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:	2024	2023
დისკონტირების განაკვეთი (+1% წლიური)	193	157
დისკონტირების განაკვეთი (–1% წლიური)	(223)	(181)
ფინანსური დახმარების ზრდა (+1% წლიური)	(243)	(198)
ფინანსური დახმარების შემცირება (–1% წლიური)	212	173
კომპანიიდან თანამშრომლების გადინების წლიური ნორმა (+1% ყველა ასაკისათვის)	89	77
კომპანიიდან თანამშრომლების გადინების წლიური ნორმა (–1% ყველა ასაკისათვის)	(100)	(87)

სენსიტიურობის ზემოაღნიშნული ანალიზი განისაზღვრა მეთოდით, რომელიც ახდენს დადგენილ შენატანიანი პროგრამის ვალდებულებაზე ზეგავლენის ექსტრაპოლაციას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ძირითადი დაშვებების გონივრული ცვლილების შედეგად.

25. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2024	2023წ.
კრედიტორული დავალიანება ელექტროენერგიის დანაკარგებზე შესყიდვებზე (ა)	4,925	3,625
დავალიანება ძირითადი საშუალებების მიმწოდებლების მიმართ	38,295	4,323
დავალიანება ელექტროენერგიის მიმწოდებლების მიმართ – 1 წელზე მეტი ვადაგადაცილებით	-	962
სხვა დავალიანება (ბ)	14,155	15,456
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	**57,375**	**24,366**

(ა) დავალიანება ელექტროენერგიის მიმწოდებლების მიმართ

2021 წლის 1 ივლისიდან კომპანია ელექტროენერგიის დანაკარგებზე შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისგან.

(ბ) სხვა კრედიტორული დავალიანება

2010 წლის 2 თებერვალს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომპანიას დაეკისრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 7,431 ლარის გადახდა. კომპანია დაეთანხმა გამოტანილ გადაწყვეტილებას. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სამინისტრო და კომპანია შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო უარს იტყვის ამ ვალდებულებაზე, კომპანიის მიერ ელექტრული ქსელის რეაბილიტაციისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში 9,618 აბონენტისათვის აღრიცხვის ინდივიდუალური კვანძების მოწყობაში ინვესტირების სანაცვლოდ 2011 წლის მაისის ბოლომდე.

კომპანიამ შეასრულა ვალდებულება და წარუდგინა საჭირო დოკუმენტაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თუმცა პასუხი არ მიუღია. შესაბამისად, ეს ვალდებულება შეყვანილია სხვა კრედიტორული დავალიანების კატეგორიაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

26. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა

წმინდა საგადასახადო ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
გადასახდელი დღგ	7,153	4,569
სულ საგადასახადო აქტივები	**7,153**	**4,569**
დავალიანება დღგ–ზე (ა)	3,132	6,012
გადასახადი ფიზიკური პირის შემოსავლებზე	689	591
ქონების გადასახადი	683	212
სხვა საგადასახადო დავალიანებები (ბ)	582	1,068
სულ დავალიანება გადასახადებზე	**5,086**	**7,883**
სულ საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) წმინდა	**2,067**	**(3,314)**

26. საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა (გაგრძელება)

(ა) დავალიანება დღგ–ზე

2024 წელს კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩამოეწერა სავაჭრო დებიტორული დავალიანების ნაწილი აბონენტთა ანგარიშების საერთო ნაშთებზე, რომლებიც წარმოიქმნა ელექტროენერგიის მიწოდებასთან და ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენასთან დაკავშირებით, 1999 წლიდან 2015 წლამდე. აღნიშნული ჩამოწერილი დებიტორული დავალიანებიდან, 2005 წლამდე პერიოდების შესაბამისი თანხები დაკავშირებული იყო დღგ-ის გადავადებულ ვალდებულებასთან. 2024 წლის ბოლოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ ჩამოწერა დღგ-ის შესაბამისი გადავადებული ვალდებულება 582 ლარის ოდენობით. დღგ-ის გადავადებული ვალდებულების დარჩენილი ნაწილი 2024 წლის 31 დეკემბრის ბოლოსთვის შეადგენს 5 ლარს (2023წ.: 587 ლარი).

(ბ) სხვა საგადასახადო დავალიანებები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სხვა საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 888 ლარს, რაც წარმოადგენდა საგადასახადო სანქციას განაწილების მომსახურებასთან დაკავშირებით დღგ-ის გამოყენებადობის შესახებ ვადაგადაცილებული დაზუსტებისთვის. 2024 წლის ბოლოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ვალდებულება დაფარულ იქნა დღგ-ზე ნამატის ხარჯზე.

27. ფინანსური რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში ექვემდებარება ფინანსურ რისკებს (საკრედიტო, საბაზრო და სავალუტო რისკებს, ლიკვიდურობის რისკი და საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკს), საოპერაციო და იურიდიული რისკებს. „კომპანია“ განაგრძობს თავისი სამსახურების სრულყოფას საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვაში. „კომპანიის“ მიერ დღეისათვის მიღებული ზომები, მათ შორის „საბოლოო მშობელი კომპანიის“ მიერ განხორციელებული ზედამხედველობა, აგრეთვე მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მიღებული ზომები მიზნად ისახავს შიდა წესებისა და პროცედურების შესაბამისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, როგორც ამჟამად, ისე მომავალში.

(ა) საკრედიტო რისკი

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, რესტრუქტურიზებული დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვის გამოკლებით, და მთლიანი ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წარმოადგენს მაქსიმალურ თანხას, რომელიც ექვემდებარება საკრედიტო რისკს. მიუხედავად იმისა, რომ დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „კომპანიას“ არ ემუქრება მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც გადააჭარბებს დადგენილ რეზერვებს.

27. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი მოვალე (შენიშვნა 18) არის საერთო მმართველობის ქვეშ მყოფი კომპანია – შპს “თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია”. დაკავშირებული მხარის დებიტორული დავალიანების ძირითადი ნაწილი არ არის ვადაგადაცილებული და კომპანიას ასევე აქვს 19,000 ლარის (2023 წ.: 19,000 ლარი) ოდენობის (შენიშვნა 23) მოკლევადიანი კრედიტი და კრედიტორული დავალიანება 108 ლარის (2023 წ.: 101 ლარი) ოდენობით საერთო მმართველობის ქვეშ არსებული კომპანიის – შპს “თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის” მიმართ. მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე, და არ ქმნის რეზერვს დაკავშირებულ მხარეთა დებიტორულ დავალიანებაზე, რადგან ეს თანხები იქნება დაფარული სრულად და საკრედიტო რისკი დაყვანილი მინიმუმამდე.
ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია ფინანსურ ინსტიტუტებში, რომლებსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდა დეფოლტის მინიმალური რისკი.

(ბ) საბაზრო რისკი

„კომპანიაზე“ ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი, ძირითადად შეეხება „კომპანიისათვის“ დადგენილ ტარიფებს. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ამ ტარიფების გარკვეული დონეების დადგენაში, ტარიფის დონის დადგენასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება ხდება მისი მონაწილეობის გარეშე.

გარდა ამისა, „კომპანიას“ აქვს საპროცენტო განაკვეთების და სავალუტო ინსტრუმენტების ღია პოზიცია, რომლებიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და სპეციფიურ რყევებს.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების ცვლილებას, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ლარის გაცვლის კურსის აშშ დოლართან მიმართებაში გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების გავლენა მოგებაზე წლის განმავლობაში, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

	გამყარება	გაუფასურება
2024		
აშშ დოლარი (ცვლილება18.84%–ით)	414	(414)
2023		
აშშ დოლარი (ცვლილება18.84%–ით)	660	(660)

საქართველოში ფინანსური ინსტრუმენტების განვითარებული ბაზრის არარსებობის გამო, ხელმძღვანელობა ვერ ახორციელებს „კომპანიის“ სავალუტო რისკის ჰეჯირებას.

27. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

(ბ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

„კომპანიას“ აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2024	2023
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	677	144
საიჯარო ვალდებულებები	(1,755)	(1,990)
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	(1,463)	(1,654)
ნეტო–პოზიცია 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(2,541)**	**(3,500)**

სხვა ვალუტებში გამოხატული თანხები და შესაბამისი ცვლილებები სავალუტო კურსებში რისკის ანალიზისთვის არ არის აქტუალური.

(i) კონფლიქტი უკრაინაში

უკრაინაში კონფლიქტის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა გამოაცხადა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის, მათ შორის რუსული ბანკების, სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირების მიმართ. კონფლიქტის დაწყების დღიდან მოხდა რუსული რუბლის მნიშვნელოვანი გაუფასურება უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ისევე როგორც რუსეთში ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე და სხვა ბაზრებზე კოტირებადი რუსული კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება. სიტუაცია ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორებია. კონფლიქტი, სავარაუდოდ, უარყოფით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკაზე.

კომპანიის საბოლოო მშობელ კომპანიას აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის არც კომპანიის და არც საბოლოო მშობელი კომპანიის მიმართ არ დაწესებულა სანქციები ევროკავშირის, აშშ–ს ან გაერთიანებული სამეფოს მხრიდან. კომპანია საქართველოში არ იმყოფება სანქციებს ქვეშ. კომპანია არ აწარმოებს სავაჭრო ოპერაციებს საბოლოო მშობელ კომპანიასთან, თუმცა 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა მშობელ კომპანიასთან პროფესიული მომსახურების ოპერაციები 255 ლარის (2023 წ.: 411 ლარი) ოდენობის თანხაზე (30–ე შენიშვნა). 2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და გადაუხადა თავის მშობელ კომპანიას 12,857 ლარის ოდენობის დივიდენდები. გარდა ამისა, კომპანია არ აწარმოებს ოპერაციებს რუსეთში, უკრაინაში, დიდ ბრიტანეთში, აშშ–სა თუ ევროკავშირში და საქმიანობის უმეტეს ნაწილს ახორციელებს საქართველოში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ არ არსებობს კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული მკაფიო და რეალური საფრთხე, თუმცა, ვინაიდან კონფლიქტი ჯერ კიდევ გრძელდება, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს ის გავლენა, რაც ამან შეიძლება მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე, რადგან ადგილი აქვს გაურკვევლობას ზოგადად ეკონომიკაზე ზემოქმედების მოცულობის კუთხით.

27. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი

საპროცენტო განაკვეთთან დაკავშირებული რისკი გამოიხატება „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის უარყოფით ზეგავლენაში, რაც შეიძლება გამოიხატოს მოზიდულ ფინანსურ საშუალებებზე დარიცხული პროცენტების ზრდით ან გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლის შემცირებით.

(დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო ინსტრუმენტების მეშვეობით. „კომპანიას“ მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს. „კომპანიის“ ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ანიჭებს „კომპანიას“ საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც მომავალში აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია „კომპანიის“ ვალდებულებების განაწილება დაფარვამდე დარჩენილი დაფარვის ვადების მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენები თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

უცხოურ ვალუტაში გადახდების გადათვლა წარმოებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებული სპოტ–კურსით.

ქვემოთ წარმოდგენილია არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ანალიზი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფარვის ვადების მიხედვით:

	1 წელზე ნაკლები	1–დან 2 წლამდე	2–დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
პროცენტიანი სესხები	25,197	7,998	24,789	-	**57,984**	46,666
გაცემული გადასახდელი თამასუქები	-	-	-	132,639	**132,639**	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	57,375	-	-	-	**57,375**	57,375
საიჯარო ვალდებულებები	963	671	1,642	79	**3,355**	2,506
სხვა ვალდებულებები	280	95	285	2,026	**2,686**	1,434
სულ მომავალი გადახდები	**83,815**	**8,764**	**26,716**	**134,744**	**254,039**	**107,981**

27. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

(დ) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ანალიზი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფარვის ვადების მიხედვით:

	1 წელზე ნაკლები	1–დან 2 წლამდე	2–დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ	საბალანსო ღირებულება
პროცენტიანი სესხები	22,410	5,013	–	–	**27,423**	24,008
გაცემული გადასახდელი თამასუქები	–	–	–	132,639	**132,639**	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	24,366	–	–	–	**24,366**	24,366
საიჯარო ვალდებულებები	955	839	2,048	168	**4,010**	2,760
სხვა ვალდებულებები	251	95	286	2,076	**2,708**	1,385
სულ მომავალი გადახდები	**47,982**	**5,947**	**2,334**	**134,883**	**191,146**	**52,519**

როგორც ცხრილიდან ჩანს, „კომპანიას“ აქვს მნიშვნელოვანი ოდენობის ვალდებულებები, რომლებიც უნდა დაიფაროს ერთი წლის განმავლობაში დაწყებული 2023 წლის 31 დეკემბრიდან. „კომპანიის“ გეგმების დეტალური განხილვა, თუ როგორ აპირებს ლიკვიდურობის საკითხების გადაწყვეტას, იხილეთ შენიშვნა 3.

(ე) კაპიტალის მართვა

„კომპანიის“ კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა მდგომარეობს საკმარისი კაპიტალის მოცულობის შენარჩუნებაში „კომპანიის“ საოპერაციო და სტრატეგიულ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად.

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიმართულია ღირებულების უფრო ზუსტად განსაზღვრაზე, რომლის მიხედვითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს კარგად გათვითცნობიერებულ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მხარეებს შორის, რომლებსაც ნამდვილად სურთ ასეთი გარიგების დადება. თუმცა, განუსაზღვრელობისა და სუბიექტური შეფასებების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნას განხილული ღირებულების სახით, რომლითაც შესაძლებელია აქტივების დაუყოვნებლივი რეალიზაცია ან ვალდებულებების შესრულება.

28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

„კომპანიის“ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი წარმოდგენილია შემდეგი სახით:

		31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, რესტრუქტურიზებულის ჩათვლით (შენიშვნა 18)	დონე 3	31,306	31,306	28,897	28,897
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (შენიშვნა 21)	დონე 1	1,194	1,194	13,425	13,425
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია	დონე 1	647	647	327	327
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და თამასუქები (შენიშვნა 23)	დონე 3	46,666	46,666	24,008	24,008
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (შენიშვნა 25)	დონე 3	57,375	57,375	24,366	24,366
საიჯარო ვალდებულებები	დონე 3	2,506	2,506	2,760	2,760

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების და სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- პროცენტიანი სესხების და თამასუქების, საიჯარო ვალდებულებებისა და რესტრუქტურიზებული სავაჭრო დებიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

29. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები

(ა) დავები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში „კომპანია“ წარმოადგენს მხარეს სასამართლო პროცესებში. ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, გარდა ქვემოთ წარმოდგენილისა, ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი დავების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“.

	31 დეკემბერი 2024წ.		31 დეკემბერი 2023წ.	
	დავები და სარჩელები, რომლებზეც აღიარებულია ანარიცხები (შენიშვნა 11)	ცნობილი დავები და სარჩელები ანარიცხების გარეშე	დავები და სარჩელები, რომლებზეც აღიარებულია ანარიცხები (შენიშვნა 11)	ცნობილი დავები და სარჩელები ანარიცხების გარეშე
მომხმარებლების საჩივრები და სხვა საჩივრები	23,905	7,626	22,934	8,558

სასამართლო სარჩელებზე გაუთვალისწინებელი, ცნობილი სასამართლო განხილვებისა და სარჩელების საერთო თანხა გაიზარდა იმავე მიზეზით, რაც ვადაგადაცილებული სავაჭრო კრედიტორული დავალიანების შედეგად ჯარიმებსა და საურავებზე, მესამე მხარებთან დაკავშირებული, გასაჩივრებული სარჩელები. ის ნაწილი, რომელსაც კომპანია მიიჩნევს ნამდვილად დაუსაბუთებლად, რომლის მიმართაც მან შეაფასა ფულადი სახსრების გადინების მხოლოდ შესაძლებლობა, არ იქნა გათვალისწინებული.

კომპანია ამჟამად აწარმოებს დავას სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ (ესკო) საბალანსო ელექტროენერგიის დაგარანტირებული სიმძლავრის ღირებულების დროულად გადახდის თაობაზე. კომპანიის შეფასებით, შესაძლოა, მას მოუწიოს 2,9 მილიონი ლარის გადახდა და, მაშასადამე, აღნიშნული თანხა კლასიფიცირებულია როგორც პირობითი ვალდებულება.

(ბ) მიწის საკუთრება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ დებულებებს მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, რომლებზეც და რომელთა ქვეშაც განთავსებულია ელექტროენერგიის გადაცემისათვის განკუთვნილი „კომპანიის“ დანადგარები. კანონის შემდგომი დაზუსტების შედეგად, შესაძლებელია „კომპანიას“ მოუხდეს მიწის გარკვეულ ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან იჯარის გადახდა სხვა მხარეებისათვის ამ მიწის ნაკვეთებით სარგებლობის სანაცვლოდ.

(გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

ამჟამად, საქართველოში გამკაცრებულია გარემოს დაცვის სფეროს კანონმდებლობა. „კომპანია“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების გადაფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „კომპანიას“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

29. სახელშეკრულებო და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(დ) სახელმწიფო სუბსიდიებთან დაკავშირებული ვალდებულებები

„კომპანიასა“ და ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2011 წლის 12 ივლისს „კომპანიამ“ მიიღო 2,500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის სამართლიანი ღირებულება არის 8 ლარი. „კომპანია“ იყო ვალდებული დაებანდებინა არანაკლებ 2,000 ლარისა მაღალი ძაბვის ქვესადგურის ასაშენებლად 2014 წლის 5 თებერვლამდე. თავდაპირველ ხელშეკრულებებში რიგი ცვლილებების შედეგად, „კომპანიის“ ვალდებულება შეიცვალა 3–6კვ ხაზის მშენებლობით ქვესადგური „ბაგებიდან“, 2015 წლის თებერვლის ბოლოსთვის. 2015 წელს „კომპანიამ“ ააშენა მაღალი ძაბვის ზემოაღნიშნული საკაბელო ხაზი. თუმცა, ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღისათვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტიდან არ მოსულა დასტური ვალდებულების შესრულების შესახებ.

25.ბ შენიშვნის შესაბამისად, „კომპანია“ ვალდებულია დაასრულოს ელექტროენერგიის ქსელის რეაბილიტაცია და კომპაქტურად განსახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა – 9,618 აბონენტის გამრიცხველიანება 2011 წლის მაისისთვის. „კომპანიამ“ შეასრულა ვალდებულება და წარუდგინა საჭირო დოკუმენტაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, თუმცა პასუხი არ მიუღია. შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიამ“ არ ჩამოწერა ეს ვალდებულება.

30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) გარიგებები ხელმძღვანელობასთან

ექვსი წევრისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭოს და ექვსი წევრისგან შემდგარი უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავდა ხელფასსა და სხვა დამატებით მოკლევადიან ანაზღაურებას 54 ლარისა და 4,576 ლარის ოდენობით, შესაბამისად (2023 წ: 52 ლარი და 5,473 ლარი).

(ბ) სხვა გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ინფორმაცია„კომპანიასა“ და საერთო მმართველობის ქვეშ არსებულ კომპანიებს შორის გარიგებების შესახებშეჯამებულიაქვემოთ:

	გაყიდვები		დაკავშირებული მხარეების დავალიანება	
	2024	**2023**	**2024**	**2023**
ამონაგები განაწილებიდან				
შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“	216,036	209,243	27,144	24,699
სხვა შემოსავლები				
შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“	461	938	398	252

30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

(ბ) სხვა გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მომსახურების შესყიდვა

	შესყიდვები		დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანება	
	2024	**2023**	**2024**	**2023**
ხარჯები იჯარაზე				
სს ხრამჰესი II	15	18	107	116

	საპროცენტო ხარჯები		დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანება	
	2024	**2023**	**2024**	**2023**
კრედიტები და სესხები				
სს ,,ხრამჰესი I ’’	–	457	–	–
სს ,,ხრამჰესი II “	–	1,812	–	–
შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“	2,629	920	19,000	19,000

	საოპერაციო ხარჯები		დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანება	
	2024	**2023**	**2024**	**2023**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება				
შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანია“	656	689	108	101

ინფორმაცია კომპანიასა და მის მშობელ კომპანიას შორის გარიგებების შესახებ შეჯამებულია ქვემოთ:

	საოპერაციო ხარჯები		დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანება	
	2024	**2023**	**2024**	**2023**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება				
Silk Road Holding B.V.	255	196	255	411

ინფორმაცია კომპანიისა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგებების შესახებ შეჯამებულია ქვემოთ:

	საოპერაციო ხარჯები		დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანება	
	2024	**2023**	**2024**	**2023**
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება				
შპს თბილისი ენერჯი	–	13	–	–
შპს ვიონი საქართველო	–	5	–	–

31. აუდიტორის ანაზღაურება

კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეადგენს (დღგ–ს გარეშე):

	2024	2023
კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	157	141
დანახარჯები მარწმუნებელ მომსახურებასთან დაკავშირებით	32	25
სულ ანაზღაურება და დანახარჯები	**189**	**166**

სხვა პროფესიული მომსახურებისთვის სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების ანაზღაურებამ და დანახარჯებმა შეადგინა 38 ლარი (2023 წ.: 40 ლარი), დღგ–ს გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია „**კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის**“ შესახებ, რომელიც მოცემულია 116-142 გვერდებზე, არ არის აუდიტირებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ

დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

განაცხადი
კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის
შესახებ

Заявка на
представления отчета о соответствии Кодексу корпоративного
управления

თარიღი (დღე/თვე/წელი)/дата (дд/мм/гггг) 28 / 03 / 2025

1 ინფორმაცია ემიტენტის შესახებ / информация об эмитенте

ემიტენტის სახელწოდება/наименование эмитента	სააქციო საზოგადოება "თელასი"
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/организационно-правовая форма	სააქციო საზოგადოება
იურიდიული მისამართი/юридический адрес	თბილისი, ვაჟას ქ. №3
ფაქტობრივი მისამართი/фактический адрес	თბილისი, ვაჟას ქ. №3
ტელეფონის ნომერი/контактный номер	277 99 99
ელ.ფოსტა/эл.почта	telasi@telasi.ge
ვებ-გვერდი/веб-сайт	www.telasi.ge

2 დანართების ჩამონათვალი/перечень приложений

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) /
к форме заявки прилагаются следующие приложения (с указанием копий и листов) :

3 ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/информация о декларанте

სახელი და გვარი /имя и фамилия	სერგეი კობცევი
დაკავებული პოზიცია/занимаемая должность	გენერალური დირექტორი
ტელეფონის ნომერი/контактный номер	277 99 99
ელ.ფოსტა/эл.почта	telasi@telasi.ge

ხელმოწერა /подпись — გენერალური დირექტორი - ს.ნ. კობცევი / Генеральный директор - С.Н. Кобцев

თარიღი/дата (дд/мм/гггг) 28 / 03 / 2025

ხელმოწერა /подпись — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - დ.ე. ვოლკოვი / Председатель Наблюдательного совета - Д.Е. Волков

თარიღი/дата (дд/мм/гггг) 28 / 03 / 2025

ხელმოწერა /подпись — ფინანსური დირექტორი - ა.ლ. ბალჩუგოვი / Финансовый директор - А.Л. Бальчугов

თარიღი/дата (дд/мм/гггг) 28 / 03 / 2025

ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერილობა	მოთხოვნის შესრულება დიახ, არა, ალტერნატივა	მითითება წლიურ ანგარიშში (ქვეგანყოფილება/გვ) გახსნილ შესაბამის ინფორმაციაზე	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დამატებით განსაზღვრავს კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II. მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3,პუნქტი1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	დიახ	თავი XXIII. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპების დაცვის შესახებ (გვერდი 43)	წლიური ანგარიში	სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 14.11.2023 წ. (ოქმი №307, 14.11.2023წ.) საზოგადოება მიუერთდა კორპორაციული მართვის კოდექსს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.12.2021 წ. №172/04 ბრძანებით, ამით დაადასტურა კმკ-ს პრინციპებისადმი ერთგულება და კმკ-ს ნორმების დაცვის ვალდებულება. თელასში არ არსებობს დირექტორთა საბჭო, როგორც კოლეგიალური ორგანო, თუმცა, მიმართულებების მიხედვით უმაღლესი მენეჯერები უზრუნველყოფენ კომპანიის მიერ კორპორაციული მართვის კუთხით მოთხოვნების შესრულებას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ა");	ა) საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	დიახ	თავი III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ. (გვერდი 7) თავი XVI. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (გვერდი 43)	საწარმოს წესდება	საზოგადოების წესდება შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ბ")	ბ) ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	საზოგადოებაში მოქმედებს სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსი, რომელიც დამტკიცებული სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.) და შემუშავებულია კმკ-ს შესაბამისად.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3პუნქტი2, ქვეპუნქტი "გ")	გ) საწარმოს სტრატეგია და სათანადო რესურსები, რათა მიღწეულ იქნეს დასახული მიზნები, მათ შორის მდგრადი განვითარების მიზნები;	დიახ	თავი IV. საზოგადოების ბიზნეს-მოდელის მიმოხილვა. (გვერდი 8) თავი VI. საზოგადოების განვითარების პერსპექტივები. (გვერდი 20)	წლიური ანგარიში	ეს ინფორმაცია გახსნილია საზოგადოების წლიური ანგარიშის შემადგენლობაში
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3პუნქტი2, ქვეპუნქტი "დ")	დ) მდგრადი განვითარების მიზნები, მათ შორის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის საკითხები, რომლებიც მინიმუმ უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:				იხ. პუნქტები ქვემოთ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3 პუნქტი2, ქვეპუნქტი "დ.ა")	დ.ა) ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ეფუძნება როგორც ქართულ კანონმდებლობას, ასევე საერთაშორისოდ აღიარებულ შრომით სტანდარტებს და ადამიანის უფლებების დაცვას;	დიახ	თავი XX.კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (გვერდი 38)	პოლიტიკა/პროცედურები	საზოგადოებაში მოქმედებს სს „თელასის“ საკადრო პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 18.02.2011 წ. (ოქმი №34, 18.02.2011წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3პუნქტი2, ქვეპუნქტი "დ.ბ")	დ.ბ) თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;	დიახ	თავი XX.კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (გვერდი 38)	სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	საზოგადოებაში მოქმედებს შრომის დაცვის მართვის სისტემა, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ გენერალური დირექტორის 04.03.2025წ. N150 ბრძანებით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი2, ქვეპუნქტი "დ.გ")	დ.გ) გარემოს დაცვა გარემოსდაცვითი რეგულაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შესაბამისად;	დიახ	თავი XXI. გარემოს დაცვა (გვერდი 42)	წლიური ანგარიში	ეს ინფორმაცია გახსნილია საზოგადოების წლიური ანგარიშის შემადგენლობაში

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი2, ქვეპუნქტი "ე")	ე) სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილ კომიტეტთა დებულებები, რომელშიც გაწერილი იქნება კომიტეტის მანდატი, საქმიანობის მიმართულებები და პროცედურები, მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების, კომიტეტის წევრობასთან დაკავშირებული შეზღუდვების, კომიტეტის წევრთა როლებისა და ფუნქციების შესახებ საკითხები;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	საზოგადოებაში მოქმედებს აუდიტის კომიტეტი. დებულება სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი2, ქვეპუნქტი "ვ")	ვ) მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურა, სადაც არავინ სარგებლობს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით და რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების განსაზღვრის, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს, შესაბამის მიდა კონტროლის მექანიზმებს, მათ შორის ჯანსაღი ადმინისტრირებისა და სააღრიცხვო პროცედურებს, რისკების მართვის ეფექტურ საინფორმაციო სისტემებსა და კონტროლებს, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურებს.	დიახ	თავი XVII. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოების შემადგენლობა (გვერდი 36)	საწარმოს ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა	საზოგადოების ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურა განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი3)	საწარმოს მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია საწარმოს კორპორაციული მართვის სისტემასთან არსებულ პრობლემურ საკითხებზე მიმართოს სამეთვალყურეო საბჭოს.	დიახ		საწარმოს წესდება	აღნიშნული უფლება დაფიქსირებულია შემდეგ დოკუმენტებში: 1. სს „თელასის“ წესდება (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 25.10.2023წ.); 2. დებულება „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 31.09.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი4)	საწარმოს წესდება, ეთიკის კოდექსი და კომიტეტთა დებულებები პერიოდულად უნდა განახლდეს და იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.	დიახ			ხორციელდება სს „თელასის“ წესდების, კორპორაციული ეთიკის კოდექსის და სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულების რეგულარული განახლება. გამოქვეყნებულია საზოგადოების საიტზე.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი5)	საწარმომ უნდა უზრუნველყოს საკუთარი კორპორაციული მართვის სისტემის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა პოლიტიკასა და პროცედურებში სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კოდექსის მოთხოვნები.	დიახ	თავი XXIII. ცნობების საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპების დაცვის შესახებ (გვერდი 43)	სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 14.11.2023 წ. (ოქმი №307, 14.11.2023წ.) საზოგადოება მიუერთდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.12.2021 წ. №172/04 ბრძანებით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1)	თითოეულ საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც აწესრიგებს ინტერესთა კონფლიქტის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, კორუფციის, ინსაიდერული ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების საკითხებს, კერძოდ, ეთიკის კოდექსი უნდა მოიცავდეს:	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	საზოგადოებაში მოქმედებს სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსი, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1, ქვეპუნქტი "ა")	ა) მითითებას იმის თაობაზე, რომ მმართველი ორგანოს წევრები და საწარმოს თანამშრომლები უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და პროფესიონალურად;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	ეს ნორმა შედის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის განყოფილებაში 5 (გვ.11-13), რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1, ქვეპუნქტი "ბ")	ბ) მითითებას იმის თაობაზე, რომ დირექტორები უნდა მოქმედებდნენ საწარმოს და აქციონერთა/პარტნიორთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	ეს ნორმა შედის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის განყოფილებაში 11 (გვ.32-33) , რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1, ქვეპუნქტი "გ")	გ) არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებისა და მისი გამოვლენის პროცედურებს;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	ეს ნორმა შედის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის განყოფილებაში 5 (გვ.11-13), რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1, ქვეპუნქტი "დ")	დ) კორუფციული პრაქტიკის აღკვეთის პროცედურებს, რომელიც მოიცავს ქრთამის, საჩუქრების თუ სხვა სახის სარგებლის შეთავაზებასა და მიღებას;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	ეს ნორმა შედის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის განყოფილებაში 5 (გვ.11-13), რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4,პუნქტი1, ქვეპუნქტი "ე")	ე) უკანონო ან არაეთიკურ ქცევასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჟღავნების პროცედურებს;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	ეს ნორმა შედის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის განყოფილებაში 5 (გვ.11-13), რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1, ქვეპუნქტი "ვ")	ვ) საწარმოს ინფორმაციის, აქტივების მიზნობრივი გამოყენების დაცვისა და უზრუნველყოფის საკითხებს;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	ეს ნორმა შედის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის განყოფილებაში 11 (გვ.32-33), რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1, ქვეპუნქტი "ზ")	ზ) კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საკითხებს;	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	შესაბამისი ნორმები შედის სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსში, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი1, ქვეპუნქტი "თ")	თ) ანონიმური მხილების ეფექტურ სისტემას, რომლის ფარგლებშიც თანამშრომლებსა და დაინტერესებულ მხარეებს შეეძლებათ უკანონო/შეუსაბამო/არაეთიკური ფაქტების კონფიდენციალურად, ყოველგვარი დისკრიმინაციული და არასათანადო მოპყრობის საფრთხის გარეშე დაფიქსირება. ანონიმური მხილების სისტემა, მათ შორის, უნდა აწესრიგებდეს დაფიქსირებული ფაქტების მოკვლევისა და რეაგირების პროცედურულ საკითხებსაც. ანონიმური მხილების სისტემის შექმნასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	დიახ			
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი2)	საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს სამეთვალყურეო საბჭომ.	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	კორპორაციული ეთიკის კოდექსის დამტკიცება მიეკუთვნება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 4, პუნქტი3)	საწარმოს ეთიკის კოდექსი ვრცელდება საწარმოს მმართველ ორგანოსა და საწარმოში დასაქმებულ პირებზე.	დიახ	თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	ეთიკის კოდექსი	კორპორაციული ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება საზოგადოების ყველა მუშაკზე.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი1)	კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინდივიდუალურად და ერთობლივად პასუხისმგებელნი არიან:	დიახ		საწარმოს წესდება	სს „თელასის“ წესდების მე-16 მუხლის მე-14 პუნქტი (გვ.26) (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი 25.10.2023წ.) ითვალისწინებს სს-ს წევრების პასუხისმგებლობას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი1, ქვეპუნქტი "ა")	ა) განსაზღვრონ საწარმოს ღირებულებები და მართონ საწარმო სამართლიანობის, კომპეტენტურობის, პროფესიონალიზმისა და ეთიკის პრინციპების სრული დაცვით;	დიახ		საწარმოს წესდება	დაფიქსირებულია შემდეგ დოკუმენტებში: 1. სს „თელასის“ წესდება (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 25.10.2023წ.); 2. დებულება „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 31.09.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი1, ქვეპუნქტი "ბ")	ბ) განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	დიახ		საწარმოს წესდება	დაფიქსირებულია შემდეგ დოკუმენტებში: 1. სს „თელასის“ წესდება (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 25.10.2023წ.); 2. დებულება „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ, მუხლი 3 (გვ. 3-5) (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 31.09.2022წ.).

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი1, ქვეპუნქტი "გ")	გ) განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები და მუდმივად აფასებდნენ დირექტორთა საბჭოს როლს ჯანსაღი კორპორაციული და ეთიკური კულტურის დამყარებასა და შენარჩუნებაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს არსებულ კანონმდებლობასთან, მათ შორის, ამ კოდექსთან, ასევე, საწარმოს ეთიკის კოდექსთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან მუდმივ შესაბამისობას;			ეთიკის კოდექსი	დაფიქსირებულია შემდეგ დოკუმენტებში: 1. სს „თელასის“ წესდება (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 25.10.2023წ.); 2. დებულება „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი, 31.09.2022წ.). 3. სს "თელასის" კორპორაციული ეთიკის კოდექსი, დამტკიცებული სს "თელასის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 15.11.2022 წ. (ოქმი №285, 15.11.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5, პუნქტი 1, ქვეპუნქტი "დ")	დ) დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი, განსაზღვრონ საწარმოს სტრატეგია და მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებას;	დიახ		შესაბამისი გადაწყვეტილებები	საზოგადოების წესდების მე-17 მუხლის პ.29 (გვ. 28) შესაბამისად, საზოგადოების ბიზნეს-გეგმების და ბიზნეს-გეგმების შესრულების შედეგების შესახებ ანგარიშების დამტკიცება მიეკუთვნება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი1, ქვეპუნქტი "ე")	ე) დირექტორთა საბჭოსთან ერთად განსაზღვრონ და დაამტკიცონ საწარმოს რისკების მართვის ჩარჩო, რომლის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კონკურენტული გარემო, შესაძლო სამომავლო რეგულაციები, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, საწარმოს გრძელვადიანი ინტერესები, რისკების ეფექტური მართვის, მონიტორინგისა და შიდა კონტროლის ფუნქციები;	დიახ	თავი IX. საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების აღწერილობა. (გვერდი 23) თავი X. საზოგადოების საკრედიტო, საბაზრო რისკების, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ. (გვერდი 26) თავი XI. რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის მიმოხილვა, ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებით. (გვერდი 28)	წლიური ანგარიში	საზოგადოების წესდების მე-17 მუხლის პ.33 (გვ.29) შესაბამისად, რისკ-აპეტიტების სიდიდის, ასევე რისკების მართვის და შიდა კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შესახებ ანგარიშების დამტკიცება მიეკუთვნება საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი1, ქვეპუნქტი "ვ");	ვ) მონიტორინგი გაუწიონ დირექტორთა საბჭოს საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები; უზრუნველყონ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დირექტორთა საბჭოსგან იღებდნენ საკმარის ინფორმაციას, მათ შორის განმარტებებსა და რწმუნებას იმის თაობაზე, რომ დირექტორთა საბჭოს საქმიანობა სრულად შეესაბამება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სტრატეგიასა და რისკების მართვის ჩარჩოს;	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	მონიტორინგი ხორციელდება წლიური, ბიზნეს-გეგმის და საზოგადოების გენერალური დირექტორის მიერ საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების და სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების შესრულების შესახებ ანგარიშების საკითხების განხილვის სახით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი1, ქვეპუნქტი "ზ")	ზ) მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს დირექტორთა ანაზღაურების საკითხების განხილვასა და მონიტორინგს, საწარმოს რისკის კულტურასა და რისკის მართვის ჩარჩოსთან შესაბამისობას;	ალტერნატივა		კომიტეტის დებულება (დებულებები)	ამ პროცესის რეგლამენტირება ხორციელდება საზოგადოების შემდეგი დოკუმენტებით: 1. დებულება კადრების კომიტეტის შესახებ (გენერალური დირექტორის 27.06.2022წ. № 418 ბრძანება); 2. მეთოდიკა „სს „თელასის“ მუშაკთა შრომის ანაზღაურება და სტიმულირება“ (გენერალური დირექტორის 11.11.2022წ. № 674 ბრძანება). 3. მეთოდიკა „სს „თელასის“ გენერალური დირექტორის შრომის ანაზღაურების და მატერიალური სტიმულირების შესახებ“ (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №305, 10.10.2023წ.)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი1, ქვეპუნქტი "თ")	თ) უზრუნველყონ დირექტორთა საბჭოსა და მნიშნელოვანი თანამშრომლების ჩანაცვლების ეფექტური სისტემის დანერგვა და მონიტორინგი გაუწიონ მის განხორციელებას.	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	ამ პროცესის რეგლამენტირება ხორციელდება საზოგადოების შემდეგი დოკუმენტით: პროცესის რეგლამენტი „სს „თელასის“ მუშაკების შერჩევა, ნომენკლატურულ თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება (გენერალური დირექტორის 04.10.2023წ. №566 ბრძანება)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი2);	ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს.	დიახ	თავი III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ (გვერდი 7)	საწარმოს წესდება	1. სხდომები ტარდება რეგულარულად (2024 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 20 სხდომა). 2. სს თელასის წესდების მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი (გვ. 32) (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების 2023 წლის 25 ოქტომბრის ოქმი).

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი3)	საკუთარი ფუნქციების შესრულებისას, სამეთვალყურეო საბჭო, პირველ რიგში, უნდა ითვალისწინებდეს საწარმოს, აქციონერების/პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესებს. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა უზრუნველყოს აქციონერებთან/პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კომუნიკაცია და თანამშრომლობა.	დიახ	თავი III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ. (გვერდი 7) თავი XXIII. ცნობების საზოგადოების მიერ კორპორაციული მართვის კოდექსის პრინციპების დაცვის შესახებ (გვერდი 43)	საწარმოს წესდება	სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭო ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღებისას ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინების პრინციპებით. აქციონერებთან და პარტნიორებთან ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად იმართება აქციონერთა კრებები და ქვეყნდება კანონით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია. ეს მოთხოვნები აისახება შემდეგში: 1. სს „თელასის“ წესდება (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი 25.10.2023წ.) 2. სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №307, 14.11.2023წ.) საზოგადოება მიუერთდა კორპორაციული მართვის კოდექსს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.12.2021 წ. №172/04 ბრძანებით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი4)	სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად უნდა ხვდებოდეს დირექტორთა საბჭოსა და შიდა კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის, შიდა აუდიტის, რისკის მართვისა და შესაბამისობის ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, სხვადასხვა პოლიტიკისა და კონტროლების განსახილველად, მნიშვნელოვანი რისკების, იმ საკითხებისა და სფეროების იდენტიფიცირების მიზნით, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ. დირექტორთა საბჭოსთან კომუნიკაციის ფარგლებში, სამეთვალყურეო საბჭო კრიტიკულად უნდა აფასებდეს დირექტორთა საბჭოს მიერ წარმოდგენილ განმარტებებს და შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, საწარმოს ორგანიზაციული მოწყობის გათვალისწინებით, კორპორაციული მდივანი უნდა ითავსებდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სხდომის ოქმები, მიღებულ გადაწყვეტილებებთან ერთად, უნდა ასახავდეს იმას, თუ როგორ მოხდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, საბჭოს/კომიტეტის წევრების იმ მნიშვნელოვან პოზიციებს, რომლებმაც განაპირობა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და ასევე საბჭოს იმ წევრების პოზიციებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს მიღებულ გადაწყვეტილებას.	დიახ	თავი III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ. (გვერდი 7) თავი XXIV. ცნობები საზოგადოების მიერ კორპორაციული ეთიკის კოდექსის დაცვის შესახებ (გვერდი 44)	საწარმოს წესდება	საზოგადოების ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურაში არ არსებობს ისეთი კოლეგიალური ორგანო, როგორიცაა დირექტორთა საბჭო. აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციებს ასრულებენ მიმართულებების უმაღლესი რგოლის მენეჯერები (დირექტორები). კორპორაციული მდივანი თავის საქმიანობას ახორციელებს საზოგადოების წესდებასთან, „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ“ დებულებასთან, სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს მდივნის შესახებ დებულებასთან (სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №257, 30.08.2021წ.) და სხვა შნდ-ებთან მკაცრ შესაბამისობაში.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 5,პუნქტი5)	სამეთვალყურეო საბჭომ წლიურ ანგარიშში უნდა აღწეროს ფინანსური წლის განმავლობაში მისი საქმიანობა, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ამ კოდექსის შესრულებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ასევე, მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებს.	დიახ	თავი III. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განვითარების შედეგების შესახებ. (გვერდი 7) თავი XXII. სოციალური პასუხისმგებლობა. (გვერდი 42)	სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	საზოგადოების წლიური ანგარიშის შედგენა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან მკაცრ შესაბამისობაში. კომპანიამ პირველად 2023 წლის წლიური ანგარიშის შემადგენლობაში შეიტანა ანგარიში კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესრულების შესახებ. სამომავლოდ, წლიურ ანგარიშში წარმოდგენილ იქნება ვრცელი ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის, კორპორაციული მართვის პრინციპების დაცვის ღონისძიებების შესახებ, ასევე მონაცემები მდგრადი განვითარების, ეკოლოგიის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მენეჯმენტის საკითხებზე.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6,პუნქტი1)	სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კომპეტენცია და უნარები ერთობლივად უნდა უზრუნველყოფდეს საწარმოს საქმიანობის სათანადოდ წარმართვისა და რისკების მართვის ეფექტური ექსპერტიზის შესაძლებლობას. სამეთვალყურეო საბჭოს ერთ მესამედს, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და შესაბამისი გამოცდილება ფინანსურ, ეკონომიკურ, აუდიტორულ ან/და სხვა დაკავშირებულ სფეროებში. ამასთან, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია.	დიახ	თავი XVI. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (გვერდი 34)	სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	საშეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ირჩევენ აქციონერების მიერ შეთავაზებული კანდიდატებს, მათი პროფესიული კომპეტენციებისა და დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გათვალისწინებით. ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატის შესახებ შეიცავს ინფორმაციას დაკავებული თანამდებობის შესახებ და ბიოგრაფიულ მონაცემებს, მათ შორის სამუშაო გამოცდილებას ფინანსურ, ეკონომიკურ და აუდიტორულ სფეროებში. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არის სამი დამოუკიდებელი წევრი, რაც შეესაბამება კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს ან ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, საზოგადოება ხელმძღვანელობს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების კორპორაციული მართვის კოდექსის (რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 7 დეკემბრის №172/04 ბრძანებით), სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N285, 15.11.2022წ.) დამტკიცებული სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის და „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ“ დებულების (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6,პუნქტი2)	საქმიანობის მასშტაბისა და კომპლექსურობის მიუხედავად, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან.	დიახ	თავი XVI. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (გვერდი 34)	საწარმოს წესდება	საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 6 წევრისგან. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობა დაფიქსირებულია საზოგადოების წესდებაში. (მუხლი 16, პ.3 გვ.24)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6,პუნქტი3)	საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი	დიახ		საწარმოს წესდება	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ არის საზოგადოების დირექტორი. ეს მოთხოვნა დაფიქსირებული საზოგადოების წესდებაში. (მუხლი 16, პ.10, გვ.25)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6,პუნქტი4)	სამეთვალყურეო საბჭოს ერთი მესამედი, მაგრამ არანაკლებ ორი წევრისა, უნდა წარმოადგენდეს ამ კოდექსის მე-16 მუხლით განსაზღვრულ დამოუკიდებელ წევრს.	დიახ	თავი XVI. კორპორაციული მართვა. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (გვერდი 34)	წლიური ანგარიში	საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არის 3 დამოუკიდებელი წევრი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6,პუნქტი5)	საწარმოს საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული სქესის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება.	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ირჩევენ აქციონერების მიერ შეთავაზებული კანდიდატებს. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატის შესახებ ცნობები შეიცავს ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების მიერ დაკავებული თანამდებობის და ყველა კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არის სამი დამოუკიდებელი წევრი. საზოგადოება მიისწრაფვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.12.2021წ. N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის, სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N285, 15.11.2022წ.) დამტკიცებული სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის და „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ“ დებულების (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი 31.09.2022წ.) ყველა რეკომენდაციის დასაცავად.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 6,პუნქტი6)	საწარმოში უნდა არსებობდეს სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები.	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ირჩევენ აქციონერების მიერ შეთავაზებული კანდიდატებს. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატის შესახებ ცნობები შეიცავს ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატების მიერ დაკავებული თანამდებობის და ყველა კანდიდატის ბიოგრაფიული მონაცემების შესახებ. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში არის სამი დამოუკიდებელი წევრი. საზოგადოება მიისწრაფვის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 07.12.2021წ. N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის, სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N285, 15.11.2022წ.) დამტკიცებული სს „თელასის“ კორპორაციული ეთიკის კოდექსის და „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ“ დებულების (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი 31.09.2022წ.) ყველა რეკომენდაციის დასაცავად.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7,პუნქტი1)	სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე.	დიახ		საწარმოს წესდება	გათვალისწინებულია სს „თელასის“ წესდების მე-16 მუხლის მე-12 პუნქტში (გვ.25) (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი 25.10.2023წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7,პუნქტი2)	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს საბჭოს ამ კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული დამოუკიდებელი წევრი.	არა			საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არ არის საზოგადოების დამოუკიდებელი წევრი. საზოგადოებაში არის სამეთვალყურეო საბჭოს სამი დამოუკიდებელი წევრი. საზოგადოება მიისწრაფვის დაიცვას კოდექსის რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის დამოუკიდებლობის ნაწილში, ამასთან დაკავშირებით საზოგადოება ურთიერთქმედებს აქციონერთა წარმომადგენლებთან აღნიშნული მოთხოვნის დასარეგულირებლად.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 7,პუნქტი3)	თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე.	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	რეგლამენტირებულია დებულებით „სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევის და ჩატარების წესის შესახებ“ (მუხლი 2, გვ.3-4) (აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი 31.09.2022წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8,პუნქტი1)	სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტები თავისი ფუნქციების შესრულებისას ხელმძღვანელობენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტების დებულების შესაბამისად.	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	საზოგადოებაში მოქმედებს აუდიტის კომიტეტი. დებულება სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №197, 13.04.2018წ.).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8,პუნქტი2); საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" (მუხლი 9(1))	ყველა საწარმო, მიუხედავად მისი ზომითი კატეგორიის, კომპლექსურობისა და საქმიანობის მასშტაბებისა, ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისაგან შექმნას აუდიტის კომიტეტი.	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	საზოგადოებაში მოქმედებს აუდიტის კომიტეტი. დებულება სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი №197, 13.04.2018წ.).

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8,პუნქტი 3 და პუნქტი 4)	ეფექტიანობის გაზრდისათვის სასურველია სამეთვალყურეო საბჭოსთან სხვა ფუნქციის მქონე კომიტეტების შექმნაც, მათ შორის რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტები და სხვა. ამასთან, გარკვეულ ინდუსტრიაში მოღვაწე საწარმოებისთვის, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სპეციფიკური მიზნობრიობის მქონე ცალკე კომიტეტების შექმნა, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიების, უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების კომიტეტები. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომიტეტების არარსებობის შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭომ ან არსებულმა კომიტეტებმა უნდა უზრუნველყონ ამ კომიტეტების შესაბამისი ფუნქციების შესრულება.	ალტერნატივა		საწარმოს წესდება	ამჟამად კომპანიაში არ არის სპეციალიზებული კომიტეტები, როგორიცაა რისკების მართვის, ანაზღაურების, ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი. თუმცა, აღნიშნული კომიტეტებისთვის გათვალისწინებული ფუნქციები ხორციელდება სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობისა და არსებული შიდა მექანიზმების ფარგლებში. კომპანიაში მოქმედებს საკადრო კომიტეტი, რომელიც შეიქმნა გენერალური დირექტორის 2022 წლის 27 ივნისის #418 ბრძანების საფუძველზე, რომლის საქმიანობა რეგულირდება დამტკიცებული დებულებით. საქმიანობის ძირითადი ასპექტების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად, დამტკიცებულ იქნა შესაბამისი პოლიტიკები. კერძოდ, სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით მიღებულ იქნა ტექნიკური პოლიტიკა ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში (სამეთვალყურეო საბჭოს 2013 წლის 20 თებერვლის ოქმი #91), ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ იქნა რისკების მართვისა და შიდა კონტროლის პოლიტიკა (2022 წლის 26 დეკემბრის ოქმი #280). აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8,პუნქტი5)	სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა ცვლიდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება.	არა			საზოგადოების შიდა დოკუმენტებით არ არის დადგენილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შემადგენლობის და თავმჯდომარის შეცვლის მკაფიო ვადები. სამეთვალყურეო საბჭოში ირჩევენ საზოგადოების აქციონერთა მიერ შეთავაზებულ კანდიდატებს. ამ პუნქტის რეალიზაციის მიზნით, საზოგადოება ისწრაფვის კოდექსის რეკომენდაციების დაცვისკენ, ამასთან დაკავშირებით საზოგადოება ურთიერთქმედებს აქციონერთა წარმომადგენლებთან.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8,პუნქტი6)	კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან.	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	კომიტეტის მდივანი აფიქსირებს კომიტეტის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას და რეკომენდაციას კომიტეტის ოქმებში და რეგულარულად აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8,პუნქტი 7)	კომიტეტი მინიმუმ 3 წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, გარდა მცირე ზომის საწარმოსი, რომლის კომიტეტებიც შეიძლება შედგებოდეს 2 წევრისგან. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი.	დიახ	თავი XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (გვერდი 37)	კომიტეტის დებულება (დებულებები)	ამჟამად, საზოგადოებაში ფუნქციონირებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრისგან, მათ შორის ორი არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე ასევე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8, პუნქტი 8)	კომიტეტების შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. სხვა შემთხვევაში ისინი უნდა იქრიბებოდნენ წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ასევე, ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში.	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	ამ საკითხის რეგულირებას ახორციელებს სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულება (მუხლი 9, გვ. 8-10), რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018წ.). 2024 წელს ჩატარებულ იქნა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის 4 სხდომა.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 8,პუნქტი9)	სამეთვალყურეო საბჭო კომიტეტებში წევრებს საჭირო სპეციალიზებული უნარებისა და გამოცდილების გათვალისწინებით უნდა ნიშნავდეს. კომიტეტებში წახალისებული უნდა იყოს ობიექტურობა და არსებობდეს ჯანსაღი დისკუსიისთვის საჭირო გარემო.	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	სს „თელასში“ შოქმედებს აუდიტის კომიტეტი, რომლის ფორმირება და საქმიანობა რეგულირდება სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებით (დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 13 აპრილის ოქმი #197) (მუხლი 6, გვ.4-5). ამ დებულების მოთხოვნათა მიხედვით კომიტეტის რაოდენობრივი შემადგენლობა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით და შეადგენს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 ადამიანს. კომიტეტის წევრები ირჩევიან სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით, წარდგენილი კანდიდატებიდან. კომიტეტის მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ცოდნა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და შიდა კონტროლის სფეროში. კანდიდატების შერჩევისას უპირატესობა ენიჭებათ უმაღლესი ფინანსური, ეკონომიკური ან იურიდიული განათლების ან/და შესაბამისი პროფესიული გამოცდილების მქონე პირებს. კომიტეტის საქმიანობა მიზნად ისახავს გადაწყვეტილების მიღების ობიექტურობის უზრუნველყოფას, წარმოდგენილი მონაცემების პროფესიონალურ ანალიზს და კომპეტენციის ფარგლებში კონსტრუქციული განხილვის პირობების შექმნას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი1)	აუდიტის კომიტეტი იკრიბება წელიწადში ოთხჯერ და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშგებას წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების დამტკიცების პერიოდის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია მოითხოვოს დირექტორთა, შიდა და გარე აუდიტორების და სხვა დაქირავებული პირების შეხვედრაზე დასწრება.	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	გათვალისწინებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018წ.). 2024 წელს გაიმართა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის 4 სხდომა, რომლებზეც განხილულ იქნა წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგების საკითხები.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:				იხ. პუნქტები ქვემოთ
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ა")	ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018r.) მუხლი 2, გვ.2.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ბ")	ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018r.) მუხლი 2, გვ.2.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "გ")	გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018r.) მუხლი 2, გვ.2.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "დ")	დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთა კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია დებულებით სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018r.) მუხლი 2, გვ.2.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ე")	ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;	არა			საზოგადოებაში არ არის ფორმირებული შიდა აუდიტის ქვედანაყოფი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ვ")	ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018წ.) მუხლი 2, გვ.2.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ზ")	ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამისი ზომების გატარებას;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018წ.) მუხლი 2, გვ.2.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "თ")	თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;	არა			საზოგადოებაში არ არის ფორმირებული შიდა აუდიტის ქვედანაყოფი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ი")	ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორთა საბჭოს მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;	არა			საზოგადოებაში არ არის ფორმირებული შიდა აუდიტის ქვედანაყოფი
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "კ")	კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;	არა		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018წ.) მუხლი 2, გვ.2.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ლ")	ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის ფუნქციები განსაზღვრულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებით, რომელიც დამტკიცებულია სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 13.04.2018წ. (ოქმი №197, 13.04.2018წ.) მუხლი 2, გვ.2.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი3); საქართველოს კანონი "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" (მუხლი 9(1),პუნქტი1)	კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.	დიახ	თავი XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (გვერდი 37)	კომიტეტის დებულება (დებულებები)	ამჟამად, საზოგადოებაში ფუნქციონირებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება სამეთვალყურეო საბჭოს 3 წევრისგან, მათ შორის ორი არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე ასევე არის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი4);	აუდიტის კომიტეტის წევრებს, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარეს, უნდა ჰქონდეთ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის უნარი და ჰქონდეთ ფინანსური განათლება ან შესაბამისი ფინანსური გამოცდილება.	დიახ	თავი XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (გვერდი 37)	კომიტეტის დებულება (დებულებები)	აუდიტის კომიტეტის საქმიანობა რეგულირდება სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ დებულებით (დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 13 აპრილის ოქმი #197). მოცემული დებულების 6.6 პუნქტის შესაბამისად, კომიტეტის წევრების არჩევისას უპირატესობა ენიჭებათ უმაღლესი ფინანსური, ეკონომიკური ან იურიდიული განათლების მქონე კანდიდატებს, აგრეთვე ფინანსური კონტროლისა და რისკების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე კანდიდატებს. კომიტეტის სულ მცირე ერთ-ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და შიდა კონტროლის სისტემების ანალიზის სფეროში ცოდნა. ეს მოთხოვნები ასევე ეხება აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელსაც უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების ანალიზისა და ამ სფეროში ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფის აუცილებელი კომპეტენციები.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი5);	აუდიტის კომიტეტის წევრებს მუდმივად უნდა ჰქონდეთ სრული წვდომა დირექტორთა საბჭოს, შიდა აუდიტისა და რისკების მართვის ფუნქციებთან. აუდიტის კომიტეტი ყოველწლიურად უნდა განიხილავდეს გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობას და კორპორაციული მართვის ანგარიშში ამჟღავნებდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:	დიახ	თავი XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (გვერდი 37)	კომიტეტის დებულება (დებულებები)	საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს კორპორაციული ღონისძიებების დამტკიცებული გეგმის თანახმად, რომელშიც გაწერილია ყველა დაგეგმილი საკითხი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი5, ქვეპუნქტი "ა");	ა) გარე აუდიტორებზე მთლიანი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გაცემული ანაზღაურების შესახებ;	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	ინფორმაცია გარე აუდიტორის ანაზღაურების შესახებ წინასწარ იქნა განხილული აუდიტის კომიტეტის მიერ 23.02.2023 წ. (ოქმი აჯ №23, 23.02.2023 წ.)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი5, ქვეპუნქტი "ბ");	ბ) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აუდიტორული და სხვა სახის მომსახურებებზე გაცემული ანაზღაურების ელემენტებს ან შესაბამის უარყოფით მოსაზრებას საწარმოს წლიურ ანგარიშში. თუ გარე აუდიტორები, გარდა აუდიტორული მომსახურებისა, იმავდროულად უზრუნველყოფენ საწარმოსთვის სხვა სახის მომსახურების გაწევას, აუდიტის კომიტეტი უნდა განიხილავდეს ამ მომსახურებათა შინაარსსა და ფარგლებს და უზრუნველყოფდეს ობიექტურობის შენარჩუნებას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვას.	დიახ		კომიტეტის დებულება (დებულებები)	ინფორმაცია გარე აუდიტორის ანაზღაურების შესახებ წინასწარ იქნა განხილული აუდიტის კომიტეტის მიერ 23.02.2023 წ. (ოქმი აჯ №23, 23.02.2023 წ.)
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი6);	საწარმოს მიმდინარე აუდიტის განმახორციელებელი ფირმის/აუდიტორის ყოფილი პარტნიორი ან დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს საწარმოს აუდიტის კომიტეტის წევრი:	დიახ	თავი XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (გვერდი 37)	წლიური ანგარიში	ხორციელდება ამ მოთხოვნის შესრულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი6, ქვეპუნქტი "ა");	ა) აუდიტორული ფირმის პარტნიორის ან დირექტორის პოზიციის დატოვებიდან 12 თვის განმავლობაში;	დიახ	თავი XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (გვერდი 37)	წლიური ანგარიში	ხორციელდება ამ მოთხოვნის შესრულება
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 9,პუნქტი6, ქვეპუნქტი "ბ");	ბ) თუ მას აქვს გარკვეული სახის ფინანსური ინტერესი აუდიტორულ ფირმაში მიუხედავად პოზიციის დატოვებისა.	დიახ	თავი XIX. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტი (გვერდი 37)	წლიური ანგარიში	ხორციელდება ამ მოთხოვნის შესრულება

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი1);	საწარმოს საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთაგან შეიქმნას რისკების კომიტეტი, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად:	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი1, ქვეპუნქტი "ა");	ა) განიხილავს რისკის სტრატეგიებს როგორც აგრეგირებული, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს;	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი1, ქვეპუნქტი "ბ");	ბ) ამზადებს და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშგებას საწარმოში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს საწარმოს რისკის პოლიტიკას, სულ მცირე, ყოველწლიურად;	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი1, ქვეპუნქტი "გ");	გ) მონიტორინგს უწევს დირექტორთა საბჭოს მხრიდან საწარმოს საქმიანობის რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი1, ქვეპუნქტი "დ");	დ) რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე.	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი2);	რისკების კომიტეტი მუდმივად უნდა იღებდეს შესაბამის ანგარიშგებას შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისგან საწარმოს მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურასთან დაკავშირებით შესაბამისი აქტივობების, საზღვრების, საზღვრების დარღვევებისა და მიტიგაციის გეგმებთან დაკავშირებით.	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი3);	რისკისა და აუდიტის კომიტეტებს შორის უნდა არსებობდეს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის გათვალისწინებას, მათ შორის, ახლად გამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 10,პუნქტი4);	ფუნქციების ეფექტურად შესრულების მიზნით, რისკების კომიტეტს სრული წვდომა უნდა ჰქონდეს როგორც დირექტორთა საბჭოს, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან.	არა			ამ მომენტისთვის საზოგადოებაში რისკების კომიტეტი არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11,პუნქტი1)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი ანაზღაურების კომიტეტი ხელს უნდა უწყობდეს სამეთვალყურეო საბჭოს საწარმოს ანაზღაურების სისტემის შექმნასა და ფუნქციონირებაში, ასევე, იმის მიღწევაში, რომ საწარმოს ანაზღაურების სისტემა შეესაბამებოდეს მის კულტურას, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოს, საწარმოს საქმიანობას და კონტროლის გარემოს ისევე, როგორც კანონმდებლობის/საზედამხედველო მოთხოვნებს.	ალტერნატივა		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	საზოგადოებაში არ არის ფორმირებული ანაზღაურების კომიტეტი. საზოგადოების თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა დადგენილია მეთოდიკით „სს „თელასის“ მუშაკების შრომის ანაზღაურების გადახდა და სტიმულირება“, რომელიც დამტკიცებულია საზოგადოების გენერალური დირექტორის 11.11.2022წ. №674 ბრძანებით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11,პუნქტი2)	ანაზღაურების კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:	ალტერნატივა			იხ. პუნქტები ქვემოთ

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ა")	ა) რეგულარულად განიხილოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკა და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. უზრუნველყოს საწარმოს ანაზღაურების პოლიტიკის ეფექტურობისა და მისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება, მათ შორის ძირითადი საქმიანობის შედეგების ინდიკატორებთან მიმართებით;	ალტერნატივა		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	საზოგადოებაში არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული ანაზღაურების კომიტეტი. საზოგადოებაში ყოველ წელს ხორციელდება შემდეგის დამტკიცება: 1. ეფექტურობის ძირითადი წლიური მაჩვენებლების (ეძმ) და წლიური საკონტროლო მაჩვენებლების რუკებს და გენერალური დირექტორისთვის ეძმ/სმ შესრულების გაანგარიშებისა და შეფასების მეთოდიკა; 2. ეძმ და სმ რუკა და ფუნქციონალური მიმართულებების დირექტორებისთვის ეძმ და სმ გაანგარიშების და შესრულების შეფასების მეთოდიკა; 3. ეძმ და სმ რუკები და მრჩეველთა/ფუნქციონალური მიმართულებების დირექტორთა მოადგილეების და უსაფრთხოების საკითხებში გენერალური დირექტორის მრჩევლის ეძმ-ს და სმ-ს გაანგარიშების და შესრულების მეთოდიკა; 4. ეძმ და სმ რუკები საზოგადოების ქვედანაყოფებისთვის.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 11,პუნქტი2, ქვეპუნქტი "ბ")	ბ) ყოველწლიურად მოამზადოს რეკომენდაციები მმართველი ორგანოს ანაზღაურებასთან დაკავშირებით და წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად საერთო კრებას.	ალტერნატივა		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ყოველწლიურად ხორციელდება ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების (ეძმ) და საკონტროლო მაჩვენებლების (სმ) რუკის და გენერალური დირექტორის წლიური ეძმ/სმ გაანგარიშების და შესრულების შეფასების მეთოდიკის დამტკიცება.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12)	სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი, გარდა სხვა ფუნქციების შესრულებისა:	არა			კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთან საზოგადოებაში არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, ქვეპუნქტი "ა")	ა) უზრუნველყოფს საწარმოს შიდა მმართველობითი სტრუქტურის შესაბამისობას კორპორაციული მართვის საკითხების მომწესრიგებელ კანონმდებლობის მოთხოვნებთან და საწარმოს შიდა წესებთან/დოკუმენტებთან;	არა			კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთან საზოგადოებაში არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, ქვეპუნქტი "ბ")	ბ) უზრუნველყოფს საწარმოს შიგნით ისეთი გადაწყვეტილებების მიღების სისტემის არსებობას, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებისას საწარმოს რეპუტაციული რისკების შეფასებას და ამასთან, სრულ შესაბამისობას კანონმდებლობასთან და საწარმოს შიდა სტანდარტებთან;	არა			კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთან საზოგადოებაში არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, ქვეპუნქტი "გ")	გ) წარუდგენს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს ახალ კანდიდატურათა და დირექტორთა საბჭოს კანდიდატურებთან დაკავშირებით. ამასთან, კორპორატიული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურული დაგეგმარების პროცესში, მათ შორის, საბჭოს წევრთა გადარჩევის საკითხების მიმართულებით, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოსა და მისი ბიზნეს სტრატეგიის მოთხოვნები, საჭიროებები და საბჭოში არსებული უნარები და ექსპერტული ცოდნა;	არა			კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთან საზოგადოებაში არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, ქვეპუნქტი "დ")	დ) რეგულარულად განიხილავს სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირების ეფექტურობასა და ეფექტიანობას. კორპორატიული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი რეგულარულად გადახედავს რიგ პოზიციაზე დანიშნულ პირთა კანდიდატურებს, როგორებიცაა აღმასრულებელი დირექტორი და ფინანსური დირექტორი და სხვა პირთა დანიშვნის საფუძვლებს;	არა			კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთან საზოგადოებაში არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, ქვეპუნქტი "ე")	ე) უზრუნველყოფს, რომ საწარმოში არსებობდეს ადეკვატური პოლიტიკები და პროცედურები დირექტორთა საბჭოს წევრების დანიშვნის, გათავისუფლებისა და გადარჩევის კუთხით. კომიტეტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ მიმართულებებით საწარმოში მიმდინარე პროცესებში;	არა			კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთან საზოგადოებაში არ არის ფორმირებული

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 12, ქვეპუნქტი "ვ")	ვ) ჩართული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ჩანაცვლებისა და ეფექტურობის შეფასების პროცესში ისევე, როგორც საწარმოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის მონიტორინგის პროცესებში.	არა			კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთან საზოგადოებაში არ არის ფორმირებული
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13,პუნქტი1)	სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს წევრთა უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრი და აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის შერჩევის თითოეულ შემთხვევაში.	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ირჩევენ აქციონერთა მიერ შეთავაზებულ კანდიდატებს. ცნობები საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის ყველა კანდიდატის შესახებ შეიცავს ინფორმაციას სს-ს წევრობის ყველა კანდიდატის მიერ დაკავებული თანამდებობის შესახებ და ბიოგრაფიულ მონაცემებს.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13,პუნქტი2)	სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ყოველწლიურ შეფასებას უნდა ექვემდებარებოდეს საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურა და კოორდინაცია, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობისა და საწარმოს შიდა წესების მოთხოვნებთან, ასევე, შეფასებული უნდა იქნეს საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტურობა.	დიახ		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	სამეთვალყურეო საბჭოს რაოდენობრივი შემადგენლობა განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით (6 ადამიანი) (მუხლი 16, გვ. 24-26). საზოგადოებაში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება 3 წევრისგან. საზოგადოებაში დამტკიცებულია დებულება სს „თელასის“ სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ (ოქმი №197, 02.04.2018 წ), რომელიც განსაზღვრავს კომიტეტის რაოდენობრივ შემადგენლობას (მუხლი 6, გვ.5-6).
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 13,პუნქტი3)	სამეთვალყურეო საბჭოს უნდა გააჩნდეს თვითშეფასების და შეფასების შესაბამისი პროცედურები.	ალტერნატივა		სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ შენიშვნის სახით)	სამეთვალყურეო საბჭო არ ახორციელებს მუშაობის ხარისხის თვითშეფასებას. საზოგადოების აქციონერთა წლიური საერთო კრება იწონებს/არ იწონებს სამეთვალყურეო საბჭოს და საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს მუშაობას.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14,პუნქტი1)	საწარმოს დირექტორთა საბჭო სხვა ფუნქციებთან ერთად, აღასრულებს საწარმოს ბიზნესსტრატეგიებს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად ქმნის ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი და სოციალური, მართვის ეფექტურ სისტემებს, რისკის კულტურას, პროცესებსა და კონტროლებს, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებისა და ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის. დირექტორთა საბჭო სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად უნდა აწვდიდეს ინფორმაციას საწარმოს მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე. საწარმოს დირექტორთა საბჭო, ასევე, პასუხისმგებელია საწარმოს თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც საწარმოს შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას უნდა უზრუნველყოფდეს.	ალტერნატივა		საწარმოს წესდება	საზოგადოების ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურაში არ არსებობს ისეთი კოლეგიალური ორგანო, როგორიცაა დირექტორთა საბჭო. აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი რგოლის მენეჯერები (დირექტორები) მიმართულებების მიხედვით. საზოგადოების მართვის ორგანოებია: აქციონერთა საერთო კრება; სამეთვალყურეო საბჭო; ხელმძღვანელი ორგანო/გენერალური დირექტორი.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14,პუნქტი2)	საწარმოს დირექტორთა საბჭოს ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრული უნდა იყოს საწარმოს წესდებით, რათა არ მოხდეს რომელიმე პირის/პირთა ჯგუფის მიერ განუსაზღვრელი კონტროლის მოპოვება საწარმოს ბიზნეს საქმიანობაზე.	ალტერნატივა		საწარმოს წესდება	საზოგადოების ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურაში არ არსებობს ისეთი კოლეგიალური ორგანო, როგორიცაა დირექტორთა საბჭო. აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი რგოლის მენეჯერები (დირექტორები) მიმართულებების მიხედვით.

კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 14,პუნქტი3)	დირექტორთა საბჭოს წევრებს უნდა გააჩნდეთ თავიანთი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო გამოცდილება, კომპეტენცია და რესურსები. კომპეტენციებისა და საჭირო მიმართულებებით ცოდნის გაღრმავების მიზნით, მათ შესაბამის სწავლებებსა და გადამზადების პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ეძლეოდეთ. დირექტორთა საბჭოს წევრების შერჩევა სასურველია, წინა საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების, საწარმოს სტრატეგიისა და სტრუქტურის შესაბამისად ხდებოდეს, ამ პროცესშიც ყოველ ეტაპზე შეფასებული უნდა იქნეს კანდიდატების კვალიფიკაცია და უნარები.	ალტერნატივა			საზოგადოების ორგანიზაციულ და მმართველობით სტრუქტურაში არ არსებობს ისეთი კოლეგიალური ორგანო, როგორიცაა დირექტორთა საბჭო. აღმასრულებელი დირექტორების ფუნქციებს ასრულებენ უმაღლესი რგოლის მენეჯერები (დირექტორები) მიმართულებების მიხედვით.
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 15,პუნქტი1)	ყველა საწარმოს დირექტორთა საბჭოს სტრუქტურულ ნყობაში წარმოდგენილი უნდა იყოს აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელია საწარმოს შიდა ოპერაციებზე, შესაბამისობასა და საქმიანობაზე და იმავდროულად მთავარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს საწარმოს დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შორის. მის დანიშვნაზე გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭო იღებს.	დიახ		საწარმოს წესდება	საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/გენერალური დირექტორს ნიშნავს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, საზოგადოების წესდების (მუხლი 15, გვ. 21-24) თანახმად.
